პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

პარასკევი, 10 ივნისი 1927 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 130 (1875)

დღიური

- — რუმინიაში საბოლოოდ შესდგა ახალი მთავრობა, რომლის უმრავლესობა ლიბერალებია.
- — ჩენ-ჯოუში შესდგება სამხედრო კონფერენცია უხანის მთავრობის წევრების და ფინ-იუ-სიანის მონაწილეობით.
- — ჩინეთის რევოლიუციონურ - ნაციონალურ ჯარების გამარჯვებათა გამო უხანში გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაციები.
- — შანხაისა და ნანკინში გრძელდება კომუნისტების დევნა.
- — სპარსეთის ახალმა პრემიერმა განაცხადა, რომ სპარსეთს სურს მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.
- — ინგლისის კოოპერატიულმა კონგრესმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს საბჭოთა კავშირთან მშვიდობიან ურთიერთობის აღდგენას.

დღეს, 10 ივნისს საღამოს 6 საათზე
საქართველოს სახკომსაბჭოს წითელ დარბაზში შესდგება

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის

მ ო რ ი გ ი პ ლ ე ნ უ მ ი

საქართველოს კომპარტიის (ბ) სამაზრო და საოლქო კომიტეტების მდივნებთან ერთად.

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი **ლ. ქართველიშვილი.**

საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე **ა. დოლიძე.**

---

14 ივნისს, სასახლის წითელ დარბაზში მოწვეულია
მეოთხე მოწვევის სრულიად საქართველოს

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

მ ე ო რ ე ს ე ს ი ა

საქ. ცაკის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

ვისი ხელი მუშაობს

ინგლისის კონსერვატიული მთავრობა საბჭოთა ხელისუფლებას ბრალს სდებს იმაში, თითქო მისი აგენტები ჯაშუშობას და დამანგრეველ მუშაობას ეწეოდენ ბრიტანეთის იმპერიაში. ბოლდუინმა თემთა პალატაში, როცა ირჩეოდა ჩვენთან ურთიერთობის გაწყვეტის საკითხი, დიდი რიხით წარმოადგინა ვითომდა ამის დამამტკიცებელი „საბუთები“. ლონდონის მთავრობამ ამასთან ერთად გამოსცა ე. წ. „თეთრი წიგნი“, რომელიც ასეთი „დოკუმენტების“ კრებულს შეიცავს. თუ რამდენად სასკანდალო არის ბოლდუინ - ჩემბერლენებისათვის ამ „წიგნში“ მოთავსებული მასალები, ეს თუგინდ იქედანაც სჩანს, რომ ბურჟუაზიულმა პრესამაც კი, რომელიც მტრულად არის საბჭოთა კავშირისადმი განწყობილი, შეუძლებლად მიიჩნია მით სარგებლობა თავის ანტისაბჭოთა კამპანიის დროს: იმდენად უბადრუკი, ყალბი და მოჭორილია ინგლისის მთავრობის „დოკუმენტები“ და „ფაქტები“, რომლების საშუალებით იგი ლამობდა მუშურ-გლეხურ ხელისუფლების გაბახებას ევროპის საზოგადოებრივ აზრის თვალში და თავისი ავანტიურისტული ნაბიჯის გამართლებას.

ამავე დროს რას ვხედავთ ჩვენ? ინგლისის მთავრობა ჩვენ გვიკიჟინებს ჯაშუშობას, ხოლო ნამდვილად კი მთელი მისი „მოღვაწეობა“ როგორც საბჭოთა კავშირში, ისე ყველგან, სადაც ხელი მიუწვდება, გამოიხატება განთავისუფლებულ შრომის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ გაუგონარ ჯაშუშობასა, პროვოკაციასა და ტერორში. გაეცანით საკავშირო მთავრობის დღევანდელ განცხადებას და ყველა, ვისაც კიდევ ბინდი ჰქონდა თვალებზე გადაფარებული, დაინახავს, თუ როგორ ბანდიტებთან და ავაზაკებთან გვაქვს საქმე ინგლისის მთავრობის სახით. ჩვენი მთავრობის განცხადებაში ჩამოთვლილი ფაქტები—ეს ურყევი, ეჭვმიუტანელი ფაქტებია, და არა ჩემბერლენების მიერ თითიდან გამოწოვილი და ყალბისმქნელების მიერ შეთითხნილი „დოკუმენტები“.

რას გვეუბნება საბჭოთა მთავრობის განცხადება? ის იძლევა ინგლისის მთავრობის და მისი აგენტების „მუშაობის“ ამომწურავ დასაბუთებას. ეს მუშაობა, რა თქმა უნდა, მიმართული იყო არა იქითკენ, რომ ორ ქვეყანას შორის საქმიანი და ნორმალური დამოკიდებულება დაემყარებიათ, როგორც ეს შეიძლება ვინმეს ეფიქრა ინგლისსა და ჩვენს შორის სავაჭრო და დიპლომატიურ ურთიერთობის არსებობის დროს.

სამაგიეროდ კონსერვატორების მთავრობა ავსებდა საბჭოთა ქვეყანას ჯაშუშებით და ტერორისტებით, რომელთაც მისგან ფრიად „საპატიო“ დავალებები ჰქონდათ დაკისრებული. თავდასხმა პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელ მუშაკებზე და მათი მოკვლა, კრებების ყუმბარებით ამოწყვეტა, ფაბრიკა-ქარხნების აფეთქება, რკინის გზების გაფუჭება და სხვა,—აი, რა ინსტრუქციებს აძლევდენ ჩერჩილები თავის ტერორისტებს და თეთრგვარდიელებს. და ასეთი „საქმიანობა“ წარმოებდა არა მარტო აშკარა ინტერვენციის დროს, არამედ მას შემდეგაც, რაც ინგლისს „ნორმალური“ დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა ჩვენთან და ხელშეუხებლობის უფლებებით აღჭურვილი წარმომადგენლები ჰყავდა საბჭოთა კავშირში. ინგლისელი ელჩები და კონსულები ასე ბოროტად და უსინდისოდ იყენებდენ ამ უფლებებს.

ასეთ ბანდიტურ მუშაობას აწარმოებდენ ინგლისის მთავრობის აგენტები საბჭოთა კავშირის გარეთაც. ამხ. ვოიკოვის სისხლში, ეჭვს გარეშეა, ინგლისის მთავრობას აქვს გასვრილი ხელები.

აშკარაა, თუ რა მიზანს ისახავენ ინგლისელი იმპერიალისტები. საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გართულება სხვა სახელმწიფოებთან და უკანასკნელთა მიმხრობა ჩვენ წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად, სოციალისტური აღმშენებლობის ჩაფუშვა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების მოშლა, არევდარევის და ანარქიის გამოწვევა, ჩვენი ზურგის შესუსტება და ისეთი შთაბეჭდილების შექმნა საზღვარგარედ, თითქო საბჭოთა კავშირში მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებები ხდებოდეს. ყველა ამ საშუალებებით პროლეტარიატის დიქტატურის დამხობა—აი ჩემბერლენების და ხიკსების ბოროტი ზრახვები.

საბჭოთა მთავრობამ გამანადგურებელი ფაქტებით საქვეყნოთ სამარცხვინო ბოძზე გააკრა პროვოკატორები, ტერორისტები და ჯაშუშები ლონდონიდან. ამ ფაქტებს ინგლისის მთავრობა ვერსად გაექცევა. ისინი არა მარტო მსოფლიო მუშათა კლასს, არამედ ბურჟუაზიის გონიერ ნაწილსაც აუხელენ თვალს და აქედან შესაფერ დასკვნას გამოაყვანიებენ.

განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის მშრომელები უნდა ჩაუფიქრდენ დღევანდელ განცხადებას. ინგლისელი ბანდიტები ცდილობენ დაანგრიონ ის, რაც ასეთი წვალებით და ჯაფით აუშენებია ჩვენს მუშას და გლეხს. უკანასკნელნი უფრო გააძლიერებენ აღმშენებლობას და ქვეყნის თავდაცვას. ჩვენი ხელისუფლება კი, რომელსაც ზურგი აქვს გამაგრებული, მშრომელ მასების აქტიური დახმარებით, ძირშივე აღმოფხვრის ინგლისის მთავრობის დაქირავებულ ჯაშუშების და ტერორისტების და საერთოდ ყველა მტრების დანაშაულებრივ მოქმედებას. მათი ბინძური ხელები შეუბრალებლად იქნება მოკვეთილი.

სამრეწველო აღმშენებლობის ზოგიერთი საკითხები

პარტიამ და ხელისუფლებამ მტკიცე კურსი აიღო საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციისაკენ. ლოზუნგი „წარმოების საშუალებათა — წარმოება“ კარგა ხანია პრაქტიკულ მოღვაწეობის საგნათ გადაიქცა და ამ მხრივ უკვე გვაქვს საშუალება ერთგვარი ჯამი გაუკეთოთ ჩვენს მუშაობას.

ძირითადი პირობა, რომელსაც აყენებს პარტია ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგის პრაქტიკულად განხორციელების საქმეში — ესაა: **ახალ წამოწყებათა ეკონომიური მიზანშეწონილობის, მათი სარფიანობის სასტიკი წინასწარი შემოწმება და სამრეწველო აღმშენებლობის გაიაფება.** თუ ასეთი საზომით მიუდგებით ჩვენს სამრეწველო აღმშენებლობას ახლო წარსულში, ჩვენ უსათუოდ აღმოვაჩენთ მთელ რიგ საგულისხმო ნაკლულოვანებებს, რომელთა დაძლევა ინდუსტრიალიზაციის შემდგომი წარმატებით განვითარების ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს.

ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია სერიოზულ სამრეწველო აღმშენებლობის — 1925—26 წელი. პირველი, რაც ყველაზე უფრო გვცემს თვალში წარსული წლის სამრეწველო აღმშენებლობაზე დაკვირვების დროს,—ესაა ხარჯთ-აღრიცხვათა ფიქტიურობა, მათი არარეალობა.

ხშირია ისეთი მოვლენა, რომ სამრეწველო წამოწყებებზე შედგენილი ხარჯთაღრიცხვა არასოდეს არ მართლდება, და სათანადო ორგანოებს აღმშენებლობის პროცესში რამდენჯერმე უხდებათ წინასწარ ნავარაუდევ თანხის გადიდება.

ამასთან ერთად, არც ისეთი მოვლენები შეადგენენ იშვიათ შემთხვევებს, როცა სამრეწველო აღმშენებლობა იწყება ნაჩქარევათ შედგენილ უხეირო გეგმების ზიხედვით. ყოველივე ეს ირკვევა მხოლოდ მას შემდეგ, როცა საქმე დაწყებულია და დახარჯულია საკმაოთ დიდი თანხა. ამის გამო მუშაობის პროცესში ხდება საალმშენებლო გეგმის გადაკეთება ან ზოგჯერ მისი სრულიად შეცვლაც კი.

ასეთი მაგალითები საკმაოთ ბევრია ჩვენს სინამდვილეში. ამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს თუნდაც მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ქარხანა, რომლის აშენებაც 1 მილიონ მანეთზე მეტი დაჯდა და რომელიც აგებულია შეუფერებელ ადგილას, როგორც ჰავის, ისე ნედლეულ მასალის მიწოდების მხრივ.

რატომ ხდება ეს? აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენს შედარებით გამოუცდელობას, დახელოვნებულ სამეურნეო მუშაკების და მშენებელ ტეხნიკურ პერსონალის სიმცირეს.

ამავე დროს საბჭოთა საზოგადოებრივება არაჩვეულებრივათ გატაცებულია აღმშენებლობით, რაიც დამახასიათებელია ყოველი გამარჯვებული კლასისათვის და მით უფრო პროლეტარიატისთვის, რომელიც სოციალისტურ მშენებლობას აწარმოებს. ამასთან ერთად საალმშენებლო წყურვილს აძლიერებს ის განმანადგურებელი შედეგი, რომელიც იქონია მეურნეობაზე იმპერიალისტურმა და შემდეგ სამოქალაქო ომებმა.

ასეთ პირობებში, თავისთავად ცხადია, შეცდომები გასაგებია. მაგრამ აქედან ჩვენ სრულიადაც არ გვსურს იმ არანორმალობათა გამართლება, რომელთაც ადგილი აქვთ ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგის პრაქტიკულად განხორციელების საქმეში. პირიქით, საჭიროა, რაც შეიძლება მალე გადაიდგას გადამჭრელი ნაბიჯები ამ არანორმალობათა აღმოსაფხვრელათ.

ამისათვის, პირველყოვლისა უნდა მიღებულ იქნას ზომები სამრეწველო აღმშენებლობის საქმეში მეტი გეგმიანობის შესატანათ, სანამ ყოველმხრივ არ იქნება შემოწმებული წამოწყების ეკონომიური სარფიანობა, სანამ არ იქნება გამორკვეული მისი ნორმალური მუშაობის ხელის შემწყობი პირობები, შეუძლებელია საქმის დაწყება.

ამასთან ერთად, ჩვენ უნდა მივაქციოთ იმას, რომ ხარჯთ-აღრიცხვა რეალური და წინასწარ ყოველმხრივ შემოწმებული იყვეს. ეფემერული, ზოგჯერ განზრახ თვალის ასახვევათ შედგენილი ხარჯთაღრიცხვებს ადგილი აღარ უნდა დაურჩეს ჩვენს სამეურნეო საქმიანობაში.

სათანადო ორგანოებმა უნდა დასვან აგრეთვე საკითხი საალმშენებლო მუშაობის ფორმების შესწავლის შესახებ, რათა თავიდან აცილებულ იქნას ის უსისტემობა, რომელსაც ადგილი აქვს ეხლა ამ დარგში და რომელიც შეუძლებელს ხდის აღმშენებლობის გაიაფება - გაფართოებას.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ მართალია, არც ისე დიდი, მაგრამ ჩვენ მაინც გვაქვს ერთგვარი გამოცდილება სამრეწველო აღმშენებლობის დარგში. საჭიროა ამ გამოცდილების მთლიანათ გამოყენება, რომ მომავალში თავი დავახწიოთ ზემოაღნიშნულ ნაკლულოვანებებს. რევოლიუციონურ ექსტაზთან ერთად, რომელიც ჩვენი სამეურნეო მოღვაწეობის ერთ მამოძრავებელ ძალთაგანს წარმოადგენს, საჭიროა შეიქნას გეგმიანობის მტკიცე რეჟიმი. უამისოთ ჩვენ ვერ ვივლით წარმატებით სოციალისტური აღმშენებლობის გზით.

მ. ლ—ძე.

საკავშირო მთავრობის განცხადება

რეაქციონური ძალები მშვიდობიანობის საქმეს ემუქრებიან.—ამხ. ვოიკოვის მკვლელობაში ინგლისის ხელი ურევია.—ბრიტანეთის კონსერვატიული მთავრობა საბჭოთა კავშირში აგზავნის ჯაშუშებს და ტერორისტებს, რომელთაც დაკისრებული აქვთ ტერორისტულ აქტების მოხდენა, ფაბრიკა-ქარხნების აფეთქება, რკინისგზების გაფუჭება, ჩვენი აღმშენებლობის შეფერხება და არევდარევის გამოწვევა.—ამ ჯაშუშების და ტერორისტების „მუშაობის“ დამადასტურებელი ფაქტები—ინგლისის მთავრობის და მისი მოკავშირე თეთრგვარდიელთა ავანტიურისტულ ცდებს არავითარი ნიადაგი არა აქვთ თვით საბჭოთა კავშირში, რომელიც უდიდეს შემოქმედებითი მუშაობაშია ჩაბმული.—მშრომელმა მოსახლეობამ ბრიტანეთის მთავრობის დანაშაულებრივ პოლიტიკას უნდა უპასუხოს შრომის ნაყოფიერების აწევით და თავისი რიგების შემჭიდროებით. — მშრომელ მასებმა უფრო ენერგიულად უნდა აწარმოონ სოციალისტური მშენებლობა და გააძლიერონ ქვეყნის თავდაცვა.—მათ უნდა დაიცვან ფაბრიკები, ქარხნები, ყველაფერი ის, რაც მშრომელების ხელითაა შექმნილი.—მთავრობა, რომელიც ემყარება მშრომელთა ფართე მასებს, გასწმენდს ქვეყანას მისი მტრებისაგან და სოციალიზმის მშენებლობას უზრუნველყოფს ყოველ გვარი თავდასხმისაგან.

მოსკოვი, 9 ივნისი. მოჰკლეს ამხ. ვოიკოვი—საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი პოლონეთის რესპუბლიკაში. ეს გაუგონარი აქტი, რომელმაც გამოხმაურება ჰპოვა მთელ მსოფლიოში, ეხლანდელ გამწვავებულ საერთაშორისო პირობებში კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს იმ რეაქციონური ძალების პოლიტიკის ბოროტმოქმედებას, რომელნიც ყოველნაირად ცდილობენ მშვიდობიანობის საქმის ჩაშლას. ამხ. ვოიკოვის მკვლელობა ერთ-ერთი რგოლია იმ მოვლენათა ჯაჭვის, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტ საფრთხეს ჰქმნის მშვიდობიანობისათვის. ეს საფრთხე სულ უფრო და უფრო რეალური ხდება, მიუხედავათ საბჭოთა კავშირის მთავრობის ცდისა შეინარჩუნოს მშვიდობიანობა.

ამხ. ვოიკოვის მუხანათური მკვლელობის გამო, რომელიც თან მოჰყვა საზღვარ-გარეთ საბჭოთა კავშირის დაწესებულებებზე მთელ რიგ პირდაპირ და არაპირდაპირ თავდასხმას ინგლისის მთავრობის მხრივ და საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტას დიდ ბრიტანეთის მხრივ,—მთავრობა აუცილებლად სთვლის გამოაქვეყნოს ამჟამად მთელი რიგი ფაქტებისა, რომელნიც საკმაოდ ახასიათებენ დიდ ბრიტანეთის მთავრობის და კავშირის ტერიტორიაზე მყოფი მისი ვასალური ორგანოების მუშაობას.

ჯერ კიდევ 1925 წ. ზაფხულში ფინეთის საზღვრიდან საბჭოთა კავშირში არალეგალურად გადმოსვლის დროს სანაპირო რაზმმა დასჭრა და დააპატიმრა ვიღაც „ვაჭარი“ საბჭოთა პასპორტით შტეინბერგის სახელზე. როცა იგი დაკითხულ იქნა, მან განაცხადა, რომ იგი ნამდვილად არის არა შტეინბერგი, არამედ ინგლისის ცნობილი მზვერავი, ინგლისის სამეფო ავიაციის კაპიტანი სიდნეი გეორგ რეილი, ლოკარტის შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი, რომელიც ტრიბუნალმა 1918 წლის 3 დეკემბერს კანონს გარეშე გამოაცხადა. რეილმა ჩვენებაში განაცხადა, რომ იგი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა სპეციალური მიზნით, რომ მოეწყო ტერორისტული თავდასხმები, ამბოხებანი, ხოცვა-ჟლეტა და სხ. კიდევ მეტი, რეილიმ განაცხადა, რომ ამერიკიდან წამოსვლის დროს იგი იყო ფინანსთა მინისტრთან და ბრიტანეთის მეფის ერთ-ერთ პასუხისმგებელ მინისტრთან—ჩერჩილთან, რომელმაც მას პირადათ მისცა ინსტრუქციები ტერორისტული თავდასხმებისა და სხვა დივერსიული აქტების მოწყობის შესახებ. მთავრობას აქვს მისი წერილობითი ჩვენება. იმ მასალებმა, რომელნიც აღმოჩნდენ შემდეგ მომხდენილ დაპატიმრებათა დროს, მთლიანად დაადასტურეს რეილის ჩვენება.

1926 წლის დასასრულში სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ორგანოებმა ამხ. ჩუბარს და პეტროვსკის თავიდან ააშორეს თავდასხმა. ამავე დროს თავს დაესხნენ ლენინგრადის სახელმწიფო პოლიტსამმართველოს თავმჯდომარეს ამხ. მესინგს, ამასთანავე, თავდამსხმელი აღმოჩნდა შვილი პეტლიურას პოლკოვნიკი ტარუბასი, რომელიც პეტლიურას დროს იყო ხარკოვის კომენდანტი და ეხლა ვარშავაში სცხოვრობს.

თავდამსხმელი ერთ დროს იყო კომკავშირში, რათა კომკავშირში ყოფნა გამოეყენებია თეთრი ტერორის კონტრ-რევოლიუციონური მიზნებისათვის, ეკუთვნოდა იმ კონტრ-რევოლიუციონერების ჯგუფს, რომელნიც ამზადებდენ უკრაინის სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ჩუბარის და საბჭოთა კავშირის ცაკის და უკრაინის ცაკის თავმჯდომარის ამხ. პეტროვსკის მკვლელობას.

იმავე დროს იქნა დაპატიმრებული დენიკინის არმიის ყოფილი მოხალისე ბიოიუკოვი, რომელიც კომკავშირის საშუალებით სცდილობდა პარტიაში შესვლას და ამზადებდა თავდასხმას საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებზე უკრაინაში.

1927 წლის 12 მარტს დიდ თეატრში ამზადებდენ თავდასხმას ამხ. ბუხარინზე, როცა იგი მოხსენებას აკეთებდა თებერვლის რევოლიუციის ათი წლის თავის შესახებ; ამასთანავე ბოროტგამზრახველმა ვერ მოჰკლა ამხ. ბუხარინი მხოლოდ უბრალო შემთხვევის გამო. ამის შემდეგ იგივე პირი, რომელიც აღმოჩნდა ბურჟუაზიული რაზმის ბოისკაუტების ყოფილი უფროსის, ვაჭარ გურევიჩის შვილი, ამზადებდა თავდასხმას ამხ. რიკოვზე და სტალინზე. გურევიჩი თავის დროზე დაპატიმრებული იქნა.

10 მაისს დაპატიმრებულ იქნა ყოფილ კოლჩაკოველ ოფიცრების ჯგუფი, ლენინგრადის სათავად-აზნაურო ობოლთა ინსტიტუტის მოწაფენი. ეს ჯგუფი, მის მონაწილეთა ჩვენების თანახმად, უშუალოდ იყო დაკავშირებული დიდ ბრიტანეთის მისიის საკონსულო ნაწილის გამგესთან მოსკოვში, უეიტთან. იგი, მისიის დავალებით ამზადებდა კრემლის და დიდი თეატრის აფეთქებას ისეთ დროს, როცა მოსკოვის და კავშირის მუშათა და გლეხთა წარმომადგენლების რაიმე დიდი კრება იქნებოდა გამართული.

3 ივნისს ღამით გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტსამმართველოს მიერ მიღებულ ზომებით აცილებულ იქნა სახლის აფეთქება გაერთ. სახელმწიფო პოლიტსამმართველოს მახლობლად ძერჟინსკის სახელობის მოედანზე. აქ აღმოჩენილ იქნა მელინიტის ყუმბარა წონით 4 კილოგრამი. მელინიტი ფრანგული წარმოშობის აღმოჩნდა, ხოლო ყუმბარის გარსი—ინგლისური წარმოშობის. ამგვარად, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ ყუმბარის შემადგენელი ნაწილები შემოტანილია საზღვარ-გარეთიდან. ამასვე მოწმობენ თავდამსხმელთა მიერ დატოვებული ნივთები.

7 ივნისს პოლონეთის ქვეშევრდომმა მოჰკლა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ვარშავაში ამხ. ვოიკოვი, ამასთანავე ინგლისურმა გაზეთებმა მოასწრეს დაებეჭდათ მეფის დიპლომატ საბლინის უტიფარი ინტერვიუ, საბლინის, რომელსაც კავშირი ჰქონდა ინგლისის მინისტრთან და რომელიც პირდაპირ ამართლებდა მკვლელს.

აქ აშკარად სჩანს ინგლისის ხელი, რომელმაც პოლონეთის ქვეშევრდომის ხელით აღმართა მახვილი.

იმავე 7 ივნისს სადგურ ჟდანოვიჩსა და მინსკს შორის მოწყობილ იქნა რკინის გზის კატასტროფა, რომლის დროსაც დაიღუპა გაერთ. სახელმწიფო პოლიტ. სამმართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოადგილე ბელორუსიის სამხედრო ოლქში, ამხ. ოპანსკი, რომელსაც დრეზინით მიჰყავდა ახლად დაპატიმრებული პოლონელი ჯაშუში—პორუჩიკი. ოპანსკისთან ერთად მოკლულ იქნა შოფერი და მძიმედ დაიჭრა ორი თანამშრომელი.

იმავე 7 ივნისს, საღამოს 9 საათზე და 22 წ., ლენინგრადის პარტიულ სადისკუსიო კლუბში ისროლეს ორი ყუმბარა (ერთი არ გასკდა), ამასთანავე დაიჭრა 30 კაცამდე, მათ შორის რამდენიმე მძიმეთ დაიჭრა. ბოროტმოქმედთა მიერ დატოვებული ნივთები ნათლად მოწმობენ იმას, რომ ტერორისტები უცხოელები იყვნენ.

ამავე დროს კავშირის სხვადასხვა ნაწილებში აღმოჩენილ იქნა ფაბრიკების, ქარხნების და სამხედრო საწყობების დაწვა. მაისის ბოლოს ლენინგრადში დასწვეს ასაფეთქებელ მასალების საწყობი, ამასთანავე დამნაშავე აღმოჩნდა საწყობის გამგე ესტონელი უსილდი, რომელიც ინგლისის მთავრობის ესტონელი აგენტების დავალებით მუშაობდა. ამაზე კიდევ უფრო ადრე ცეცხლი წაუკიდეს ქარხანას დუბროვკაში, ლენინგრადის მახლობლად, ბოროტმოქმედი აღმოჩნდა ფინელი, რომელიც ინგლისის მთავრობის ფინელი აგენტების დავალებით მუშაობდა. აღმოჩენილ იქნა აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო მოწყობილობათა გაფუჭების ცალკე შემთხვევები, ამასთანავე გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ აქ მოქმედებდა ბოროტმოქმედის ხელი.

ამგვარად, სავსებით ცხადია, რომ დიდ ბრიტანეთის მთავრობა, რომელიც სწრაფი ტემპით აწარმოებს სამზადისს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომისათვის, ყოველგვარი ზომებით და საშუალებებით ცდილობს დაარღვიოს ჩვენი სახელმწიფოს მუშათა და გლეხთა მშვიდობიანი შრომა.

დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ ყველა ამ ავანტიურისტულ ცდებს არავითარი ნიადაგი არ აქვს თვით საბჭოთა კავშირში. ჩვენი ქვეყანა სწრაფად იზრდება ეკონომიურად, მასების კეთილდღეობა უმჯობესდება, სულ უფრო და უფრო მტკიცდება მუშათა და გლეხთა კავშირი და პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფოებრივი ძლიერება. საზღვარ-გარეთის რეაქციონური წრეების უბადრუკი ბოროტმოქმედებითი ავანტიურები აშკარა წინააღმდეგობაშია დიდი პროლეტარული კავშირის მძლავრ ორგანიულ ზრდასთან. მთავრობა დარწმუნებულია, რომ იგი იცავს მშვიდობიანი შრომის და აღმშენებლობის პოზიციას. მაგრამ საბჭოთა მთავრობა, განაგრძობს რა საალმშენებლო მუშაობას კიდევ უფრო ენერგიულად თავის მოვალეობად სთვლის კაცობრიობის ყველა მშრომელთა და პირველ რიგში თავისი საკუთარი ქვეყნის მუშათა კლასის წინაშე გამოაშკარაოს დიდ ბრიტანეთის კაბინეტის და მისი აგენტურის პოლიტიკის მთელი ბოროტმოქმედება.

მთავრობა მოუწოდებს კავშირის მთელ მშრომელ მოსახლეობას, რომ მუშათა კლასის და გლეხობის მტრების გააფთრებულ ცდებს უპასუხოს შრომის აქტიობის და თავისი რიგების მჭიდრო დარაზმვის გაძლიერებით.

მთავრობა მოუწოდებს ჩვენი ქვეყნის ყველა პატიოსან მშრომელს, რომ კიდევ უფრო მეტი ენერგიული მუშაობა აწარმოოს სოციალიზმის აღმშენებლობისათვის და კიდევ უფრო მეტი ენერგიით შეუდგეს ქვეყნის თავდაცვის უნარის განმტკიცებას.

დიდ ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტი და მისი ვასალური ორგანოები გაცოფებული არიან ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობით. ყოველი ახალი ფაბრიკა, ყოველი ახალი ელექტრო-სადგური, გლეხთა მეურნეობის ყოველი წარმატება საშინელ აღშფოთებას, მძულვარებას იწვევს ინგლისის კაპიტალისტებში, რომელთაც სურთ ჩვენი ქვეყანა გადააქციონ იმპერიალისტური სახელმწიფოს დანართად, მისი მუშები—ექსპლოატაციის ობიექტად, მისი გლეხები—უპირუტყვო ყმებად, იმპერიალიზმის მონებად, რომელთა დახვრეტა შეიძლება ისევე, როგორც ხვრეტენ ჩინეთის, ინდოეთის და ეგვიპტის გლეხებს.

მთავრობა მუშათა კლასს მიმართავს მოწოდებით, რომ დაიცვან ფაბრიკები, ქარხნები, საწყობები და სადგურები, დაიცვან ყოველივე ის, რაც აშენებულია და შექმნილია მშრომელთა ხელით, რომლებმაც ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვეს მემამულეებზე და კაპიტალისტებზე.

მთავრობა ავალებს გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს მიიღოს გადამჭრელი ზომები ჩვენი ქვეყნის დასაცავათ უცხოეთის ჯაშუშებისა, ცეცხლის წამკიდებლებისა და მკვლელებისაგან და მასთან ერთად მათი მოკავშირე მონარქისტებისა და თეთრგვარდიელებისაგან.

მთავრობა ძირს ხრის კავშირის წითელ დროშას ამხ. ვოიკოვის და პროლეტარიატის სხვა ერთგულ მებრძოლთა წინაშე, რომელნიც გაიგმირენ დაქირავებული საზიზღარი მკვლელების, ახალი ომის პროვოკატორების ხელით.

მთავრობა აცხადებს, რომ იგი, მშრომელთა ფართო მასებზე და მათ უანგარო გმირობაზე დაყრდნობილი, გასწმენდავს ჩვენ ქვეყანას მისი მტრებისაგან და შესძლებს სოციალიზმის აღმშენებლობის დაცვას ყოველგვარი თავდასხმისაგან.

მოსკოვი, კრემლი, 1927 წ. 8 ივნისი.

უბადრუკი იმედები

ვარშავაში გაისმა ტყვიის გულისშემზარავი ზუზუნი. ომის საფრთხე თავს დასტრიალებს ევროპას და მუშათა და გლეხთა რესპუბლიკას. ხელახლა ახმაურდა დამყაყებული თეთრი ჭაობი. ინგლისის ჯაშუშთა, ბოროტმოქმედთა, ტერორისტთა და ცეცხლის წამკიდებელთა ბანდა კვლავ შეუდგა მუშაობას საბჭოთა მიწა-წყალზე. ვარშავაში მომხდარ ვერაგულ მკვლელობას, რომელმაც მაჯის ცემა შეუჩერა ამხ. ვოიკოვს, მუხანათურად გამოეხმაურა საბჭოთა კავშირის შიგნით თავდასხმა, აფეთქება და მკვლელობა. მინსკთან მოკლულ იქნა სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ბელორუსიის განყოფილების ხელმძღ. მუშაკი ამხ. ოპანსკი, რომელსაც დატყვევებული მოჰყავდა პოლონეთის მზვერავთა რაზმის პორუჩიკი, რომელიც გადმოსული იყო საბჭოთა ტერიტორიაზე ჯაშუშობის მიზნით. გადასროლილია ბომბა ლენინგრადის სადისკუსიო პარტიულ კლუბის შენობაში, სადაც დაჭრილია მთელი რიგი პარტიული ამხანაგებისა. ბოროტმოქმედნი ამზადებდენ სხვა კონტ-რევოლიუციონურ აქტებს, თავდასხმებს და საწყობების აფეთქებას. აშკარა არის, რომ არსებობს კავშირი ჩვენი მტრების ამ შავბნელ საქმეთა შორის, რომლებიც მათ ჩაიდინეს ჩვენი ქვეყნის შიგნით და მის გარეთ. ეს პირდაპირ თვალებში გვეჩხირება. ასეთი ფაქტები, როგორიც არის ჩვენთან ურთიერთობის გაწყვეტა მზაკვართა მიერ, რომელნიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული საბლინის ტიპის თეთრ ქვიანდარებთან, პოლონეთის ქვეშევრდომის, მონარქისტის მიერ ამხ. ვოიკოვის მოკვლა, და ბოლოს საბჭოთა კავშირში მომხდარი აფეთქებები, მკვლელობანი და თეთრი ტერორის ამუშავება,—ყველა ეს ფაქტები შემთხვევით არ არის, რომ ისინი ერთსა და იმავე დროს მოხდა. აქ სჩანს ერთი ნებისყოფა, ერთი ხელმძღვანელი. ჩვენ სრულიადაც არ გაგვიკვირდება, თუ ეს ხელმძღვანელი აღმოჩნდება ლონდონის საგარეო საქმეთა სამინისტროს საიდუმლო კაბინეტებში, არ გაგვიკვირდება. თუ თეთრ ჯაშუშთა ჯიბეებში ჟღარუნებს ინგლისის ბანკირების ოქრო. უბადრუკია იმედები იმაზე, პროლეტარიატის მტრები ფიქრობენ ბოროტმოქმედებით და ტერორით შეგვაშინონ ჩვენ და შეარყიონ ჩვენი რიგები. დეე ფრთხილად იყვნენ თეთრი ტერორისტები და ჯაშუშები, რომლებმაც გაბედეს შავ სოროებიდან გამოძრომა. პროლეტარული ხელისუფლება საკმაოდ ძლიერია რათა საკადრისი სასჯელი მიუზღოს მათ, ვინც გაბედავს მუშათა და გლეხთა მშვიდობიანობის დარღვევას. ჩვენი მთავრობა შესძლებს მზის სინათლეზე გამოათრიოს ტერორისტები და ჯაშუშები, იგი გასრესს მათ.

„პრავდა“

მოსკოვი, 9 ივნისი.

გაერთ. სახ. პოლიტიკურ სამმართველოს კოლეგიისაგან

მოსკოვი, 9 ივნისი. ვინაიდან მონარქისტ-თეთრგვარდიელთა ხროვა, რომელიც საზღვარ-გარეთიდან მოქმედობს უცხოელ მზვერავების კარნახით და მათი ფულებით, აშკარად გადავიდა ტერორისტულ და დივერსიულ დანგრეველ მუშაობაზე,—გაერთიანებულ სახელმწ. პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიამ დაადგინა გამოაქვეყნოს **უმაღლესი სასჯელის—დახვრეტის** განაჩენი, რომელიც გამოტანილ იქნა ა. წ. 9 ივნისის სხდომაზე შემდეგ პირთა მიმართ:

1) **დოლგორუკოვი** პავლე დიმიტრის ძე, ყოფილი თავადი და მსხვილი მემამულე, კადეტთა პარტიის ცეკას წევრი, რომელიც თეთრგვარდიელთა დამარცხების შემდეგ ვრანგელის არმიის ნაშთებთან ერთად გაიქცა სტამბოლში, სადაც იგი იყო ვრანგელის საფინანსო საკონტროლო კომისიის წევრი; შემდეგ გადავიდა პარიზში, სადაც იყო თეთრგვარდიელთა „პარიზის ეროვნული კომიტეტის“ თავმჯდომარის მოადგილე, ხელმძღვანელის მონაწილეობას იღებდა საზღვარგარეთის მონარქისტულ ორგანიზაციებში და მათ მოქმედებაში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე: 1926 წელში არალეგალურად რუმინიის საზღვრიდან გადმოვიდა უკრაინის რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმ მიზნით, რომ მოეწყო კონტრ-რევოლიუციონური, მონარქისტული და ჯაშუშური ჯგუფები უცხოეთის ინტერვენციის მოსამზადებლად.

2) **ელვანგრენი,** გიორგი ევგენის ძე, გვარდიის კირასირის პოლკის ყოფილი შტაბ-როტმისტრი, ინგერმანლანდის და კარელიის აჯანყებათა ორგანიზატორი და ხელმძღვანელი 1918-19 წ. წ., ტაგანცევის კონტრ - რევოლიუციონური ორგანიზაციის მონაწილე ლენინგრადში, ორგანიზაციის, რომლის ლიკვიდაცია მოხდა 1921 წელში; კრონშტადტის ამბოხების მონაწილე; ბორის სავინკოვის ერთ-ერთი მახლობელი თანაშემწე თეთრგვარდიელთა „სამშობლოს და თავისუფლების დაცვის კავშირის“ საქმეებში; სავინკოვისვე ერთ-ერთი თანაშემწე იმ საქმეში, რომელიც ინგლისის მთავრობის ფულით და ინგლისის მზვერავთა ნაწილის და ავიაციის ოფიცრის გეორგ სიდნეი რეილის დახმარებით იყო მოწყობილი და რომელიც მიზნად ისახავდა თავს დასხმოდა გენუის კონფერენციაზე ამხ. ჩიჩერინის მეთაურობით მყოფ საბჭოთა დელეგაციას მისი ბერლინში გავლის დროს; ორგანიზატორი მთელ რიგ თავდასხმათა საბჭოთა წარმომადგენლებზე. გერმანიაში 1921-დან 1923 წლამდე—ინგლისის მთავრობისა და პარიზის მონარქისტულ სავაჭრო სამრეწველო და საფინანსო კავშირის ფულით; საერთაშორისო ტერორისტ, ამხ. ვოროვსკის მკვლელობის ხელმძღვანელ ობერთან და ეგრედ წოდებულ იმპერატორ კირილესთან ერთად ამხ. ჩიჩერინზე თავდასხმის მომწყობი 1925 წლის შემოდგომაზე საფრანგეთში; 1926 წელში არალეგალურად გადავიდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იმ მიზნით, რომ ფართოდ მოეწყო კონტრ-რევოლიუციონური და ტერორისტული ჯგუფები.

3) **მალევიჩი-მალევსკი,** კონსტანტინე ნიკოლოზის ძე, ყოფ. აზნაური და თეთრგვარდიელი ოფიცერი; მსახურობდა ინგლისის მზვერავ რაზმში და ბრიტანეთის მისიის დავალებით სპარსეთში მოაწყო კონტრ-რევოლიუციონური აჯანყება ბრიტანეთის იმპერიალიზმის სასარგებლოდ; ინგლისის მზვერავ ნაწილის მიერ 1927 წ. გაგზავნილ იქნა საბჭოთა კავშირში ჯაშუშობისა და დივერსიულ მუშაობის გასაწევად.

4) **ევრეინოვი,** ვლადიმერ ალექსანდრეს ძე, ყოფ. აზნაური და მეფის კონსული, მეფის მზვერავ რაზმის ყოფ. უფროსი სპარსეთში, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის თანამშრომელი; იყო ბრიტანეთის საქმეთა რწმუნებულის, ხოჯსონის აგენტი და აძლევდა მას ჯაშუშურ ხასიათის ცნობებს სახელმწიფო ბანკის ფინანსიურ გეგმებსა და მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების შესახებ.

5) **სკალსკი,** ალექსანდრე ევგენის ძე, ყოფ. აზნაური, მსახურებდა ინგლისელთა მზვერავ რაზმში და ინგლისის ჯაშუშს ფინეთში, ბუნაკოვს აწვდიდა საიდუმლო ცნობებს საბჭოთა კავშირის ავიაციის და სამხედრო მრეწველობის შესახებ.

6) **პოპოვი,** მიხეილ ალექსანდრეს ძე, ყოფ. ოფიცერი, მსხვილი მემამულე-მრეწველთაგანი; 1927 წ. საფრანგეთში წავიდა და იქ შევიდა მონარქისტულ ორგანიზაციის შემადგენლობაში ყოფ. მეფის ელჩ მაკლაკოვის მეთაურობით; შემდეგ დაბრუნდა საბჭოთა კავშირში მაკლაკოვის დავალებით საიდუმლო კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობის საწარმოებლად.

7) **შეგლოვიტოვი,** ევგენი ნიკოლოზის ძე, ყოფ. აზნაური, გენერლის შვილი; უცხოელ შტატების დავალებით ეწეოდა კონტრ-რევოლიუციონურ მონარქისტულ და ჯაშუშურ მუშაობას.

8) **ვიშნიაკოვი,** ვლადიმერ ივანეს ძე, ყოფილი ნაფიცი ვექილი, მონაწილე კონტრ-რევოლიუციონურ მონარქისტულ ორგანიზაციისა, რომელიც დაკავშირებული იყო ემიგრაციასთან; ხელს უწყობდა საზღვარ-გარეთიდან შემოსულ ცეცხლის წამკიდებლებს და ტერორისტებს.

9) **სურალინი,** ივანე მიხეილის ძე, ვრანგელის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი, ყოფილი აზნაური, ვრანგელის კონტრდაზვერვის ყოფილი უფროსი ბულგარეთში, განსვენებულ ამხ. კრასინზე უშედეგო თავდასხმის მომწყობი; 1926 წელში არალეგალურად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში ყოფილი დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის დავალებით, რომ მოეწყო და შეესრულებია ტერორისტული აქტები.

10) **მურაკოვი,** ალექსი ფეოდორეს ძე, ვაჭარი, კონტრ - რევოლიუციონური მონარქისტული ორგანიზაციის აქტიური მონაწილე, რომელიც ფინანსებს აწვდიდა ამ ორგანიზაციას საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

11) **პავლოვიჩი,** ნიკოლოზ ანდრიას ძე, კიევის მებრძოლი რაზმის „ორთავიანი არწივის“ ყოფილი უფროსი, დენიკინის შტაბის ცნობილი კონტრ - მზვერავი, რომელიც მონარქისტული ორგანიზაციების დავალებით კიევში აწარმოებდა კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობას.

12) **ნორიშკინი,** ბორის ალექსისძე, ჩერნიგორის გუსართა პოლკის ყოფილი ოფიცერი, კირილის მომხრე; პროპაგანდას ეწეოდა ინგლისის ინტერვენციის სასარგებლოდ და სისტემატიურად აწარმოებდა მუშაობას არალეგალური კონტრ - რევოლიუციონური ჯგუფის შესაქმნელად; ჯაშუშურ დახმარებას უწევდა უცხოეთის მთელ რიგ წარმომადგენლობებს მოსკოვში.

13) **პოპოვი - კარატოვი,** ალექსი ანდრიას ძე, ყოფილი აზნაური და კამერგერი, ყოფილი კაპიტანი, რომელიც უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩამოვიდა ბანდიტური რაზმების ორგანიზატორ და რუმინიის მზვერავთა აგენტ ურენიუკთან ერთად იმ მიზნით, რომ კონტრ - რევოლიუციონური და ბანდიტური მუშაობა ეწარმოებია უკრაინაში.

14) **მიკულინი** ალექსანდრე ალექსანდრეს ძე, ყოფილი აზნაური და სახელმწიფო საბჭოს წევრი, ყოფილი დიდ მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მონარქისტული ჯგუფის წევრი, რომელსაც მოწყობილი ქონდა ბინები, სადაც იმალებოდენ საზღვარ-გარეთიდან ჩამოსული ჯაშუში დივერსანტები და ტერორისტები.

15) **ლიჩევი,** ნიკოლოზ ივანეს ძე, რკინის გზის გვარდიის პოლკის ყოფილი ოფიცერი, რომელიც დეპარტამენტის პოლიციის განკარგულებაში იყო გაგზავნილი; უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მუშაობდა საიდუმლო მზვერავად ინგლისის მისიის წევრ ჩანნოკთან და ამ უკანასკნელს აძლევდა როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური ხასიათის ჯაშუშურ ცნობებს.

16) **კორომპენკო,** ნიკოლოზ ანდრიას ძე, კოლჩაკის ყოფილი კაპიტანი, თეთრი ატამანის სემიონოვის უახლოესი თანაშემწე ციმბირში, უკანასკნელ ხანებში—ბრიტანეთის საქმეთა რწმუნებულის ხოჯსონის ჯაშუში, რომელსაც იგი აცნობებდა ანტი-საბჭოთა მონარქისტული წრეების სულისკვეთებას, აწვდიდა ცნობებს წითელი არმიის მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის შესახებ.

17) **გურევიჩი,** სოლომონ ნაუმის ძე, ჟურნალისტი, ბოისკაუტების არალეგალური რაზმის ყოფილი უფროსი, რომელიც სცდილობდა ტერორისტული აქტები ჩაედინა ამხ. ბუხარინის, რიკოვის და სტალინის წინააღმდეგ.

18) **მაზურენკო,** სერგეი ემელიანეს ძე, კოლჩაკის ყოფილი ოფიცერი, მსახურობდა საზღვაო ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოში, იყო ბრიტანეთის საქმეთა რწმუნებულის ხოჯსონის აგენტი—ინფორმატორი და მას აცნობებდა ჯაშუშურ ცნობებს საზღვაო და რკინის გზის ტრანსპორტისა და სამხედრო მასალების გადაზიდვის შესახებ.

19) **ანენკოვი,** ვასილი ივანეს ძე (იგივე—მახროვი, არსენიევი), იუდენიჩის არმიის ყოფ ოფიცერი, 1927 წ. დასაწყისში არალეგალურად შემოიპარა პარიზიდან საბჭოთა კავშირში, ყოფ. დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მომხრე რუს მონარქისტებისაგან დავალებული ჰქონდა ტერორისტულ და დივერსიონულ აქტების მოწყობა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

20) **მეშერსკიი,** ალექსანდრე ალექსანდრეს ძე, ყოფ. მემამულე, აქტიური მონარქისტი, აწარმოებდა მუშაობას აქტიურ ანტი-საბჭოთა ელემენტების შესაკავშირებლად, მოუწოდებდა უცხოელთა ინტერვენციის ორგანიზაციისაკენ საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად; ყოფ. დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მომხრე.

განაჩენი სისრულეშია მოყვანილი.

გაერთიანებულ სახ. პოლიტიკურ სამმართველოს თავმჯდომარე **მენჟინსკი.**

მოსკოვი, 9 ივნისი, 1927 წ.

ამხ. ვოიკოვის მოკვლის გარშემო

ამხ. ვოიკოვის უკანასკნელი წუთები. — გვირგვინი ამხ. ვოიკოვის კუბოზე პოლონეთის მთავრობისაგან. — პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ზალესკის დეპეშა ამხ. ვოიკოვის ქვრივს. —პოლონეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი და პოლონეთის სახელმწიფო, საზოგადოებრივ, სამეცნიერო და ლიტერატურულ ორგანიზაციების წარმომადგენლები ვარშავის საბჭოთა წარმომადგენლობაში. — უცხოეთის გაზეთების უმრავლესობა ამხ. ვოიკოვის მოკვლას აფასებს, როგორც ინგლისის პროვოკაციის შედეგს.

საბჭოთა საზოგადოებრიობის პროტესტი ამხ. ვოიკოვის მოკვლის გამო

ამხ. ვოიკოვის უკანასკნელი წუთები

ვარშავა, 8 ივნისი. საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მდივანმა ვარშავაში **არკადიევმა,** რომელიც პირველად მივიდა ჰოსპიტალში ვოიკოვზე თავდასხმის შემდეგ, საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს აცნობა თავისი უკანასკნელი საუბარი განსვენებულთან.

კითხვაზე: იცნო თუ არა მან არკადიევი, ვოიკოვმა დასტურით უპასუხა და სთხოვა დაუყოვნებლივ წაეღო ცეცხლგამძლე შკაფის გასაღები, რომელიც მასთან ჰქონდა. როცა არკადიევმა აიღო გასაღები, ვოიკოვი დამშვიდდა.

ამის შემდეგ ვოიკოვმა იკითხა, თუ როგორია მისი მდგომარეობა. როცა მან არკადიევისაგან დამამშვიდებელი პასუხი მიიღო, დაიწყო ლაპარაკი პირად საქმეებზე. ლაპარაკი რამოდენიმე წუთს გაგრძელდა. ვოიკოვი თანდათან უფრო და უფრო სუსტდებოდა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „მეძინება“.

არკადიევის კითხვაზე: რამდენმა კაცმა და ვინ ესროლა, ვოიკოვმა ველარ შესძლო პასუხის გაცემა და მხოლოდ ხელით აჩვენა, რომ ერთმა კაცმა ესროლა. (ადს).

ამხ. ვოიკოვის კუბოსთან

ვარშავა, 8 ივნისი. ვოიკოვის ნეშტი მოთავსებულია სრულუფლებიან წარმომადგენლობის შენობაში.

8 ივნისს სრულუფლებიან წარმომადგენლობას ეწვიენ გარეშე საქმეთა მინისტრი **ზალესკი** და პრეზიდენტის კანცელარიის უფროსი, რომლებმაც გვირგვინი დასდვეს კუბოსთან. მერე გვირგვინი მოიტანა სავაჭრო დელეგაციამ.

ვოიკოვის ნეშტთან გამოსამშვიდობებლად მივიდენ: სამხედრო მინისტრის ამხანაგი, პრეზიდენტის კანცელიარიის დირექტორი, პროფესურის წარმომადგენელნი, ექიმების დელეგაცია, თავისუფალ მოაზროვნეთა კავშირის დელეგაცია, ებრაელ მწერალთა კავშირის წევრნი, გერმანიის, საფრანგეთის, შვეციის ელჩნი და ოსმალეთის რწმუნებული.

ვოიკოვის ნეშტთან გამოსამშვიდობებლად მოვიდენ მუშათა ჯგუფები ოჯახებით. სრულუფლებიანი წარმომადგენლობის შესვლაში დიდი რიგია. შედიან და გამოდიან მუშები და ცალკე ინტელიგენტები. 3-დან 8 საათამდე დარბაზში გაიარა 4.000-მდე კაცმა.

ვოიკოვის ნეშტთან გამოსამშვიდობებლათ მოსულთა რიცხვი დღისით მნიშვნელოვნად გაიზარდა და პოზნანის ქუჩის ნახევარი უჭირავს. რიგში თითქმის სულ მუშები დგანან. (ადს).

ვარშავა, 8 ივნისი. 8 ივნისს, სრულუფლებიან წარმომადგენლობის დარბაზში, სადაც ასვენია ვოიკოვის ცხედარი, გაიარა 20.000 მეტმა კაცმა. **ვოიკოვის ნეშთთან გამოთხოვებამ მიიღო დიდი დემონსტრაციის ხასიათი.** კუბოსთან მოტანილია გვირგვინები მრავალი ფაბრიკებიდან. ამხ. ვოიკოვის ნეშთთან გამოსათხოვებლად ჩამოვიდა პოკონზკის რაიონის მელითონეთა დელეგაცია და საალმშენებლო მუშათა წარმომადგენლები. გამოგზავნილია გვირგვინები პოლონეთის კომუნისტური პარტიისაგან, სეიმის კომფრაქციისაგან, დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის კომპარტიებისაგან და კომკავშირისაგან.

ტეხნიკური მიზეზების გამო ამხ. ვოიკოვის ნეშთი წასვენებული იქნება მოსკოვში მხოლოდ პარასკევს დილით. (ადს).

ზალესკის წერილი

ვარშავა, 8 ივნისი. პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ზალესკიმ ამხ. ვოიკოვის ქვრივს გამოუგზავნა წერილი, რომელშიც აცნობებს, რომ ჟენევაში გამგზავრების გამო პირადათ არ შეუძლია დაესწროს დაკრძალვას. (ადს).

პრესის გამოძახილი

გერმანიის პრესა

აღნიშნავენ ინგლისელ კონსერვატორების ორჭოფობას

ბერლინი, 8 ივნისი. ბერლინის ზოგიერთი გაზეთების ლონდონელი კორესპონდენტები აღნიშნავენ კონსერვატიული პრესის საოცარ დამოკიდებულებას ვოიკოვის მკვლელობისადმი. „ფოსიშე ცეიტუნგი“-ს კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ კონსერვატიული გაზეთები თუმცა გმობენ ვოიკოვის მკვლელობას, მაგრამ ამასთანავე მოჰყავთ ისეთი ფაქტები, რომ იქმნება მკვლელობის გამართლების შთაბეჭდილება.

ბერლინი, 7 ივნისი. კომუნისტური „როტე ფანე“ სწერს:

„ფორვერტსმა“, როგორც ყოველმა ბურჟუაზიულმა გაზეთმა, ცნობები ჩემბერლენის გალაფრენის შესახებ მოათავსა თვალსაჩინო ადგილას, ხოლო ვოიკოვის მოკვლის შესახებ მოათავსა ისეთი კომენტარიები, რომლებსაც თვით ჩემბერლენიც კი ვერ დასწერდა უკეთესად“. (ადს)

პასუხისმგებლობა ინგლისს ეკისრება

ბერლინი, 7 ივნისი. ვოიკოვის მკვლელობის გამო ცენტრის პარტიის ორგანო სწერს:

„საბჭოთა პრესა დაჟინებით აღნიშნავს, რომ ამ წლის დასასრულში მოსალოდნელია თავდასხმა პოლონეთის მხრივ. გაზეთი იგონებს ამ წინასწარმეტყველებას და აღნიშნავს, რომ პასუხისმგებლობა ინგლისსაც ეკისრება. (ადს)

ავსტრიის პრესა

ყველა გონიერი ელემენტები საბჭოთა კავშირს თანაუგრძნობენ

ვენა, 8 ივნისი. გაზ. „არბეიტერ ცეიტუნგი“ ვოიკოვის მოკვლის გამო მოწინავე წერილში სწერს:

„პასუხისმგებლობა ვოიკოვის მოკვლისათვის ჩემბერლენს ეკისრება. დიპლომატიური აქტი ლონდონში ღებულობს მკვლელობის სახეს ვარშავაში. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ რუსეთმა ემიგრაციის პროვოკაციაზე უპასუხოს ზარბაზნების სროლით. რუსეთის სულიერი განწყობილება მსუბუქდება, როდესაც დაინახავს საზღვარგარეთ ძალებს, რომლებიც გაილაშქრებენ დიდ ქვეყნებზე თავდასხმათა და დიდი ხალხის შეურაცყოფის წინააღმდეგ. ეხლა ბურჟუაზიის გონივრული ელემენტებიც კი ხედავენ, თუ როგორ დასცინობს მოლაყბე ჩემბერლენი, ანთებული ჩირაღდანით თოფის წამლით სავსე საწყობთან“ (ადს)

ომის საფრთხე

ვენა, 8 ივნისი. კომპარტიის ორგანო „როტე ფანე“ სწერს:

„ვარშავაში მომხდარმა მკვლელობამ უნდა გასამკეცოს და გაათკეცოს საერთაშორისო პროლეტარიატის ძალღონე ომის ახალი საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც მნიშვნელოვნად გამწვავდება ვოიკოვის მოკვლის გამო

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ვოიკოვის მოკვლის გარშემო

საფრანგეთის პრესა
ანტანტის და ერთა ლიგის გაკოტრება

პარიზი, 7 ივნისი. მემარცხენე ბურჟუაზიული „ერ ნუველი“ სწერს:

„მეტად მწვავეა პოლიტიკური ატმოსფერა. ქაირში ზარბაზნები მზადაა, საზღვრები ბალკანეთში იხურება, ვარშავაში იღვრება სისხლი. თუ იტალია - სამხრეთ - სლავიის კონფლიქტი, შეტაკება ეგვიპტეში და საბჭოთა კავშირის და დასავლეთის ურთიერთობის პრობლემა არ მოწესრიგდა, მაშინ დადგება ანტანტის და ერთა ლიგის გაკოტრებისა და ევროპის წესწყობილების დანგრევის ჟამი“. (ადს).

ჩეხიის პრესა
ინგლისის პროვოკაციის შედეგი

პრაღა, 8 ივნისი. კომუნისტური „რუდე პრავო“ სწერს:

„ვოიკოვის მკვლელობა ინგლისის პროვოკაციული აქტების ერთ-ერთი რგოლია. ყველგან ჩვენ ვაწყდებით ინგლისის ბინძური მუშაობის კვალს, რომელიც სცდილობს გამოიწვიოს ომი, იხსნას თავისი პრესტიჟი და ყოველგვარი საშუალებით შეუშალოს ხელი საბჭოთა კავშირის აღმშენებლობას. მკვლელობა ნიშნავს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრების დასაწყისს.

უცხოეთის მშრომელთა პროტესტი

გერმანიის პროლეტარიატის ხმა

ბერლინი, 8 ივნისი. იმ ქუჩის მოსახლეობამ, სადაც დაბანაკებულია წითელ ფრონტელების კავშირის რურის ორგანიზაცია, გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც აცხადებს, რომ **ისინი მზად არიან ყოველგვარი საშუალებით დაიცვან საბჭოთა კავშირი და ფიცს სდებენ სამაგიერო გადაუხადონ მკვლელის ყველა რეაქციონურ თანამოაზრეებს.**

ბერლინიდან ხემნიცში დაბრუნებულ წითელ ფრონტელებს აუარებელი მუშები დახვდენ. მოედანზე გაიმართა დიდი საპროტესტო დემონსტრაცია ვარშავაში მომხდარი მკვლელობის წინააღმდეგ. (ადს).

გვიდო მილიოლის წერილი

მოსკოვი, 9 ივნისი. გლეხთა ინტერნაციონალის გენერალური მდივნის მოადგილის დომბალის სახელზე მიღებულია იტალიის კათოლიკ გლეხთა ერთ-ერთი ბელადის, პოპოლიარის პარტიის დეპუტატის გვიდო მილიოლის წერილი.

„ბოროტმოქმედი იმპერიალიზმის ყოველი მსხვერპლი, ნათქვამია წერილში, ამრავლებს რევოლიუციონერების ძალებს. ვარშავაში დაღვრილი სისხლი ახალ მებრძოლ ძალებს წარმოშობს. თავის რევოლიუციონურ პოსტზე დაღუპული გმირი იცოცხლებს ყველა მშრომელთა ხსოვნაში და წაიყვანს მათ გამარჯვებისაკენ. ძმურის სალამით მილიოლი“ (ადს).

პოლონეთის კომპარტიის ც. კ. დეპეშა

მოსკოვი, 9 ივნისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ პოლონეთის კომპარტიის ცეკასაგან მიიღო დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია:

„**პოლონეთის რევოლიუციონურ მუშების და გლეხების მთელი სიმპატია არის საბჭოთა კავშირის მხარეზე და უცხოელ იმპერიალისტურ ავაზაკების წინააღმდეგ.** ცეკა პარტიის სახელით არწმუნებს საბჭოთა კავშირის მშრომელებს, საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის პარტიას—საკავშირო კომპარტიას, რომ ვარშავაში **ჩადენილი ვერაგული აქტი გააძლიერებს პოლონეთის პროლეტარულ მასებში ღრმა სიყვარულს მთელი მსოფლიოს პროლეტარების სამშობლოსადმი, საბჭოთა კავშირისადმი, გაათკეცებს ბრძოლას იმპერიალისტური ომის საფრთხის და პილსუდსკის ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ**“. (ადს).

უცხოეთის წარმომადგენლების სამძიმარი

ლატვიის მთავრობის სამძიმარი

რიგა, 8 ივნისი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლატვიაში ლორენცი ინახულა გარეშე საქმეთა სამინისტროს საპროტოკოლო ნაწილის გამგემ, რომელმაც გარეშე საქმეთა მინისტრის (ცილიენსის და სამინისტროს უმაღლესი თანამდებობის პირთა სახელით განუცხადა სამძიმარი ვოიკოვის მოკვლის გამო.

პოლონეთის გენ. კონსულის სამძიმარი

ხარკოვი, 9 ივნისი. 8 ივნისს დილის 10 საათზე უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის რწმუნებულის მოადგილემ კულიკმა მიიღო პოლონეთის გენერალური კონსული ხარკოვში **ზარემბა-სკშინსკი და საკონსულოს მდივანი ლეშნერი.** პოლონეთის მთავრობის სახელით კონსულმა გამოსთქვა მწუხარება საზიზღარი მკვლელობის გამო და დაუმატა, რომ **დამნაშავენი დასჯილი იქნებიან კანონის მთელი სიმკაცრით.** გენერალურმა კონსულმა გამოსთქვა რწმენა, რომ **სასამართლოს განაჩენი დააკმაყოფილებს სამართლიანობას და მკვლელის მუხანათური ხელი ვერ გასწყვეტავს კეთილი თანხმობის ძაფებს ორივე სახელმწიფოს შორის და ვერ ჩაშლის მეგობრობას, რომელიც ესოდენ საჭიროა მშვიდობიანობის საქმისათვის.** (ადს).

გერმანიის კონსულის სამძიმარი

ხარკოვი, 9 ივნისი. 8 ივნისს გერმანიის კონსულმა **გრამმა** ინახულა გარეშე საქმეთა სახკომისარიატის რწმუნებულის მოადგილე კულიკი და გამოუცხადა მას გერმანიის მთავრობის სახელით ღრმესი თანაგრძნობა და აღშფოთება ვოიკოვის მოკვლის გამო. (ადს)

ინგლის-რუსეთის საპარლამენტო კაბინეტის დეპეშა

მოსკოვი, 9 ივნისი. ამხ. რიკოვის სახელზე ინგლის-რუსეთის საპარლამენტო კომიტეტისაგან მიღებულ იქნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„ინგლის-რუსეთის საპარლამენტო კომიტეტის წევრნი, აღშფოთებულნი ვოიკოვის მოკვლით, გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ რუსეთის ხალხს მძიმე დანაკლისის მომენტში. კომიტეტი სცნობს, რომ დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა დიდ ბრიტანეთთან აქეზებს რუს მონარქისტების ბოროტმოქმედებას საბჭოების წინააღმდეგ. კომიტეტი მთელი ძალღონით შეეცდება ინგლის-რუსეთის დაახლოებას ახლო მომავალში. მდივანი კოტსი“ (ადს).

ოსმალეთის და იტალიის კონსულების სამძიმარი

9 ივნისს ოსმალეთის გენერალურმა კონსულმა თბილისში ალი რუფიკ-ბეიმ ინახულა საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამიერ-კავკასიაში ამხ. **კარკლინი** და ოსმალეთის მთავრობის სახელით გამოუცხადა მას თანაგრძნობა ამხ. ვოიკოვის მოკვლის გამო.

იტალიის გენერალურმა კონსულმა თბილისში ბიანკი მარიომ ამხ. კარკლინს გამოუგზავნა სადარბაზო ბარათი სამძიმარის გამოცხადებით.

ამხ. კალინინის დეპეშა

ვოიკოვის მეუღლეს

მოსკოვი, 9 ივნისი. კალინინმა ამხ. ვოიკოვის ცოლს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმი თქვენთან ერთად გლოვობს ამხ. ვოიკოვს, საბჭოთა კავშირის ღირსეულ წარმომადგენლის დაკარგვას. ამხ. ვოიკოვი დაეცა თავის პოსტზე. თქვენი ქმრის ვერაგულად მოკვლა, რომელიც წარმოადგენს ახალ საფრთხეს მშვიდობიანობის საქმისათვის, კიდევ უფრო გააერთიანებს და გაამტკიცებს საბჭოთა კავშირის მშრომელთა რიგებს, რათა ერთსულოვნად წინ აღუდგეთ საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ მომართულ იერიშებს მიუხედავათ იმისა, ვინც არ უნდა იყოს მათი მომწყობი და სულის ჩამდგმელი“ (ადს)

ჩვენი პასუხი იმპერიალისტების პროვოკაციაზე

ესკადრილია „ურთიერთობის გაწყვეტა“.

ხარკოვი, 9 ივნისი. წერილში, რომელიც ხარკოვის ყველა გაზეთებში დაიბეჭდა, ამხ. პეტროვსკი საჭიროდ სთვლის ინგლისთან ურთიერთობის ჩაშლის საპასუხოდ უკრაინაში შეიქმნას ჰაეროპლანების ესკადრილია სახელწოდებით „ურთიერთობის გაწყვეტა“. ამხ. პეტროვსკიმ პირველმა შესწირა 10 მანეთი ჰაეროპლან „პროლეტარი“-ს ასაგებად (ადს).

5.000 მანეთი თავდაცვის ფონდისათვის.

მოსკოვი, 9 ივნისი. მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა 5.000 მანეთი გადასდოს ქვეყნის თავდაცვის გასაძლიერებელ ფონდში („ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“) და მოუწოდოს მუშათა და გლეხთა ორგანიზაციებს მიბაძონ ამ მაგალითს (ადს).

საბჭოთა საზოგადოებრიობის პროტესტი

ფხიზლად მშრომელთა რესპუბლიკის სადარაჯოზე

მოსკოვი, 9 ივნისი. ამხ. ვოროვსკის სახელობის კლუბში ამხ. ვოიკოვის ხსოვნის აღსანიშნავად შესდგა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშა - მოსამსახურეების სამგლოვიარო კრება. გამოსული ორატორები აღნიშნავდენ, რომ საბოთა მთავრობა ყოველგვარ ზომებს მიმართავს მშვიდობიანობის დასაცავად. მაგრამ ამასთანავე ჩვენ მზათ ვართ, თუ გვაიძულებენ, თავგანწირულად დავიცვად ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარი. ყველა მშრომელები უნდა შემოკრბენ საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის გარშემო. თოფის წამალი მშრალად უნდა შევინახოთ. მშრომელები სადარაჯოზე უნდა იდგენ.

მიღებულ რეზოლიუციაში კრება მოუწოდებს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლებს ფხიზლად იდგენ პოსტებზე. კრებამ აირჩია კომისია ამხ. ვოიკოვის ხსოვნის უკვდავსაყოფად. (ადს)

ცენტროსოიუზის რეზოლიუცია

მოსკოვი, 9 ივნისი. ცენტროსოიუზმა ამხ. ვოიკოვის მოკვლის შესახებ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ფართო კოოპერატიული მასების სახელით გამოსთქვამს მწუხარებას. (ადს)

საპროტესტო რეზოლიუციები

მოსკოვი, 9 ივნისი. საპროტესტო რეზოლიუციები ამხ. ვოიკოვის მოკვლის გამო მიიღო შემაღარიეთა მბეჭდავთა, მეტყევეთა და სხ. პროფკავშირების ცენტრ. კომიტეტებმა. (ადს)

შაქრის მრეწველობის მუშათა პროტესტი

მოსკოვი, 9 ივნისი. შაქრის მრეწველობის მე-VIII საკავშირო ყრილობა ამხ. ვოიკოვის მოკვლის შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში შაქრის მრეწველობაში მომუშავე ყველა მუშებს მიმართავს მოწოდებით, გააძლიერონ ყურადღება ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საკითხებისადმი. (ადს)

ხის დამმუშავებელთა კონფერენციის რეზოლიუცია

მოსკოვი, 9 ივნისი. ხის დამმუშავებელთა მე-VIII საკავშირო კონფერენცია 175.000 მუშის სახელით გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას ამხ. ვოიკოვის ტრაღიკული სიკვდილის გამო, ამასთანავე ყრილობა გამოსთქვამს რწმენას, რომ საბჭოთა კავშირი შესძლებს ფაშისტურ თავდასხმებს დაუპირისპიროს თავისი დარაზმულობა. (ადს)

საკავშირო პროფსაბჭოს, კავშირების ცეკას და პროფინტერნის თანამშრომელთა კრება

მოსკოვი, 9 ივნისი. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს, კავშირების ცენტრ. კომიტეტების და პროფინტერნის თანამშრომელთა საერთო კრება აცხადებს, რომ პასუხისმგებლობა ვოიკოვის მოკვლისათვის ეკისრება პილსუდსკის ფაშისტურ მთავრობას, რომელიც თავშესაფარს აძლევს თეთრგვარდიელთა ორგანიზაციების ნაშთებს.

მოსკოვის საბჭოს მოწოდება

მოსკოვი, 9 ივნისი. ამხ. ვოიკოვის მოკვლის გამო, მოსკოვის საბჭომ მიმართა მოსკოვის და მისი გუბერნიის მშრომელებს მოწოდებით, რომელშიც პროტესტს უცხადებს მკვლელობის წინააღმდეგ და აცხადებს:

„მოახლოებული საფრთხის წინ შეამჭიდროეთ თქვენი რიგები კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო. იმპერიალისტები აპირებენ თავდასხმას ჩვენ თავისუფალ შრომაზე, ჩვენ მიწა-წყალზე და ჩვენ ფაბრიკებზე. მოსკოვის საბჭო დარწმუნებულია, რომ პასუხად საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციის მუხანათური ზრახვისა მოსკოვის და მისი გუბერნიის მშრომელები მზად იქნებიან მტრის შესახვედრად და მუშათა და გლეხთა ქვეყნის დასაცავათ (ადს).

გლოვის დღე

მოსკოვი, 9 ივნისი. ამხ. ვოიკოვის მოკვლის გამო მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმმა 8 ივნისს აკრძალა ყოველგვარი სანახაობანი

დემონსტრაცია მოსკოვში

მოსკოვი, 9 ივნისი. მოსკოვში ფაბრიკებში, ქარხნებში და დაწესებულებებში მუშაობის დამთავრების შემდეგ გაიმართა საპროტესტო მიტინგები ამხ. ვოიკოვის მოკვლის გამო. მიღებულ რეზოლიუციებში მუშები მოუწოდებდენ მშრომელებს შემოკრბენ საკავშირო კომპარტის (ბ) და საბჭოთა მთავრობის გარშემო მშვიდობიანობისათვის საბრძოლველად და გააძლიერონ მუშაობა საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის.

მიტინგების შემდეგ გაიმართა დემონსტრაცია. დემონსტრანტების დაუსრულებელი რიგები გაემართენ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისაკენ, სადაც გაიხსნა მიტინგი. აქედან დემონსტრანტები გაემართენ მოსკოვის საბჭოსაკენ. დემონსტრაციის ლოზუნგები იყო: „ახალ პროვოკაციას ჩვენ ვუპასუხებთ ჩვენი შეიარაღებული ძალების განმტკიცებით! ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი მთავრობისაგან გადამწყვეტ ზომებს ფაშისტებისა და ბანდიტების წინააღმდეგ! პროლეტარებო, შეამჭიდროვეთ მებრძოლი რიგები და სწორად ამოიღეთ ნიშანში ვერაგი მკვლელები“!

დაღამებამდე მოსკოვის მოედნები გაჭედილი იყო დემონსტრანტებით. სულ დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა რამდენიმე ასი ათასი კაცი. (ადს).

ჩინეთის ამბები

ნანკინის მთავრობის მილიტარიზაცია

შანხაი, 8 ივნისი. გენერალი იან-ხუ შანხაიდან გაემგზავრა ნანკინში იმ მიზნით, რომ ჩან-კაი-შის გადასცეს თხოვნა გადადგომის შესახებ; გადადგომას იგი ასაბუთებს იმით, რომ „მას მომავალში აღარ შეუძლია ბაი-ძუნ-ჩინ-თან ერთად მუშაობა“.

ჩან-კაი-ში შიშობს, რომ ნანკინის მთავრობაში არ გაძლიერდენ სამოქალაქო პირები და ამიტომ მან გასცა ბრძანება არმიის პოლიტგანყოფილებათა რეორგანიზაციის შესახებ, რომ ამით უზრუნველყოფილ იქნას სამხედრო მოღვაწეთა გავლენა მთავრობაში. **მომავალში ძალაუფლება პოლიტიკურ განყოფილებებში მხოლოდ სამხედრო პირებს ხელში იქნება.** (ადს).

უგუნური პოლიტიკა

ტოკიო, 9 ივნისი. ანტი იაპონურმა მოძრაობამ, რომელიც ჩინეთში წარმოიშვა ჩრდილოეთ ჩინეთში იაპონიის ჯარების გაგზავნის გამო, ალბათ უკვე იქონია გავლენა იაპონიის საზოგადოებრივ აზრზე, ვინაიდან **პრესა კვლავ მოითხოვს მილიტარისტული პოლიტიკის შეწყვეტას ჩინეთში.** სეიუკაის პარტიის ორგანოც კი თავის მოწინავე წერილში თუმცა იწონებს პრემიერ ტანაკას მოქმედებას იმის გამო, რომ მან უარჰყო წინანდელი კაბინეტის პასიური ტაქტიკა და შეუერთდა დანარჩენი სახელმწიფოების ტაქტიკას, მაგრამ მაინც ბოლოს და ბოლოს გამოსთქვამს შიშს, რომ **სახელმწიფოებთან თანამშრომლობას მოჰყვება იაპონიის ინტერესების მსხვერპლად შეწირვა ინგლისის სასარგებლოდ.**

კონსერვატიული „იოროძუ“ მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ჩინეთის და იაპონიის მეგობრული ურთიერთობა ამჟამად კვლავ გაუარესდა. „მილიტარისტული პოლიტიკა,—სწერს გაზეთი,—ჩვენს დროში—უგუნურებას წარმოადგენს“. (ადს).

გამარჯვების დღესასწაული

ხანკოუ, 8 ივნისი. ხენანში ნაციონალური არმიების ბრწყინვალე გამარჯვების და ჩან-ძო-ლინის არმიის დასავლეთ ფრთის განადგურების გამო ხანკოუში, უჩანში და ხანიანში გაიმართა მრავალრიცხოვანი საზეიმო მიტინგები.

ჩან-კაი-შის ტერორი

ნიუ-იორკი, 8 ივნისი. „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“-ს შანხაელი კორესპონდენტი იუწყება:

„კომუნისტების სიკვდილით დასჯა შანხაიში და ნანკინში გრძელდება. სიშანი ნაციონალისტებისაკენ იხრება. ჩან-კაი-ში მოლაპარაკებას აწარმოებს ჩან-ძო-ლინთან შეთანხმების შესახებ კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და სუნ-იატ-სენის პრინციპების მიღების საფუძველზე“. (ადს).

შანხაი, 8 ივნისი. სიკვდილით დასაჯეს ორი კომუნისტი,—ძუნ-დუნ-იუის ქუშათა პიკეტების ყოფილი უფროსი და ერთი მუშა. (ადს).

კონფერენცია ჩენ-ჩჟოუში

ხანკოუ, 8 ივნისი. ნაციონალური სააგენტო იტყობინება, რომ უხანის მთავრობის წევრები, მათ შორის ცზიანვეი, ტა-ნენ-კაი, სუნ-ფო და სამხედრო სამინისტროს წარმომადგენლები გაემგზავრენ ჩენ-ჩჟოუში, სადაც შესდგება მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური კონფერენცია ფინ-იუი-სიანის და ნაციონალური ჯარების მონაწილეობით. კონფერენცია იმსჯელებს შემდგომ კამპანიაზე მუკდენის ძალების განადგურების მიზნით. (ადს).

თანამოაზრენი

ტოკიო, 8 ივნისი. ჩან-ძო-ლინის სამხედრო მრჩეველმა გენერალმა მატცუიმ, რომელიც ტოკიოში ჩამოვიდა, პრესის წარმომადგენლებს განუცხადა:

„ჩან-ძო-ლინს და ჩან-კაი-შის სჯერათ კომუნიზმის დამარცხება ჩინეთში და ძლიერ გაერთიანებულ ჩინეთის შექმნა, ამიტომ ბრძოლა მათ შორის თვითმკვლელობას უდრის“.

მატცუიმ იმედი გამოსთქვა, რომ ჩან-ძო-ლინი და ჩან-კაი-ში ბოლოს და ბოლოს შეთანხმდებიან. (ადს).

ტან-შენ-ჩი ჩრდილოეთის ექსპედიციის შესახებ

ხანკოუ, 8 ივნისი. მე-35 კორპუსის ჯარისკაცების და ოფიცრების კრებაზე ჩენ-ჩჟოუში ტან-შენ-ჩიმ განაცხადა:

„ჩრდილოეთის ექსპედიცია უნდა დამთავრებულიყო პეკინის აღებით. მხოლოდ ჩან-კაი-შის ღალატმა გვაიძულა გადაგვედო გათვალისწინებული გეგმის შესრულება. ამიტომ, **თუ ჩვენ გვსურს მუკდენელ მილიტარისტების მოსპობა. საჭიროა პირველ რიგში ბოლო მოუღოთ ჩან-კაი-შის. რევოლიუციონური არმია არის სახალხო არმია და არა ცალკე გენერალის მსახური.** ჯარისკაცებმა უნდა მოსპონ ყოველი ოფიცერი, რომელიც რეაქციის მხარეზე გადადის. რევოლიუცია—ადვილი ამოცანა არაა. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყოველგვარ მსხვერპლისათვის. სია-დოთ-სინის აჯანყება—ჩან-კაი-შის ოინების შედეგია. **რევოლიუციონური ჯარისკაცები უნდა გაჰყვენ სუნ-იატ-სენის პრინციპებს და არასოდეს არ უნდა შელახონ მუშურ-გლეხური ორგანიზაციების თავისუფლება.** ჩან-ში გაიგზავნა კომისია, რომელსაც დაევალა დასაჯოს ჩან-კაი-შის ყველა აგენტები.

ეროვნული რევოლიუცია უნდა განვითარდეს გომინდანის და კომპარტიის საერთო ხელმძღვანელობით და პასუხისმგებლობით. მათ შორის უნდა იყოს უმჭიდროესი კავშირი. კომუნისტებთან კავშირი — სუნ-იატ-სენის ერთ-ერთი ანდერძია. დავსდოთ ფიცი, რომ სიცოცხლეს შევსწირავთ რევოლიუციის საქმეს. ეს გადაწყვეტილება შესრულებული უნდა იქნას“. (ადს).

ახალი მთავრობა რუმინეთში

ვენა, 8 ივნისი. რუმინეთის კაბინეტის შემადგენლობაში შევიდენ: პრემიერ - მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი — **სტირბეი,** რომელიც დროებით შეასრულებს გარეშე საქმეთა მინისტრის მოვალეობასაც; ფინანსთა მინისტრი —**პოპოვიჩი** (ეროვნულ გლეხთა პარტია), იუსტიციის მინისტრი — **პოპესკუ** (უკიდურეს რეაქციონერი), სახალხო განათლების მინისტრი — **ლუპუ** (ეროვნულ - გლეხთა პარტიის დისიდენტების ბელადი), სამხედრო მინისტრი გენერალ **ანგელესკუ** (ლიბერალი).

უპარტიო მინისტრები ლიბერალების მიერ არიან დანიშნული.

ბესარაბიის, სემიგრადიის და ბუკოვინის საქმეთა სამინისტროები გაუქმებულია. ახალი კაბინეტის წევრთა დანიშვნის შესახებ დეკრეტს გამოქვეყნებასთან ერთად გამოქვეყნებულია აგრეთვე მეფის დეკრეტი პარლამენტის დათხოვნის შესახებ. დეპუტატთა პალატის ახალი არჩევნები დანიშნულია 7 ივლისს, ხოლო სენატის —10 ივლისისათვის. (ადს)

ავერესკუს რეჟიმის ლიკვიდაცია

ვენა, 8 ივნისი. ის ფაქტი, რომ მთავრობაში მთელი რიგი პორტფელებისა დროებით არის განაწილებული, მოწმობს, თუ რამდენად გაძნელდა რუმინეთის კაბინეტის შედგენა. უმნიშვნელოვანეს ეკონომიური და პოლიტიკური პოსტებს მთავრობაში უჭირავს ლიბერალებს და მათ მომხრეებს.

ახალმა მთავრობამ პირველსავე სხდომაზე გააუქმა ცენზურა. გაუქმებულია აგრეთვე პრესის, ტელეფონის და ტელეგრაფის სამხედრო ცენზურა. ახალმა მთავრობამ გადააყენა ბევრი გენერალი. ლიბერალმა გენერალმა დავიდოგლუმ მიიღო დიდი დაწინაურება: ის დაინიშნა ჟანდარმერიის მთავარსარდლად ავერესკუს მომხრე გენერალ ვლადესკუს მაგიერ. (ადს)

სპარსეთის ახალი მთავრობა და საბჭოთა კავშირი

თეირანი, 8 ივნისი. სპარსეთის ახალმა პრემიერმა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს სპარსეთში იურენევს განუცხადა, რომ ახალი მთავრობა ეცდება მეგობრულად მოაგვაროს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან; პრემიერმა იმედი გამოსთქვა, რომ მოლაპარაკებას ახლო მომავალში მოჰყვება ორივე მხარისათვის დამაკმაყოფილებელი შედეგები.

გაზეთი „ტუფან“ იტყობინება, რომ უკანასკნელ დღეებში საბჭოთა კავშირში გაიგზავნა ბევრი საქონელი. (ადს).

კოოპერატიული კონგრესი

ლონდონი, 8 ივნისი. კოოპერატიულმა კონგრესმა ჩელტენგემში დაამტკიცა წინასწარი შეთანხმება იმ კავშირის შესახებ, რომელიც შარშან დაიდო კოოპერატიული პარტიის ეროვნული კომიტეტისა და მუშათა პარტიის აღმასრულებელ კომიტეტს შორის. კენჭის ყრის შედეგები მეტად მნიშვნელოვანია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გაძლიერებულ კამპანიას, რომელიც აწარმოეს კონსერვატორებმა და ლიბერალებმა იმ მიზნით, რომ კონგრესს უარეყო მუშათა პარტიასთან შეერთება, კონსერვატორები და კონსერვატიული პრესა უკანასკნელ თვეებში გაძლიერებულ აგიტაციას ეწეოდენ შეთანხმების წინააღმდეგ. კოოპერატიულმა კონგრესმა გადასწყვიტა რიგს გარეშე განიხილოს რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„კონგრესი კვლავ მეგობრულ სალამს უძღვნის რუსეთის კოოპერატივებს და მოუწოდებს კოოპერატიული მოძრაობის ყველა ორგანიზაციებს მხარი დაუჭირონ და განავითარონ სავაჭრო ურთიერთობა რუსეთის კოოპერატიულ მოძრაობასთან და აგრეთვე მიაღწიონ საბჭოთა კავშირთან მშვიდობიანი ურთიერთობის სრულ აღდგენას“.

შენიშვნა: კოოპერატიული პარტია შეიქმნა 1917 წელში და წარმოადგენს დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც კოოპერაციის ინტერესებს იცავს. კოოპერატიული პარტიის პროგრამა ძალიან ჰგავს მუშათა პარტიის პროგრამას.

შვეციის კომპარტიის ყრილობის დახურვა

სტოკჰოლმი, 8 ივნისი. 8 ივნისს დაიხურა შვეციის კომპარტიის მე-7 ყრილობა. ყრილობამ მოწოდებით მიმართა შვეციის მუშებსა და გლეხებს. ყრილობა მოუწოდებს მათ იბრძოლონ ომის საფრთხის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირონ ჩინეთის განმათავისუფლებელ ბრძოლას და მეგობრული ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან.

ცეკას თავმჯდომარედ არჩეულ იქნა **ფლიგი,** მდივნად — **ოლსონი.** (ადს)

ამიერ-კავკასიის ცაკის მეორე სესია

ა.-კ. მთავრობის თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. შ. ელიავა.—ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრათ—ამხ. ს. ლუკაშინი.—ა.-კავკასიის ცაკის კიდევ ერთ მდივნათ—ამხ. ტაგიევი

მეორე სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. მიხა ცხაკაია.

ფასების დაკლების კამპანიის შედეგები ა.-კავკასიაში
ამხ. ბეკზადიანის მოხსენება.

საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს 16 თებერვლის დირექტივით ფასები 1 ივნისისათვის დაკლებული უნდა ყოფილიყო საშუალოდ 10 პროცენტით.

კამპანიას, რომელიც მიმდინარეობდა ამიერ-კავკასიაში, ახასიათებდა ზოგიერთი ნაკლი, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ მრეწველობამ ფასები დაუკლო უმთავრესად არა პირველი მოთხოვნილების საქონელზე, და ისეთ საქონელზე, რომელიც დაბალი ხარისხისაა. ამას შედეგად მოყვა ის, რომ პირველი ივნისისათვის ჩვენ ვერ მოვახერხეთ დირექტივის სავსებით განხორციელება.

რაში მდგომარეობდა ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის კომისარიატის ამოცანა? უმთავრესად იმაში, რომ ბაზარი უზრუნველყოფილი ყოფილიყო ყველა საჭირო საქონლით. ამ მიმართულებით მიღებული იყო სათანადო ზომები. თუ ჩვენ შევადარებთ მიმდინარე წლის პირველ ოთხი თვის განმავლობაში შემოტანილ საქონელს გასული წლის ამავე დროის განმავლობაში შემოტანილ საქონელს, მივიღებთ შემდეგს: მანუფაქტურა შემოტანილია 23,9 პროცენტით მეტი, შაქარი 10,2 პრ., ლითონის ნაწარმოები 41,8 პრ., სილიკატები 104 პროც., კალოშები 80 პროც. და მარილი 2,9 პროც.

ამას გარდა, შინა ვაჭრობის კომისარიატის ამოცანას შეადგენდა დანართების მოწესრიგება, ადგილობრივ მრეწველობის ნაწარმოების ფასების საკავშირო მრეწველობის ნაწარმოების ფასებთან გათანასწორება და ზომების მიღება, რომ ადგილი არ ქონოდა ამ ფასებიდან გადახვევას.

რაც შეეხება ფასების დაკლებას ამიერ-კავკასიის ცალკე რაიონებში, უნდა ითქვას, რომ საერთო ინდექსი ამიერ-კავკასიის მთავარ ქალაქებში შემცირდა: ბაქოში—7 პროცენტით, ერევანში—10 პროცენტით და თბილისში—11 პრ., სამრეწველო საქონელზე ფასები შემცირდა ბაქოში 9 პროცენტით, ერევანში 12 პროც. და თბილისში 10 პროცენტით. სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე: ბაქოში 1 პროცენტით, ერევანში 4 პროცენტით და თბილისში 12 პროცენტით. ყველა ეს ცნობები ჯერ არ არის საბოლოოდ შემოწმებული.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ სამმართველოს ცნობებით, მიმდინარე წლის პირველ მაისისათვის ფასების დაკლება სამრეწველო საქონელზე გამოიხატა შემდეგში: ბაქოში 9 პროცენტით, ერევანში 10 პროცენტით და თბილისში 8 პროცენტით; სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე: ბაქოში 1 პროც., ერევანში 3 პროც. და თბილისში 7 პროც.. საერთო დაკლება: ბაქოში 5 პროც., ერევანში 8 პროც. და თბილისში 8 პროცენტი.

თუ ავიღებთ მუშათა კოოპერაციებს, დაკლება პირველ მაისისათვის თბილისის მუშკოოპში გამოიხატა 7,4 პროც., ბაქოში 6 პროც და ერევანში 6,2 პროც.

ფასების დაკლება კოოპერატიულ ცენტრებში უდრის: ცეკავშირში 4,9 პროც. (აღსანიშნავია რომ ფასების დაკლება კოოპერაციაში ხდებოდა უმთავრესად მოგების ხარჯზე, ცეკავშირის ხარჯზე დაკლება უდრის 0,5 პრ.), აზერტიფაქში 4,4 პროც. (დაკლება საკუთარ ხარჯზე 0,1 პროც.) და სომხეთის კოოპერატიულ კავშირში 6,2 პროც. (1,6 პრ.)

რაც შეეხება კამპანიის გატარებას სოფლად, უნდა ითქვას, რომ ამ კამპანიის საორგანიზაციო მხარე ცუდად იყო დაყენებული. სოფლის საბჭოთა საზოგადოებრიობა არ იყო ჩაბმული ფასების დაკლების საქმეში. საერთოდ, მთელს ამიერ-კავკასიაში ფასები დაკლებული იქნა 7 პრ. ეს მოხდა უმთავრესად სომხეთის კოოპერაციის ხარჯზე, რომელმაც ფასების დაკლება გაატარა 10 პროცენტით. სოფლად, კამპანიის სათანადოდ ჩატარებას ხელი შეუშალა აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ადგილებს არ ეგზავნებოდა სათანადოდ გამომუშავებული ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა გაეტარებიათ ეს დაკლება.

ფასების დაკლება მჭიდროდ დაკავშირებულია ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების 15 პროც. შემცირებასთან. ამ მხრივ სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოებს და კოოპერაციას ცოტა აქვთ გაკეთებული. ამას უნდა მიექცეს ყურადღება.

ამიერ-კავკასიაში ერთ საინტერესო მოვლენას აქვს ადგილი. იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირში მრეწველობის ნაწარმოების ფასები მეტია სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასებზე, ჩვენში საწინააღმდეგო მდგომარეობას აქვს ადგილი. ეს აიხსნება იმით, რომ ამიერ-კავკასია სოფლის მეურნეობის პროდუქტების დიდ რაოდენობას ხმარობს. კოოპერაცია კი არ აწარმოებს ამ პროდუქტების დამზადებას. ამიტომ კერძო ვაჭრები აძვირებენ მის ფასებს. მომავალში, როდესაც კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის აპარატი გაუმჯობესდება, ფასების დაკლება უფრო სწორად და ჩქარა იქნება გატარებული.

ამხ. შალვა ელიავა
ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ამხ. ს. ლუკაშინი
ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი და ა.-კ. საოლქო ცენტრ. საკონტრ. კომისიის თავმჯდომარე

ამხ. ნაზარეტიანის თანამოხსენება

ამხ. ბეკზადიანის შემდეგ ფასების დაკლებაზე თანამოხსენებით გამოვიდა ამ.-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი ამხ. **ნაზარეტიანი.**

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციას დავალებული ქონდა თვალყური ედევნებინა ფასების დაკლებისათვის. შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით პირველ ივნისისათვის ფასები დაკლებული უნდა ყოფილიყო ათი პროცენტით. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა გამოკვლევა, საიდანაც გამოირკვა, რომ დირექტივა არ ყოფილა სავსებით განხორციელებული. ჩვენი მასალები ეთანხმება ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობებს, მაგრამ ამ უკანასკნელთან ჩვენ გვაქვს მეთოდოლოგიური ხასიათის განსხვავება. ეს მდგომარეობს იმაში, რომ ადგილებს არ ეგზავნებოდა სათანადოთ გამომუშავებული ინსტრუქციები. ამიტომ ფასების დაკლება სხვადასხვანაირად ტარდებოდა.

გამოკვლევამ დაამტკიცა აგრეთვე, რომ ჩვენი მრეწველობა ხშირად ფასებს უკლებდა არა პირველი მოთხოვნილების და დაბალი ხარისხის საქონელზე. კოოპერაციამ ფასების დაკლება გაატარა მოგების ხარჯზე. თავის ხარჯზე კოოპერაციას თითქმის არაფერი დაუკლია.

როგორ შეხვდა ჩვენი პრესა და საბჭოთა საზოგადოებრიობა ფასების დაკლების კამპანიის გატარებას? უნდა ითქვას, რომ პრესამ უდიდესი როლი ითამაშა ამ საქმეში. გაზეთებს ჰქონდათ სპეციალური განყოფილებები. ამას გარდა იგზავნებოდა ექსპედიციები საცალო მაღაზიებში, სადაც პრესის წარმომადგენლები ამოწმებდენ ფასების დაკლებას. ფასების დაკლების კამპანიის გატარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმაც. ქალაქებში საბჭოებთან გამოყოფილი იქნა მუშათა კომისიები, რომელნიც კონტროლს უწევდენ ფასების დაკლებას.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ფასების დაკლების დარგში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შეიმუშავა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც შეთანხმებულია შინა-ვაჭრობის კომისარიატთან და კოოპერაციასთან.

მოხსენების შემდეგ სესიამ მიიღო რეზოლიუცია.

საბიუჯეტო კომისიის არჩევა

ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანმა ამხ. **შავერდოვმა** მოახსენა სესიას, რომ კონსტიტუციით ამიერ-კავკასიის ცაკს ეკისრება ამ.-კავკასიის მთლიანი ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება. ამიტომ საჭიროა საბიუჯეტო კომისიის გამოყოფა.

სესიამ საბიუჯეტო კომისიაში აირჩია შემდეგი ამხანაგები: ლუკაშინი (კომისიის თავმჯდომარე), ამირხანიანი, თეიმურ ალიევი, ჯაფარ ბაგიროვი, დადაშ ბუნიატ-ზადე, მამედ გოგიბერიძე, ალექსანდრე ჯატიევი, სიმონ ჯუღელი, ანდრო დოლიძე, არმაის ერზინკიანი, ვლ. ივანოვ-კავკასკი, ტიმოთე ივანოვი, გიორგი ურულაშვილი, ა. კარაკოზოვი, ი. კოჩუშკინი, ნესტორ ლაკობა, გერმან მგალობლიშვილი, გუსეინ მუსაევი, ასკან მრავიანი, ფილიპე მახარაძე, ვასაკ პოლოსიანი, იოსებ პოლოსიანი, რზაევი, ლადო სუხიშვილი და სეიდ იაკუბოვი.

ა.-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარის და ცაკის კიდევ ერთი მდივნის არჩევა

სესიამ დაამტკიცა ა.-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება იმის შესახებ, რომ დაკმაყოფილებული იქნეს ა.-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის და ა.-კ. საოლქო ეკონომიურ საბჭოს თავმჯდომარის ამხ. **მამია ორახელაშვილის** და ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარის ამხ. **ნაზარეტიანის** შუამდგომლობა, რათა პირველი მათგანი განთავისუფლებულ იქნას ა.-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან, მეორე კი ა.-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარის თანამდებობისაგან, იმის გამო, რომ კომპარტიის გადაწყვეტილებით ისინი გადაიდიან ძირითად სამუშაოზე პარტიაში და ძნელია მათთვის მუშაობის შეთანხმება პარტიაში და ზემო აღნიშნულ თანამდებობებზე.

ა.-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. **შალვა ელიავა;** ამავე დროს ის განთავისუფლებული იქნა საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის და საზღვაო და სამხედრო კომისარიატის რწმუნებულის მოვალეობის შესრულებისაგან.

ა.-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრად არჩეული იქნა ამხ. **ს. ლუკაშინი;** ამავე დროს ის დარჩა ა.-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

იმის გამო, რომ ა.-კავკასიის ცაკში მუშაობა გაფართოვდა, სესიამ მეოთხე მოწვევის ამიერ-კავკასიის ცაკის პირველი სესიის დადგენილების თანახმად ამიერ-კავკასიის ცაკის კიდევ ერთ მდივნად აირჩია ამხ. **ი. ტაგიევი.**

იმის გამო, რომ ამხ. **შალვა ელიავა** არჩეულია ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ, და კონსტიტუციონური მოსაზრებებით მას არ შეუძლია ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის შემადგენლობაში დარჩენა, სესიამ ამხ. ელიავა ჩასთვალა ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის შემადგენლობიდან გამოსულად და მის მაგიერად პრეზიდიუმის წევრად მიიღო ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის წევრობის პირველი კანდიდატი ამხ. **გიორგი ყურულაშვილი.**

ამით ამოიწურა სესიის დღის წესრიგი. სესიის დახურვის წინ ამხ. **მიხა ცხაკაიამ** უსურვა დელეგატებს ნაყოფიერი მუშაობა მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

რეზოლიუცია საცალო ფასების დაკლების შესახებ

(ამხ. ბეკზადიანის და ნაზარეტიანის მოხსენებათა გამო).

მოისმინა რა ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარის ამხ. ბეკზადიანის მოხსენება და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარის ამხ. ნაზარეტიანის თანამოხსენება ამიერ კავკასიაში საცალო ფასების დაკლების შესახებ 1 მაისისათვის შემოწმებულ ცნობების მიხედვით, ა.-კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესია აღნიშნავს შემდეგს:

1) ფასების დაკლების კამპანია ჩატარებული იქნა უმთავრესად ა.-კ. დიდ ცენტრებში, რომლებსაც მიქცეული ჰქონდათ ყველა ორგანოების უმთავრესი ყურადღება და სადაც ამის გამო მიღწეულია ყველაზე უფრო დიდი შედეგები, მაშინ, როდესაც სოფლად ფასების დაკლება ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის საკმაო.

ამგვარად შრომისა და თავდაცვის საბჭოს დირექტივა პირველ ივნისისათვის ფასების 10 პროცენტით დაკლების შესახებ არ იქნება შესრულებული ყველგან (განსაკუთრებით სოფლად) და ყველა ორგანოებს ამოცანას უახლოეს პერიოდში უნდა შეადგენდეს ენერგიული და დაჟინებითი მუშაობის განგრძობა ფასების დასაკლებად და დირექტივების მთლიანად შესასრულებლად.

2) უნდა აღინიშნოს, რომ ა.-კ. დიდ ცენტრებში კოოპერაცია უკვე სავსებით დაუახლოვდა დირექტივის შესრულებას და შეამცირა პირველ მაისისათვის სამრეწველო საქონლის ფასები საშუალოდ 8 პროცენტით იმ ფასებთან შედარებით, რომელიც იყო 1927 წლის 1-ლ იანვარს, იმ დროს, როდესაც კოოპერაციამ მაზრებში (კერძოთ სოფლად) სამრეწველო საქონლის ფასები შეამცირა მხოლოდ საშუალოდ არა უმეტეს 5 პროცენტით. ამიტომ საჭიროდ უნდა იქნას ცნობილი, რათა ა.-კ. დიდ ცენტრებში ყურადღების შეუსუსტებლად, ბრძოლის მთელი სიმძიმე ფასების დაკლების საქმეში გადატანილ იქნას პერიფერიაში.

3) უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივ კონტროლის ორგანიზაციის და ფასების დაკლებისათვის ბრძოლაში ფართო მუშათა და გლეხთა მასსების ჩაბმის მხრივ, რაც უნდა ყოფილიყო დირექტივის შესრულების უმთავრესი გარანტია, ყველაზე დიდი შედეგები მიღწეულია მხოლოდ დიდ საქალაქო ცენტრებში, მაზრებში კი და კერძოდ სოფლად, ამ მხრივ ძალიან ცოტაა გაკეთებული და ადგილებზე საზოგადოებრივი კონტროლი თითქმის არ არსებობს. გარდა ამისა სათანადო ცენტრებს, განსაკუთრებით რესპუბლიკანურს, არ გამოუჩენიათ ამ მიმართულებით საკმაო ენერგია, არ განუხორციელებიათ საჭირო ხელმძღვანელობა თავის პერიფერიის მიმართ, არ დაუჭერიათ მასთან საქმიანი და მუდმივი კავშირი და არ მიუწოდებიათ ადგილებისათვის სათანადო დირექტივები, განმარტებები და ინსტრუქციები.

ამიტომ ამ მხრივაც სიმძიმის ცენტრი უნდა იქნას გადატანილი პერიფერიაში, და რა თქმა უნდა მუშაობა არ უნდა იქნას შესუსტებული დიდ ცენტრებშიც.

4) უნდა აღინიშნოს, რომ ფასების დაკლების კამპანიაში, მიუხედავად დაკლებულ ფასების რაოდენობისა, არსებითად განვლილია გზის ყველაზედ უფრო მსუბუქი ნაწილი, რადგან ფასების დაკლება მოხდა მექანიკურად დაგროვილ დოვლათის და მრეწველობის და ზედით მდგომ სავაჭრო ორგანიზაციების მიერ დაკლებულ ფასების ხარჯზე. ფასების შემდგომი დაკლება უნდა მოხდეს რაციონალურად აპარატის გაიაფების და ხარჯების მაქსიმალურად შემცირების ნიადაგზე.

რასაც უნდა მიექცეს მთელი ყურადღება და რასაც კოოპერაციამ და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოებმა უნდა მოახმარონ მთელი თავისი ძალები და ენერგია. ამ მიზნით საჭიროა [illegible] იქნეს გატარებული ცხოვრებაში ზედნადები ხარჯები, საერთოდ ხარჯების და დოვლათის დაგროვების მიღებული ნორმები და აგრეთვე ზედმიწევნით უნდა იქნას გადასინჯული სავაჭრო ქსელი, კოოპერატივების შემდგომი განმტკიცების მიზნით იქ, სადაც ეს ეკონომიურად მიზანშეწონილია.

5) სამრეწველო საქონლის ფასების დაკლების რეალური მნიშვნელობა მომხმარებლისათვის, მნიშვნელოვნად მცირდება იმით, რომ ეს დაკლება ყველაზედ ნაკლებად შეეხო ისეთ საქონელს, რომელზედაც მეტი მოთხოვნილებაა და, რომელიც [illegible] როგორც საკავშირო და ადგილობრივ მრეწველობის, ისე ნაწილობრივ თვით მოვაჭრე ორგანიზაციების საუკეთესო ხარისხის საქონელს. გარდა ამისა ზოგიერთი საქონელი სრულიად არ მიიღება კოოპერაციაში ან მოიპოვება მხოლოდ სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოებში, ან მოიპოვება არასაკმარისი რაოდენობით.

ამიტომ უნდა ვაღიაროთ, რომ შემდგომი დაკლების მთელი სიმძიმის ცენტრი უნდა იქნას გადატანილი სწორედ ამ საქონელზე.

ცალკე შემთხვევებში სამრეწველო და ზედით მდგომ სავაჭრო ორგანოების მიერ ფასების დაკლება ვერ აღწევს მომხმარებლამდე. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა და ა.-კ. კოოპერატივთა კავშირმა უნდა აღმოფხვრან ამგვარი დაუშვებელი მოვლენები და პასუხისგებაში მისცენ დამნაშავენი.

ბევრ შემთხვევაში სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლების საერთო დონე დამოკიდებულია ფასების დაკლებისაგან მანუფაქტურაზე, რომელსაც უჭირავს უმთავრესი ადგილი კოოპერაციის, განსაკუთრებით სასოფლო კოოპერაციის საქონლის ასორტიმენტში, ამის და მიხედვით ფასების დაკლებამ შედარებით ნაკლები გავლენა მოახდინა დანარჩენ სამრეწველო საქონელზე მთლიანად; გარდა ამისა შენიშნულია შემთხვევები, როდესაც ზედნადები ფასების დაკლება ერთს სამრეწველო საქონელზე, იწვევს ზედნადები ფასების მომატებას სხვა საქონელზე.

აღნიშნულია აგრეთვე შემთხვევები, როდესაც ცალკე მაღაზიები არ ასრულებენ კოოპერატივების გამგეობათა მიერ დაწესებულ ფასების დაკლებას, და აგრეთვე არის შემთხვევები, როდესაც აძვირებენ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ ფასებს და ზედნადებ ფასებს.

ამ მოვლენათა აღმოფხვრის მიზნით წინადადება მიეცეს ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დააჩქაროს გადასინჯვა წინათ დაწესებულ ნორმების შესამცირებლად და გაავრცელოს ნორმები ყველა სამრეწველო საქონელზე; მოითხოვოს მოვაჭრე ორგანიზაციებისაგან არა მარტო ამა თუ იმ ფასების დაკლება ფაქტიურ დონეზე ქვევით, არამედ დაწესებულ ნორმების ყოველ მიზეზს გარეშე შესრულება და პასუხისგებაში მისცეს დამნაშავენი. კოოპერატიულ ცენტრებმა და აგრეთვე ცალკე კოოპერატივების გამგეობებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი და ზედამხედველობა, რათა შესრულებულ იქნას, როგორც მათი საკუთარი, ისე ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოების დადგენილებანი.

6) უნდა აღინიშნოს, რომ ცალკე შემთხვევებში, მრეწველობის გასაცემი ფასების დაკლების ეფექტი მნიშვნელოვნად სუსტდება ან სრულიად ქრება იმის გამო, რომ იზრდება ზედნადები ხარჯები და თვითღირებულება.

წინადადება მიეცეს ამ.-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და ა.-კ. კოოპერატივთა კავშირს დაუყოვნებლივ შეუდგენ ზედნადებ ხარჯების ყველა იმ ელემენტების განხილვას, რომელიც შედის საქონლის თვითღირებულებაში და გამოიმუშაონ საკითხი იმის შესახებ, რამდენად შესაძლებელია მთლიანად ან ნაწილობრივ ზედნართი ხარჯების განსაზღვრულ ჩარჩოებში ჩაყენება და მათი ნორმების დაწესება, როგორც ეს სავსებით გატარებულია სავაჭრო (საერთო) ხარჯების მიმართ.

7) ფასების დაკლების კამპანიის გატარების დროს ამიერ-კავკასიაში თავი იჩინა სასოფლო-სამეურნეო საქონელზე ფასების მომატების ტენდენციამ. უმთავრესად ქალაქებში და სოფლის სამომხმარებლო რაიონებში. აქედან გამომდინარეობს ამოცანა, რათა კამპანიის შემდეგ მსვლელობაში ზედმიწევნით იქნას შესწავლილი ეს მოვლენა და მოწესრიგებული საკითხი ფასების დაკლების მიმართულებით საქონლის გამტარებელი ქსელის და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დამამზადებელ ოპერაციების გაძლიერების ხარჯზე.

8) აღიარებულ იქნას სრულიად არასაკმარისად ადგილობრივ მრეწველობის პროდუქციაზე გასაცემი ფასების დაკლება, რომელიც შეეხო უმთავრესად არასასეზონო და ისეთ საქონელს, რომელზედაც ნაკლები მოთხოვნილებაა; ამავე დროს ცალკე ორგანიზაციები აღნიშნულ საქონელზე ფასების დაკლებასთან ერთად ადიდებენ ფასებს სასეზონო და მასსიურ მოხმარების საქონელზე, რაც სავსებით ამახინჯებს ფასების დაკლების პოლიტიკას.

წინადადება მიეცეს ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ფასების დაკლებისათვის წარმოებულ ბრძოლის ამ მხარეს, მით უმეტეს, რომ ადგილობრივ მრეწველობისაგან მოთხოვნილი გასაცემი ფასების მინიმალურად 5 პროცენტის დაკლება. არსებითად არასაკმარისია, რადგან ფასების დონე მათ საქონელზე უფრო მაღალია, ვიდრე საკავშირო მრეწველობის ანალოგიურ პროდუქციაზე.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ფასების დაკლებას თან არ სდევდა თვითღირებულობის დაკლება და კერძოთ ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირება, ხოლო სხვადასხვა ორგანიზაციებში ეს ხარჯები კიდევ გაიზარდა შარშანდელთან შედარებით, ნაცვლად დაკლებისა, არა ნაკლებ 15 პროცენტისა შრომისა და თავდაცვის საბჭოს დირექტივის თანახმად.

საჭიროდ იქნას აღიარებული, რათა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და პროფკავშირთა ორგანოების ყურადღება მიექცეს წარმოების რაციონალიზაციას, პროდუქციის თვითღირებულების მაქსიმალურად გაიაფებას (არა ნაკლებ 5 პროცენტით) და ხარჯების შემცირებას; სისწორით უნდა იქნას შესრულებული დირექტივა ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების არა ნაკლებ 15 პროცენტით შემცირების შესახებ.

დამნაშავენი, რომლებიც არ გაატარებენ ამ დამახინჯებენ დირექტივებს, პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემულნი.

9. სცნობს რა დაუშვებლად კვების პროდუქტებისა და მრეწველობის, კერძოდ ადგილობრივი მრეწველობის პროდუქციის ხარისხის გაუარესებას ფასების დაკლების გამო, სესია წინადადებას აძლევს ამ.-კავ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დააწესოს მეთვალყურეობა ამაზე, კერძოდ ამ მიზნით მოაწყოს საქონლის ხარისხის სათანადო გამოცდა, გარდა ამისა, წაყენებულ იქნას პასუხისმგებლობა ფასდაკლებულ საქონლის ხარისხის გაუარესებისათვის.

10. ცნობილ იქნას, რომ სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლება კერძო ბაზარზე სავსებით არა დამაკმაყოფილებელია, ხოლო სასოფლო - სამეურნეო საქონელზე კი ფასებმა მოიმატა კიდეც. ამასთან ერთად არადამაკმაყოფილებლად და არასაკმარისად იქნას ცნობილი კერძო ბაზრის მოწესრიგება. წინადადება მიეცეს ვაჭრობის სახ. კომისარიატს, რომ ცხოვრებაში გაატაროს ის დადგენილება, რომელიც შეეხება კერძო პირთათვის სამრეწველო საქონლის გამგზავნის მიწოდებას საცალო ვაჭრობაში, ამასთანავე ამ მიზნით უნდა განისაზღვროს ერთგვარი მაქსიმუმით ყოველ საქონელზე; აგრეთვე დაწესებულ იქნას ნამდვილი კონტროლი იმისათვის, რომ კერძო ვაჭრებმა დაიცვან დაწესებული ფასები (სარეკლამო ფასები და სხ.) და ის დადგენილებანი, რომელნიც ეხებიან გაცემის მიწოდების დროს. ამ საქმეში დამნაშავენი პასუხისგებაში იქნან მიცემულნი.

სესია აღნიშნავს, რომ საკმაოდ არაა შესწავლილი საკითხი კერძო ბაზარზე საცალო ფასების დაკლებისა და კერძოდ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი გავლენა მოახდინა კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის ფასების დაკლებამ კერძო ბაზრის ფასებზე, წინადადებას აძლევს ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და ამ.-კავკ. ცენტრ. სტატ. სამმართველოს ერთი თვის განმავლობაში შეისწავლონ ეს საკითხები.

11. წინადადება მიეცეს ამ.-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატს, რომ გააძლიეროს სავაჭრო ორგანიზაციებზე ზეგავლენის ზომები, პასუხისგებაში მისცეს დამნაშავენი ფასების დარღვევაში, როგორი შემთხვევებიც დღემდე მეტად უმნიშვნელოა.

ამავე მიზნით აუცილებლად იქნას ცნობილი, რომ დაჩქარდეს ამიერ-კავკასიის ცაკის და ამ.-კავკ. სახ. კომ. საბჭოს დადგენილების გამოცემა, რომელიც დააწესებს პასუხისმგებლობას დაწესებული ფასების დარღვევისათვის.

12. სესია აღნიშნავს, რომ დღემდე არ არსებობდა საკრედიტო ზეგავლენის ზომები და წინადადებას აძლევს ვაჭრობის სახ. კომისარიატს, რომ ფინანსთა სახ. კომისარიატთან და სახელმწიფო ბანკთან ერთად მოკლე ხანში დაამუშაოს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი ფორმები და მეთოდები უნდა იქნას შემოღებული სავაჭრო ორგანიზაციებზე საკრედიტო ზეგავლენისათვის, თანახმად შრომისა და თავდაცვის საბჭოს დირექტივისა და საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცირკულიარისა.

13. სახელმწიფო მოწესრიგების გაძლიერების მიზნით აუცილებლად იქნას ცნობილი, რომ დაჩქარებით გატარდეს ცხოვრებაში უმაღლესი ორგანოების დადგენილება ვაჭრობის სახ. კომისარიატის, განსაკუთრებით რესპუბლიკანური ორგანოების განმტკიცებისა და გაძლიერების შესახებ.

14. არა მიზანშეწონილად იქნას ცნობილი კონტროლისა და ფასების დაკლების შესახებ დირექტივის შესრულების შემოწმების მრავალგვარობა, რომელიც სხვადასხვაგვარი მეთოდებით სწარმოებს და სხვადასხვაგვარ შედეგებს იძლევა, და დაევალოს ამ.-კავკ. ცენტრ. სტატ. სამმართველოს და ამ.-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციას შეიმუშაონ დებულება იმის შესახებ, რომ გამოკვლევისა, კონტროლისა და სტატისტიკური აღრიცხვის ერთგვარი მეთოდები იქნას დაწესებული.

1 ივნისისათვის დირექტივის შესრულების შემოწმების მიზნით აუცილებლად იქნას ცნობილი კოოპერატიული და სახვაჭრობის ორგანიზაციების რაც შეიძლება მეტი რიცხვის მასიური შემოწმება როგორც ქალაქად, ისე სოფლად. შემოწმება ჩატარებულ უნდა იქნას ვაჭრობის სახ. კომისარიატის, კოოპერაციის, პროფკავშირების და სხვ. გაერთიანებული ძალით, ერთიანი ხელმძღვანელობით, ერთიანი გეგმით და მთლიანი შეთანხმებული მეთოდებით; შემოწმება ჩატარებულ უნდა იქნას არა უგვიანეს 1 ივლისისა.

15. წინადადება მიეცეს რესპუბლიკანურ და ამ.-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციებს, რომ მომავალშიაც დაუღალავად ჩაატარონ მუშაობა იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად ტარდება ცხოვრებაში შრომისა და თავდაცვის საბჭოს დირექტივა საცალო ფასების 10 პროც.-ით დაკლების შესახებ.

16. წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატს და ამ.-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციას, რომ ა. წ. 15 ივლისისათვის გაუკეთოს ჯამი მუშაობას ფასების დაკლებისათვის ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში.

ამ.-კავკ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე ს. კასიანი.

ამ.-კავკ. ცენტრ. აღმას. კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

9 ივნისი, 1927 წ.
თბილისი, სასახლე

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ნებაყოფლობითი საზოგადოებათა შეერთების შესახებ

მოსკოვი, 9 ივნისი. საკავშირო კომპარტიის ცეკამ დაუშვებლად სცნო ისეთ ნებაყოფლობით საზოგადოებების გაერთიანება ან ლიკვიდაცია, როგორც მაგალითად რადიოს მეგობართა საზოგადოება, საზოგადოება: „ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა“, ბავშვთა და საბჭოთა კინოს მეგობართა საზოგადოება (ადს).

აღწერის წინასწარი შედეგები

მოსკოვი, 9 ივნისი. საბჭოთა კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს საალმშენებლო განყოფილებამ ჯამი გაუკეთა მოსახლეობის აღწერას საბჭოთა კავშირის აზიურ ნაწილში. საბჭოთა კავშირის აზიური ნაწილის მცხოვრებთა რაოდენობა აღწევს 25 მილიონ კაცს. 30 წლის განმავლობაში ციმბირის, იაკუტიის, შორეულ აღმოსავლეთის მხარის და ბურიატ-მონღოლეთის რესპუბლიკის მოსახლეობა 2 ნახევარჯერ გაიზარდა,(შუა აზიის რესპუბლიკების მოსახლეობა კი 36 პროცენტით (ადს).

ხანძარი რკინისგზის საწყობში

ხარკოვი, 9 ივნისი. 7 ივნისს სამხრეთ რკინისგზების ერთ-ერთ საწყობში, გამოურკვეველი მიზეზის გამო გაჩნდა ხანძარი. ხანძარი რამოდენიმე წუთის განმავლობაში მოედო საწყობის მთელ შენობას. მუშებისა და მეხანძრეთა რაზმის საერთო ძალებით ხანძარი ორი საათის განმავლობაში იქნა ჩაქრობილი. დაიწვა ორი განყოფილება. ზარალი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია და ალბად უმნიშვნელოა. ხანძრის მიზეზების გამოსარკვევად შექმნილია სპეციალური კომისია (ადს).

ფინეთის ტრანსპორტელთა კონგრესზე

მოსკოვი, 8 ივნისი. ფინეთში გაემგზავრა ტრანსპორტელების კავშირის ცეკას თავმჯდომარე ამხ. **ვლადიმიროვი,** რომელიც მონაწილეობას მიიღებს ფინეთის ტრანსპორტელთა კონგრესის მუშაობაში. (ადს).

ამხ. ოპანსკის დაღუპვა

მინსკი, 7 ივნისი. 7 ივნისს საღამოს 8 საათზე სადგურ ჟდანოვიჩისა და მინსკს შორის დაიმტვრა დრეზინა, რომლითაც საზღვარიდან ბრუნდებოდა სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოადგილე ბელორუსიის სამხედრო ოლქში ამხ. **ოპანსკი.** მას მოჰყავდა პოლონეთის მზვერავთა რაზმის პორუჩიკი იანი, რომელიც შემოიპარა საბჭოთა კავშირში ჯაშუშობის მიზნით. ოპანსკი და შოფერი მოკლული არიან, მძიმედ დაშავდენ კოროტოვი და ფედოსეენკო.

გამოძიებამ დაამტკიცა, რომ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოადგილის დაღუპვა კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციის საქმეა. გამოძიება გრძელდება. (ადს).

ლენინგრადში ყუმბარის აფეთქების გამო

ლენინგრადი, 8 ივნისი. თავდასხმა ლენინგრადის სადისკუსიო კლუბზე მოხდა ისტორიული მატერიალიზმის წრის სხდომის დროს. ორი ყუმბარიდან გასკდა მხოლოდ ერთი, აფეთქებამ დააზიანა ოთახი და ჭრილობები მიაყენა სხდომაზე დამსწრეთ. დაჭრილთა შორის არის განათლების სახ. კომისარიატის რწმუნებული ამხ. პოზერნი (ადს).

მოსკოვის საბჭოს დეპეშა

საკავშირო კომპარტიის (ბ) ლენინგრადის კომიტეტს

მოსკოვი, 9 ივნისი. მოსკოვის საბჭომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ლენინგრადის კომიტეტს და მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიაც ნათქვამია:

„ავაზაკების ბომბა, გადმოსროლილი ლენინგრადელ მუშაკთა ჯგუფის სხდომაზე პარტიულ კლუბში, ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამხ. ვოიკოვის მოკვლა ვარშავაში და მთელი რიგი სხვა ტერორისტულ აქტებისა,—ყველაფერი ეს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების აშკარა გამოწვევას რუს და საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციონერების მიერ. მაგრამ რამდენიც არ უნდა ემზადოს მტერი, რაც არ უნდა სცადოს მან,—საბჭოთა ქვეყანა ყოველთვის მომზადებული დახვდება მას. დეე, ლენინგრადელ მუშაკთა ჯგუფის სხდომაზე ჩამოგდებული ბომბა იყოს სიგნალი და მან მოაგონოს თვითეულ მუშას, გლეხს და მშრომელს, რომ ის ფხიზლად უნდა იდგეს სადარაჯოზე. მოსკოვის საბჭო დარწმუნებულია, რომ ბურჟუაზიის ბოროტმოქმედება კიდევ უფრო მჭიდროთ შემოკრებს საკავშირო კომპარტიის (ბ) გარშემო საბჭოთა კავშირის მუშებს, გლეხებს და საერთოდ მშრომელებს“ (ადს).

საქართველო

სისხლის აღება

ბათომი, 8 ივნისი. აჭარისტანის უზენაესმა სასამართლომ 5—6 ივნისს გაასამართლა ისმაილ გათენაძე, რომელსაც დაუმტკიცდა ისმაილ კონცელიძის მოკვლა. მკვლელობა ჩადენილ იქნა შარშან სოფელ მახმუდიეში სისხლის აღების ნიადაგზე. მკვლელს ისმაილ გათენაძეს მიესაჯა 8 წლის ციხე სასტიკი იზოლიაციით.

აზერბეიჯანი

ხანძარი პუტინის სარეწაოში

ბაქო, 9 ივნისი. პუტინის სარეწაოში ცეცხლის გაჩენის გამო „აზნეფტ“-ის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **ნესტოროვმა,** რომელიც პირადათ დაესწრო ცეცხლის ჩაქრობას, განაცხადა შემდეგი:

„ცეცხლის გაჩენის მიზეზი სისწორით ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული. შესაძლებელია, რომ აფეთქება გამოიწვია ხანძარმა, რომელიც გაჩნდა პაპიროსის ნამწვიდგან. ცეცხლმოდებული კოშკიდან ნავთი ამოდიოდა გაზთან ერთად და მეტად სახიფათო იყო ხანძრის გაძლიერების მხრივ. კოშკი სრულიად დაიწვა 55 წუთის განმავლობაში. სულ დაიწვა 8.000 ფ. ნავთი. ხანძარი შესაძლო იყო გადასულიყო მეზობელ კოშკზე (№ 6), მაგრამ მუშების ენერგიის მეოხებით ეს საფრთხე აცილებულ იქნა. მეხანძრეთა რაზმმა, რომელიც გამოწვეულ იქნა ქალაქიდან, ძალიან დაიგვიანა, იგი მოვიდა მხოლოდ ხანძრის დამთავრების შემდეგ. კოშკი, რომელიც დაიწვა, დღე-ღამეში იძლეოდა 5.000 ფ. ნავთს. მისი აღდგენისათვის საჭიროა რამოდენიმე დღე. ხანძრის დროს ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა“. (ადს)

მხეცური მკვლელობა

ბაქო, 9 ივნისი. საოლქო სასამართლომ 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ორი ბავშვის მკვლელს — ილიას - აზა - მამედოღლის. ბავშვები მან დაახრჩო და ჩააგდო ჭაში; ერთ ბავშვს ენა ჰქონდა ამოგლეჯილი.

პარტიული ცხოვრება

საბჭოთა უჯრედები და ბრძოლა პროტექციონიზმთან

საბჭოთა უჯრედების ა.-კ. თათბირზე გაკეთებულ მოხსენებაში ამხ. მამია ორახელაშვილი სხვათა შორის შეეხო პროტექციონიზმთან ბრძოლის საკითხს. თავისთავად ეს ახალი საკითხი არაა, მაგრამ ის არც ძველია, რამდენადაც პროტექციონიზმი ჯერ კიდევ საკმაოდ მაგრად ზის ჩვენს დაწესებულებებში და მასთან ბრძოლა ყოველდღიურ საჭირ-ბოროტო საკითხს წარმოადგენს.

აშკარაა რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა უჯრედებს. დღეს ჩვენ განსაკუთრებული სერიოზულობით ვსვამთ საკითხს საბჭოთა აპარატის პირადი შემადგენლობის გაუმჯობესების შესახებ. პროტექციონიზმი ერთი იმ არხთაგანია, რომლიდანაც შემოდის ჩვენს დაწესებულებათა აპარატში პოლიტიკურათ შეუმოწმებელი და ტეხნიკურად გამოუსადეგარი ელემენტი. ვინაიდან ის, ვინც მისაღებია დაწესებულებისათვის როგორც მუშაკი და როგორც მშრომელთა ხელისუფლებისადმი მეგობრულათ განწყობილი პირი, არავითარ პროტექციას და მფარველობას არ საჭიროებს.

ამიტომ, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ აპარატის გაჯანსაღების შესახებ, სხვა საშუალებებთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ იმ არხის მაგრათ მიკეტვა, რომელსაც პროტექციონიზმი ეწოდება და რომელიც ყოველივე ფასს უკარგავს ჩვენს აპარატის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ მუშაობას.

აქ, როგორც უკვე ვსთქვით, განსაკუთრებით დიდია საბჭოთა დაწესებულების უჯრედის მნიშვნელობა. მან უნდა მიიღოს ყოველივე ზომები, რათა თავის დაწესებულებაში „მაქსიმალურათ უზრუნველჰყოს მიღება - დათხოვნის საკითხის კოლექტიური განხილვა. ცხადია, ეს არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც უჯრედის მიერ ადმინისტრატიულ ფუნქციების მითვისებისაკენ მოწოდება. თუ პარტუჯრედი დაწესებულებაში სარგებლობს სათანადო ავტორიტეტით, თუ მისი მუშაობა შედარებით სალ ნიადაგზეა დაყენებული, ასეთ უჯრედს ყოველთვის შეეძლება პარტიულ ხაზის დაუმახინჯებლათ გაატაროს აპარატის გაჯანსაღებისაკენ მიმართული ღონისძიებანი და ამ რიგათ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს პროტექციონიზმსაც.

დ. ზ—ი.

თბილისის კომიტეტი ფასების დაკლების შესახებ

გუშინ, 9 ივნისს, შესდგა ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში იდგა საკითხი საცალო ფასების დაკლების შესახებ, რომლებზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. აკირტავამ.

მუშათა კომისიებმა გამოიკვლიეს სულ 44 სავაჭრო წერტი. გამოკვლევამ მოგვცა შემდეგი სურათი: მუშკოოპში ფასები დაკლებულია— ბამბეულ ქსოვილებზე— 10.5 პროც., შალის ქსოვ.— 24,1 პროც., სელის ქსოვ. — 4,8 პროც., საშუალოდ ყველა საქონელზე — 12,5 პროცენტი; ამ.-კავ. რკინისგზის მომხმ. საზოგადოების მაღაზიებში — ბამბ. ქსოვილებზე— 11,3 პროც., შალის ქსოვ.— 14.9 პროც., სელის ქსოვ.— 3,5 პროც. საშუალოდ 11,1 პროც., კოოპერატივ „მეომარში"—ბამბის ქსოვ.—11,8 პროც., შალის ქსოვ.— 14.4 პროც., სელის ქსოვ,—5 პროც. საშუალოდ ყველაზედ— 11,5 პროცენტით. დაახლოებით დაკლების ასეთივე პროცენტია სხვა სავაჭრო ორგანიზაციებშიაც.

საქ. სახვაჭრობაში — 11,97 პროც., საშ. და „ტექსტილტორგ"-ში — 9,5 პროც.

როგორც მოყვანილი ციფრებიდან სჩანს, ფასების დაკლება უფრო შეხებია ისეთ საქონელსაც, რომელზედაც შედარებით ნაკლებია მოთხოვნილება. ასე მაგალითად, სელის ქსოვილები, რომლებზედაც ზაფხულის სიზონში დიდია მოთხოვნილება გაიაფებულა ძლიერ მცირე პროცენტით.

ჩვენი მუშის ბიუჯეტისათვის სამრეწველო საქონლის ფასთა შემცირება იმდენად საგრძნობი არ არის, რამდენად საგრძნობია მისთვის სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა გაიაფება. სწორედ ამიტომ, კოოპერაციას მიეცა დირექტივა დაეწია ფასები სოფლის ნაწარმოებზედაც. დღეს-დღეობით ამ დარგში ჩვენ გვაქვს შემდეგი სურათი: სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასები დაკლებულია საშუალოდ— მუშკოოპში—11 პროც., „მეომარში"—10,1 პროც., ამ.-კავ. რკ.-გზ. კოოპერატივში — 9,4 პროცენტით.

შემდეგ ამხ. აკირტავა ეხება ადგილობრივ სამრეწველო ორგანიზაციებს და ამბობს, რომ ცეკას და შრ. და თავდაცვის საბჭოს დირექტივაში მკაფიოდაა აღნიშნული ის გარემოება, რომ ფასების დაკლება 5 პროცენტით უნდა მოხდეს სამრეწველო ორგანოების ხარჯზე. როგორც გამოკვლევიდან სჩანს. „საპონ-ზეთისა" და „ტყავტრესტს" არ შეუსრულებიათ ეს დირექტივა.

გადადის რა საბიუჯეტო ნაკრებისა და ფასების ინდექსის დახასიათებაზე, მომხსენებელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კერძო ბაზარზედ შემჩნეულია სასოფლო მეურნეობის პროდუქტთა გაძვირება, ვინაიდან მუშათა მოთხოვნილების 60 პროცენტს ამ დარგში ჯერ კიდევ აკმაყოფილებს კერძო ბაზარი— კოოპერაციის მიერ ჩატარებული ფასების დაკლების ეფექტი მცირდება.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. გავაშელმა, ერისთავმა და გარინმა.

კ. სურმუშელი.

ჩვენი ნაკლი და მიღწევები

(ს. კეხის ჯვარი, გორის მ.)

უჯრედი დაარსებულია 1921 წლიდან. დღეს უჯრედში ირიცხება 15 წევრი და 4 კანდიდატი, ამ სოფელში კომუჯრედმა, თავისი ძალების და მიხედვით შესამჩნევი მუშაობა ჩაატარა.

კომკავშირის უჯრედთან ერთად შესაძლებელი გახდა, გლეხობის შეკავშირება. აღნიშნული საქმის მოგვარებისათვის ძლიერი აგიტაცია იყო საჭირო, რომ გლეხობა დარწმუნებულიყო კოოპერაციის სარგებლიანობაში. მით უმეტეს ერთი გარემოება აფერხებდა საქმეს რამოდენიმეჯერ იყო გახსნილი ამ სოფელში კოოპერატივი მენშევიკების ბატონობის დროს რომელიც გამგეობათა ბოროტმოქმედების გამო სწრაფად ინგრეოდა.

ღარიბების კოოპერაციის წევრათ გახდომას და მათი პროცენტის გაზრდას ხელი შეუწყო ქარელის მთლიან სამომხმარებლო საზოგადოებამ, რომელმაც ზოგი ღარიბი გლეხი-სულ განთავისუფლა საწევრო-საპაიო გადასახადიდან და ზოგსაც შეღავათიან პირობებში-გაუგრძელა ვადა. ამ ჟამად კოოპერატივის საქმე წარჩინებით ვიმდინარეობს..

კომუჯრედმა დიდი ყურადღება მიაქცია აგრეთვე კულტურულ მუშაობას. ამ მიზნით მან გახსნა კლუბი, კომუჯრედის და კომკავშირის ძალებით ხშირად იმართება რევოლიუციონური შინაარსის წარმოდგენები.

ამ ბოლო დროს ჩვენი თემის გლეხობამ იწყო ძველებური დღეობების გამართვა. ამ მხრივ კომუჯრედი, და კომკავშირიც ძალზე ჩაისუსტებენ. ანტირელიგიურ პროპაგანდას ადგილობრივი კომუჯრედი არც სიტყვით და ვერც საქმით ვერ ატარებენ.

გარდა ამისა კომუჯრედმა უნდა გამოასწოროს ზოგიერთი თავისი სუსტი მხარეები. მას დღემდის ვერ მოუხერხებია ვერც ერთი ქალის ჩაბმა კომუჯრედში, გადრა ამისა სრულებით შეჩერებულია ძველ კომკავშირელთა გადარიცხვა პარტიაში. აქ კომკავშირი კომუჯრედთან ერთად არსებობს 1921 წლიდან და დღემდის მხოლოდ ერთი კომკავშირელი ყავთ მიღებული პარტიის კანდიდატათ.

ნ. ფუ ძე.

დირექტივები არ სრულდება

(სამტრედია)

მარტის შუა რიცხვებში სამტრედიის ემოს-ის გამგეობამ სამრაიპარტკომის გაფართოებულ პლენუმზე გააკეთა მოხსენება ფასების დაკლების შესახებ. როგორც გამოირკვა, ფასების დაკლება ჩვენმა კოოპერატივმა ჩაატარა 7 პროცენტამდე.

პლენუმმა მისცა მითითებები გამგეობას, თუ შემდეგში როგორ უნდა მიმდინარეობდეს ფასების დაკლება; უნდა მოხდეს შტატების შემოკლება; ჯამაგირების გადათვალიერება; სამივლინებო ხარჯების შემცირება; საზარალო წამოწყებების და წარმოებების გადაცემა სხვა ორგანიზაციაზე ან მათი სრულიად დახურვა.

საკითხავია, რა გააკეთა ამის შემდეგ ემოს გამგეობამ? თითქმის არაფერი. ნუთუ ასე უნდა სრულდებოდეს პარტიულ ორგანოს დირექტივები?

საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

ნოქარი.

კომკავშირში

მე-2-ე ქართ. მსრ. დივიზიის ა. ლ. კ. კ. 1-ლი კონფერენცია

მესამე სხდომა

კონფერენციის მესამე სხდომა, რომელიც შესდგა 9 ივნისს, დილის 10 საათზე, მთლიანად მოუნდა კამათს ამხ. ვ. სხარულიძის და დ. მოგელაძის მოხსენების ირგვლივ.

კამათში მიიღო მონაწილეობა 16 დელეგატმა, ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ კომკავშირის რიგები დივიზიაში თანდათან მტკიცდებიან, კომკავშირელნი ჩაბმულნი არიან სხვადასხვა სახის მუშაობაში და ცდილობენ გაალრმაონ თავისი ცოდნა. სწავლის სურვილი კომკავშირელებში დიდია, მხოლოდ საჭიროა ამ სურვილის დაკმაყოფილება, რისთვისაც კომკავშირელებს უნდა მიეცეს შესაძლებლობა განაგრძონ სწავლა.

კამათში გამოირკვა აგრეთვე, რომ კომკავშირელი მეთაურების მონაწილეობა ჯგუფების მუშაობაში სუსტია კომკავშირელნი არ არიან სავსებით ჩაბმულნი სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების უჯრედების მუშაობაში, კომკავშირის ისტორიის შესწავლი წრეები მუშაობენ სუსტად და სხვა.

ამხ. ვ. სხარულიძის და დ. მოგელაძის საბოლოო სიტყვების შემდეგ დასრულდა კონფერენციის მესამე სხდომა.

მეოთხე სხდომა

კონფერენციის მეოთხე სხდომა გაიხსნა 9 ივნისს, დღის 4 საათზე.

ამ სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. მ. კახიანის მოხსენება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე.

შემდეგ კონფერენციამ მიიღო რეზოლიუციები იმ მოხსენებების ირგვლივ, რომლნიც გაკეთებულ იქნენ კონფერენციაზე.

არჩეულ იქნა 11 დელეგატი არმიის კომკავშირის კონფერენციაზე დასასწრებლად, რის შემდეგ კონფერენციის მუშაობა დასრულდა.

არ გვინდა ომი, მაგრამ არ გვეშინია ომის

(რეზოლიუცია ამხ. მ. კახიანის მოხსენების გამო)

მოისმინა რა ამხ. კახიანის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, მე-2ე ქართ. მსრ. დივიზიის 1-ლი ა. ლ. კ. კ. კონფერენცია და თბილისის გარნიზონის პარტაქტივის კრება, აღნიშნავთ, რომ იმპერიალიზმმა მთელი თავისი არსებით მოიხსნა ნიღაბი და გვაჩვენა თავისი ნამდვილი სახე.

სოციალ-შოვინისტები, რომელნიც გადაიქცნენ იმპერიალიზმის ყურ მოჭრილ ლაქიებათ, მზად არიან თავის პატრონების მითითებით უტევონ საბჭოთა კავშირს.

დღეს საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა მეტად გართულებულია. „შუბლმაგრებმა" არა ერთხელ შექმნეს პირობები ომისათვის. მათ სურთ ჩააქრონ მსოფლიო რევოლიუციის კერა — ს. ს. რ. კ. მათ არა ერთხელ მოუწადინიათ საბჭოთა კავშირის ომში ჩათრევა, არა ერთხელ გადმოუგდიათ დიპლომატიური ანკესი მაგრამ მათ და საუბედუროთ ამ ანკესზე საბჭოთა კავშირი არ წამოგებულა. ამის დამამტკიცებელი საბუთები ბევრია: 1) პეკინის საელჩოზე თავდასხმა, 2) ლონდონის სავაჭრო წარმომადგენლობის დარბევა, 3) საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის პოლონეთში ამხ. ვოიკოვის მოკვლა.

იმპერიალისტებს და სოციალ-შოვინისტებს ჩემბერლენის და ჟორდანია - რამიშვილის სახით სურთ დაანთონ ახალი იმპერიალისტური ომის ცეცხლი.

ამის საწინააღმდეგოთ ჩვენი პასუხი იქნება სამოქალაქო ომი, როგორც ერთ-ერთი სტრატეგიული გამოსავალი მუშათა კლასის გასამარჯვებლად მსოფლიოში.

ჩვენ, ამხ. ფრუნზეს სახელობის დივიზიის ა. ლ. კ. კ. 1-ლი კონფერენცია და თბილისის გარნიზონის პარტაქტივი, ვამბობთ, რომ შეურყეველი სიმტკიცით და გამბედაობით ვიდგებით რევოლიუციის სადარაჯოზე.

ჩვენ არ გვინდა ომი — მაგრამ არც გვეშინიან ომის.

გაუმარჯოს მსოფლიოში პირველ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას და მის ხელმძღვანელს კომუნისტურ (ბოლშევიკურ) პარტიის ც. კ.

მუშათა ცხოვრება

ჩვენი მუშკორები სამხატვრო აკადემიაში

შაბათს, 4 ივნისს მოეწყო „კომუნისტი"-ს მუშკორთა ექსკურსია სამხატვრო აკადემიაში. დღეს ჩვენ ვათავსებთ მუშკორთა შთაბეჭდილებებს ამ ექსკურსიის შესახებ.

აკადემიის შენობაში შესვლის თანავე მუშკორის ფხიზელი თვალი არ დაკმაყოფილდა მხოლოდ გამოფენის დათვალიერებით, მუშკორი მშრომელთა საზოგადოების ფხიზელი თვალი და ყურია. ამიტომ არის, რომ ის ყველგან, ყველაფერს ამ საზოგადოებრივი თვალსაზრისით უდგება, ათვალიერებს და სინჯავს, აშკარავებს როგორც დადებით, აგრეთვე უარყოფითი მხარეებსაც აღნიშნავს მათ, რათა მომავალში ყურადღება მიექცეს შემჩნეულს და გამოსწორებულ იქნეს.

ასევე მოიქცნენ ჩვენი მუშკორები სამხატვრო აკადემიაში. მათი თვალი გამოფენასაც მისწვდა, შენობასაც და კედლის გაზეთსაც. თავიანთ წერილებში, რომელსაც აქვე ვათავსებთ, მათ აღნიშნეს აკადემიის მიღწევებიც და ნაკლიც. ამ უკანასკნელთა გამოსწორება უკანასკნელთა საქმე არის.

გამოფენის დარბაზში

ფართო და ნათელ სპარსულ სტილით ნაგებ დარბაზში შევდივართ. დარბაზი სავსეა ნახატებით, ქანდაკებებით და კერამიკის ნიმუშებით. გამოფენა განყოფილებებად არის დანაწილებული ხელოვნების სხვადასხვა დარგების მიხედვით. ცალკეა ფერებით ხატვის განყოფილება, ნახშირით ნახატების და ნახაზების განყოფილება, ძერწვის, კერამიკის.

მოწაფეთა მთელი წლის ნამუშევარი, მათი შემოქმედების ნაყოფი არის გამოფენილი მათი ნამუშევარი ჯგუფებათ არის დალაგებული. პირველი ჯგუფი, მეორე, მესამე.

შესვლისთანავე თვალში გვცემთ აკადემიკოს ლანსერეს ჯგუფის ნამუშევარი ფერადი საღებავებით. აკადემიის მიერ გამოყოფილი ხელმძღვანელები ამხ. შუშუნავა და უფროსი ჯგუფის მოწაფე ამიროვი თავაზიანად გვიხსნის ყველაფერს, რა არის აქ გამოფენილი: მემარჯვენე და მემარცხენე მიმართულება, უკიდურესი მემარცხენეებიც კი ყოფილან მოწაფეთა შორის. ზოგი გუდიაშვილის მიხედვით ხატავს, ზოგი არც მით კმაყოფილდება, უფრო მარცხნივ მიექანება.

მდიდრულად არის წარმოდგენილი საქანდაკო განყოფილებაც. არის ლენინის მშვენივრად შესრულებული რამოდენიმე ქანდაკება. აკადემიის ამ განყოფილებას პროფ. ნიკოლაძე ხელმძღვანელობს. კერამიკულ განყოფილებაში შესანიშნავი ნიმუშებია გამოფენილი. ეს განყოფილება შარლემანის ხელმძღვანელობით მუშაობს. ხუროთმოძღვრებსაც გამოუფენიათ თავისი ნახაზები. ვათავებთ გამოფენის დათვალიერებას. თავაზიანი ხელმძღვანელები სახელოსნოებსაც გვიჩვენებენ, ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ჰანდრაკებს, გვიხსნიან მუშაობის მეთოდებს და ფორმებს.

ათვალიერებ მთელ გამოფენას, უცქერი მხატვრობის და ხელოვნების სილამაზეს და ფიქრობ: ბუნებით მხატვრული ჩვენი ქვეყნის მრავალს კუთხეში რამდენი ბუნებით დაჯილდოვებული ახალგაზრდობა მოიპოვებოდა თურმე, რომელთაც უცოდინარობა საშუალებას არ აძლევდა განვითარებულიყვენ და გაეფურჩქნათ თავის ნიჭი. დღეს საბჭოთა საქართველოს სამხატვრო აკადემია გვიზრდის ნიჭიერ მხატვრებს, მექანდაკებს, ხუროთმოძღვრებს და ხელოვნებს.

აკადემიაში დღეს სწავლობს 208 მოწაფე, 104 ქართველი 58 რუსი, 36 სომეხი და 10 სხვა ეროვნების. ის დაარსებულია 1922 წელს.

ზადარა, იაგორ ტოროკაშვილი.

რა იყო წინად

ერთხელ კიდევ შევედით ამ შენობაში. მოგვაგონდა მისი წარსული, წინათ ეს შენობა ვინძე არმაკუნოვს ეკუთვნოდა. აქ მოთავსებული იყო ე. წ. „ძველი კრუჟოკი", სადაც ერთობოდა ძველი ბურჟუაზია და ბრწყინვალე წოდება. მოგვინდა ამ შენობაში შესვლა 1893 წელს; ეს ის დრო იყო, როდესაც ავჭალის აუდიტორიაში ვაკეთებდით სცენას, სადაც უნდა გამართულიყო პირველი სახალხო წარმოდგენა. გვჭირდებოდა დეკორაციები და ჩვენ მივმართეთ „კრუჟოკს". სათანადო წერილით. იქ მოგვცეს წინა ფარდა და რამოდენიმე ძველი დეკორაცია, რომელიც იმათ აღარ სჭირდებოდათ. „ბრწყინვალე წოდებამ" მარტო დაგლეჯილი ფარდები გამოიმეტა, მაგრამ ჩვენ ეს დაგლეჯილი ფარდებიც საქმეში გამოვიყენეთ, სახალხო თეატრმა ხელი შეუწყო მუშათა კლასის გათვითცნობიერებას. გათვითცნობიერებულმა მუშათა კლასმა კი გაიმარჯვა და არა მარტო ამ შენობიდან, — მთელი საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან გადარეკა მუქთახორები. დღეს თავადების გასართობი ადგილი მეცნიერების და ხელოვნების ტაძრად არის გადაქცეული. წინათ თუ ეს შენობა მარტო ბურჟუაზიის ფუფუნებას ემსახურებოდა—დღეს იქ იწვრთნება და ვითარდება მომავალი თაობა.

ვ. ჯაბაური, ვ. თევდორაშვილი.

შენობა დაზიანებულია

ძალიან დაზიანებულია აკადემიის შენობა. ახვალთ თუ არა შესავალ კარებზე, უმალ თვალში გეცემათ დანგრეული იატაკი. ძალა-უნებურად გაიფიქრებ ადამიანი: სამხატვრო აკადემია და ასეთი იატაკი?

მხოლოდ იატაკი, რომ იყოს უვარგისი კიდევ არაფერია. როგორც სჩანს, შენობა დიდი ხანია არ შეუკეთებიათ და ის ძალზე დაზიანებულია.

სახურავიდან თურმე წვიმა ჩამოდის და აფუჭებს იშვიათ გემოვნებით, სპარსული სტილით მორთულ კედლებს და ჭერს. ფუჭდება იშვიათი შენობა, ინგრევა ფრიად საჭირო და სასარგებლო სახლი. გამოფენის დარბაზს კიდევ არა უშავს, სრულებით განადგურებული და გაფუნათებულია სახელოსნოების ოთახები. ამხ. სუხიშვილს აღუთქვამს დახმარება. მარტო აღმასკომის დახმარება არ იკმარებს. საჭიროა მთავრობამაც გაიღოს საჭირო თანხა, თუ შენობა დროზე არ შეკეთდა, აკადემია ცის ქვეშ დარჩება. აკადემიის მუშაობას ბინის სივიწროვეც უშლის ხელს, თავის თავად შენობა რა თქმა უნდა არ არის ვიწრო, მაგრამ შენობის ნახევარზე მეტი კერძო მდგმურებს უჭირავთ, რაც რა თქმა უნდა არ აძლევს გასაქანს აკადემიას.

ყველა ამას თავის დროზე უნდა მიექცეს ყურადღება.

არჩ.

კედლის გაზეთი „აკადემიის ხმა"

სამხატვრო აკადემიაში სურათების დათვალიერების დროს ჩვენი (მუშკორების) ყურადღება, სხვათა შორის მიიპყრო აკადემიის ერთ ოთახში გამოკრულ კედლის გაზეთმა სახელწოდებით „აკადემიის ხმა". შევიკრიბეთ კედლის გაზეთის გარშემო, ცნობის მოყვარეობით დაუწყეთ თვალიერება სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ორგანოს. იქავე მიეცით შეფასება კედლის გაზეთს, თუ რამდენად შეეფერებოდა ის თავის დანიშნულებას.

კედლის გაზეთში მოთავსებულია მასალები ქართულ და რუსულ ენაზე. არის კარიკატურებიც. მაგრამ სამწუხაროდ, „აკადემიის ხმა"-ს სარედაქციო კოლეგიას როგორც ეტყობა თავის უნარიანობა ვერ გამოუჩენია კედლის გაზეთის ღირსების გაუმჯობესების საქმეში.

მოთავსებული წერილები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსული ძალიან გრძელია, რაც დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. ერთი რუსული წერილის სიგრძე თითქმის ერთ არშინს უდრის. წერილები დაწერილია გაკრული ხელნაწერით, ძალიან წვრილი ასოებით. დარწმუნებული ვართ, რომ აღნიშნულ წერილის წაკითხვას ბოლომდე არც ერთი მკითხველი არ იკისრებს. ეს ითქმის დანარჩენ წერილებზეც. კარიკატურები კარგად არის შესრულებულ, მაგრამ გაზეთში ვერ არის რიგიანად დალაგებული, ისინი თითქმის ერთი ერთმანეთზე არიან გადაბმულნი, რაც სურათების გამოფენას უფრო წაავას.

რა არის საჭირო ამ გაზეთის (და მისი მსგავსი სხვა გაზეთების) გამოსასწორებლად? 1. წერილები კედლის გაზეთში უნდა იწერებოდეს მოკლედ და გარკვეულად. ფრაზეოლოგიას კედლის გაზეთში ადგილი არ უნდა ექნეს, 2. წერილები უნდა აშუქებდნენ იმ ადგილის შინაურ ყოფა-ცხოვრებას, სადაც ის გამოდის. უნდა აღინიშნოს როგორც ნაკლი, აგრეთვე უარყოფითი მხარეები. 3. კედლის გაზეთში კარიკატურები წერილებში უნდა იქმნეს გაბნეული. [illegible] არის მიზანშეწონილი ყველა კარიკატურების ერთად დაგროვება.

ეს არის ჩვენი მეგობრული მითითებანი „აკადემიის ხმა"-ს სარედაქციო კოლეგიისადმი.

მუშკორი ვანო.

ორიოდე სიტყვა დარაჯებზეც

აკადემიაში მუშაობს ოთხი რადაჯი. მათ არ ეძლევათ სპეცტანსაცმელები. არც რვა საათის სამუშაო დღეა დაცული, მუშაობას იწყებენ დილის ხუთ საათზე, ამთავრებენ დღის 4 საათზე. არავითარი გასამრჯელო ზედმეტი მუშაობისათვის არ ეძლევათ მათ.

აკადემიის ადმინისტრაციამ უნდა გამოასწოროს ეს მდგომარეობა.

ზაალი.

დ ღ ე ს

„საბჭოთა ელჩი ვოიკოვი მოკლულია ვარშავაში. ძირს ომი"!

პოლონეთის სეიმის კომფრაქციის დეპეშებიდან.

უკვე ავარდა დრო გრიგალებათ,
მშიერ ევროპას სისხლი სწყურია,
ყოველი კუთხე მძლე ამბოხების
მებრძოლთა სისხლით გადმოიწურა.

შემოტრიალდა მრავალი გული
შაზხანის ბედზე დღე დაეკიდა,
ეძებენ მიზეზს, გვკლავენ ელჩებს
ჩვენ გვიძახით!.. „ომი არ გვინდა".

არ გასვენებენ, ძვირფასო მხარევ,
შენ ხომ ჩაგრულებს მზე გაუნათე,
დე, კიდევ ერთხელ სისხლის მწოველებს
საბჭოთა მხარევ ცეცხლი დაუნთე.

ათი წლის წინათ, როცა შიმშილით
ილუპებოდენ ათი-ათასნი
გულს არ იტეხდით და იმ ბრძოლებით
მომავალ დღეებს მიეცით ფასი.

და დღეს კი, როცა წყნარ ცხოვრების დროს,
ომის ანთებას თავზე გვახვევენ,
იყოს წყეული და მოღალატე,
ვინც ამ ბრძოლაში უკან დაიხევს.

თქვენ!.. მეგობრებო საბჭოთა მიწის
ბრძოლის წყურვილით გული აივსეთ
ჩვენი სამშობლო, რომ აღარ გახდეს
ჩემბერლენების დასაქუსლავი.

ი. ხოშტარია.

კარაქის და ყველის ქარხანა ყაზბეგში

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ საბოლოოდ გადასწყვიტა კარაქის და ყველის ქარხნის აშენება; საბჭომ უკვე მიავლინა თავისი რწმუნებული ადგილის ამარჩევად და ქარხნის ასაშენებლად. ყაზბეგის თემში შედის სამი საზოგადოება: ყაზბეგი, სნოსის და ხიონის საზოგადოება მესაქონლეობას მისდევს. მათ შორის ყაზბეგის საზოგადოება უფრო ძლიერია მსხვილ - ფეხი საქონლით. ამავე საზოგადოებაში არის აღმასკომი, სასოფლო სამეურნეო ტეხნიკუმი, კოოპერატიული ორგანიზაციები და სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებები; თვით ადგილ მდებარეობაც ხელს უწყობს ყოველივე მხრიდან.

ადგილობრივი გლეხები გამოსთქვამენ სურვილს, რომ ზემო ხსენებული ქარხანა აგებული იქნეს ყაზბეგში, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ალბათ მიაქცევს ყურადღებას ამ საქმეს.

ზემოუბნელი.

მ უ შ ა თ ა ქ რ ო ნ ი კ ა

— **8.000 მანეთი.** თბილისის აღმასკომმა ორჯონიკიძის სახელობის ბაღის მოსაწყობათ გასცა დახმარების სახით 8.000 მანეთი.

— **გაფლანგვები.** 1926—27 საანგარიშო წლის განმავლობაში თბილისის რკინისგზის უბანში ადგილი ჰქონდა გაფლანგვის 3 შემთხვევას. გაფლანგული თანხის რაოდენობა უდრის 106 მან. 90 კაპ.

— **მომჭირნეობა.** თბილისის საუბნო კომიტეტის ცნობით მომჭირნეობის რეჟიმის გატარების შემდეგ ადგილკომების ხარჯი შემცირდა 7.000 მანეთით.

— **კაბინეტების გაფართოვება.** იმ მიზნით, რომ ყველა კურსები დაყოფილი იქნეს ცალცალკე, რაც ხელს შეუწყობს სწავლას, გაფართოვებული იქნა სასწავლო კაბინეტები.

— **მოწაფეების გაგზავნა კურსებზე.** საქართველოს უმაღლეს სამ. საბჭოს მოთხოვნილებით რუსეთის ქარხნებში გაიგზავნება რამოდენიმე მოწაფე, სადაც ისინი შეისწავლიან მაუდის ქსოვას.

— **დრამწრე.** თბილისის საუბნო პროფკავშირთან მოეწყო ბავშთა დრამატიული წრე, რომელიც მიმდინარე ზაფხულში ჩაატარებს საბავშო წარმოდგენებს რკინისგზის კლუბებში.

— **წარმოების პროდუქცია.** ა.-კ. სატრ. მომხმარებელ საზოგადოება „ზაქტპოს" აქვს საკუთარი პურის საცხობები და ძეხვისა და საკანდიტრო ქარხნები. მიმდინარე საანგარიშო წლის პირველ ნახევარში „ზაქტპოს" პურის საცხობში გამოცხვა სულ 72.897 ფუთი და 20 გირ. პური ღირებული 187.727 მან. 46 კაპ. ძეხვის ქარხნებში დამზადდა 3.879 ფ. და 28 გირ. ნაწარმოები ღირებული 68.488 მან. და 55 კაპ. საკანდიტრო ქარხანამ დაამზადა 78.914 მან. და 60 კაპიკის საკანდიტრო ნაწარმოები. ყველა წარმოებებმა ნახევარი წლის განმავლობაში გადაამუშავა და გაუშვა სულ 335.130 მ. და 61 კაპ. ნაწარმოები.

საქართველოს მშრომელთა პროტესტი

ამხ. ვოიკოვის მოკვლის გამო

საპროტესტო [illegible]

ოზურგეთი, 9 ივნისი. ამხ. ვოიკოვის მოკვლის გამო შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგი სამხედრო ნაწილების, მუშების და ახალგაზრდების მონაწილეობით. მიტინგზე გამოტანილი რეზოლიუცია ჰკიცხავს იმპერიალისტების პროვოკაციას, რომლის სულის ჩამდგმელია ინგლისი. (ადს)

პოლონეთის მთავრობისაგან მოვითხოვთ მკვლელის სასტიკად დასჯას

ქალაქ ოზურგეთის პარტორგანიზაციების, მუშა - მოსამსახურეების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მოქალაქეთა გაერთიანებული საპროტესტო მიტინგი, მოისმინა რა მან ამხანაგ გ. რამიშვილის მოხსენება ჩვენი სრულუფლებიან წარმომადგენელის მოკვლის შესახებ პოლონეთში, ადგენს: პროლეტარიატის პირველ ქვეყანას კაპიტალისტური ომით ემუქრება მემამულეების და ბანკირების ისტორიისაგან განწირული ხროვა, რომელსაც ხელმძღვანელობს ინგლისი. გაბოროტებულ კონსერვატორების მთავრობა. მთელ რიგ პროვოკაციებს აწყობს იმ მიზნით, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელი მასა ჩაითრიოს ომში. ჩვენი წარმომადგენლის მოკვლა ვარშავაში იმ უმსგავსო პროვოკაციათა რიცხვს ეკუთვნის, რომელსაც ბურჟუაზია მიმართავს თავისი ბნელი საქმეების მოსაწყობათ. ჩვენ სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ ამ აღმაშფოთებელ მკვლელობის წინააღმდეგ და პოლონეთისაგან, რომელიც ბუდე გახდა რუს თეთრგვარდიელებისა და ქართველი მენშევიკების მოვითხოვთ, რომ ჩვენი წარმომადგენელის მკვლელის გასამართლება მოხდეს საბჭოთა კავშირში. დეე იცოდეს მსოფლიო ბურჟუაზიამ და კერძოთ კი ინგლისმა და პოლონეთმა, რომ ჩვენ ომი არ გვინდა, მაგრამ ომისათვის მზათა ვართ. საბჭოთა კავშირი შესძლებს მსოფლიო მუშათა კლასის დახმარებით ყოველივე ომი კაპიტალისტურ სახელმწიფოსთან გადააქციოს სამოქალაქო ომად, რომლის ბოლოში საბოლოოდ განადგურდება მსოფლიო კაპიტალიზმი.

ძირს კონტრრევოლიუციის ბუდე პოლონეთი.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას.

გამოვსთქვამთ ჩვენ აღშფოთებას

(სამექანიკო ქარხანაში)

ამხ. კალინინის სახელობის სამექანიკო ქარხანაში შესდგა იმავე ქარხნის მუშა - მოსამსახურეთა კრება.

კრებაზე საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ქარხნის გამგემ ამხანაგმა გ. ტერ-ავეტისოვმა, რომელიც შეეხო საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას ამხ. ვოიკოვის მოკვლასთან დაკავშირებით.

მოხსენების შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია, სადაც კრება გამოსთქვამს თავის აღშფოთებას საერთაშორისო მშრომელი ხალხის მტრების წინააღმდეგ. კრება მოუწოდებს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს და მშრომელ გლეხკაცობას მტკიცედ იდგნენ მშვიდობიანობის სადარაჯოზე და უცხადებს ზიზღს ამხ. ვოიკოვის საძაგელ მკვლელებს.

ზიზღი მტარვალებს.

ძირს სისხლის მოყვარული იმპერიალისტები.

შ—ნი.

პროლეტარიატის მტრებმა პასუხი უნდა აგონ

(აღმასკომის სტამბის მუშა - მოსამსახურეთა რეზოლიუცია)

მოვისმინეთ რა ინფორმაცია ამხ. ვოიკოვის მოკვლის შესახებ, ჩვენ თბილისის, აღმასკომის სტამბის მუშა - მოსამსახურენი ღრმა აღშფოთებას გამოვსთქვამთ საერთაშორისო ჯალათების მორიგი თავდასხმის გამო.

კრება აღნიშნავს, რომ ამხ. ვოიკოვის მკვლელობა, არ არის შემთხვევითი ფაქტი, საერთაშორისო ბურჟუაზია და პირველ რიგში პოლონეთის პანები ვერ გაიმართლებენ თავს იმით, რომ მკვლელი რუსი შავრაზმელი არის. პოლონეთის პანებმა პასუხი უნდა აგონ ვერაგულ თავდასხმისათვის, ვინაიდან მათი აშკარა დახმარებით და ხელისშეწყობით არსებობს პოლონეთის საზღვრებში საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის მიერ განდევნილ შავრაზმელთა ორგანიზაციები.

კრება აცხადებს სასტიკ პროტესტს იმპერიალისტების ჯალათების მორიგი ავაზაკობის გამო.

კრება აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და მშრომელი მასები, როგორც ერთი კაცი, ისე დადგება მუშურ - გლეხურ სახელმწიფოს სადარაჯოზე.

ძირს ჯალათები.

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას!

მ ო ს კ ო ვ ი დ ა ნ

გვატყობინებენ

შავი ზღვის რკინის გზის ხაზი ტყვარჩელამდე

მოსკოვი, 9 ივნისი. გზათა სახ. კომისარიატმა და საუწყებათაშორისო კომისიამ საჭიროთ სცნეს გაყვანილი იქნას შავი ზღვის რკინის გზის ხაზი უკიდურეს შემთხვევაში ოჩამჩირემდე, საიდანაც განზრახულია ტოტის გაყვანა ტყვარჩელამდე.

საავადმყოფოების მშენებლობის საჭიროებისათვის

მოსკოვი, 9 ივნისი. საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ საჭიროთ სცნო გადასცეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საავადმყოფოების მშენებლობის საჭიროებისათვის 160.000 მან.

რიონის ელსადგური

საამშენებლო კომიტეტის დადგენილება

8 ივნისს, საღამოს შესდგა რიონის ჰიდროელსადგურის საამშენებლო კომიტეტის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა მთელი რიგი საკითხები ჰიდრო - ელსადგურის საამშენებლო სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით.

სხდომაზე განხილულ იქნა სამუშაოთა სამმართველოს დებულება და რიონჰესის სამუშაოთა საორგანიზაციო გეგმა, რომლებიც სხდომამ დაამტკიცა. სხდომაზე გამოტანილ იქნა დადგენილება დაუყოვნებლივ დაიწყოს წინასწარი მუშაობა სადგურის მშენებლობის დასაწყებათ: (მაგ. ბინების აგება მუშებისათვის, საწყობების მოწყობა, მექანიკურ მოწყობილობათა გადატანა ზაჰესიდან და მათი დადგმა ადგილობრივ და სხვ.).

დასასრულ კომიტეტმა დაამტკიცა რიონის ჰიდრო - ელსადგურის სხვადასხვა დარგების სამუშაოთა უფროსები. ელექტრო - მექანიკური განყოფილების უფროსად დაინიშნა ინჟ. ა. ვასილიევი, სამუშაოთა მთავარ მწარმოებლათ ქუთაისში ინჟ. ბაგ. მიქელაძე, სამუშაოთა ინსპექტორად ინჟ. კოჟევნიკოვი, სამუშაოთა საქართველოს წარმომადგენლად მოსკოვში და მთავარ კონსულტანტად პროფ. ი. ალექსანდროვი, საგვირაბო სამუშაოთა კონსულტანტად— ინჟ. ა ჯორჯაძე და მთავარ გეოლოგათ—გეოლოგი კონიუშევსკი.

ცაკის პრეზიდიუმი

ორგთათბირის რეზოლიუციები

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა განიხილა და დაამტკიცა სამაზრო აღმასკომების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების თათბირის რეზოლიუციები, რომლებიც ახლო ხანში დაურიგდება ადგილებს.

შეღავათები წითელარმიელებს

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ღონისძიებანი წითელარმიელთა და მათი ოჯახებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ; ამ ღონისძიებების ცხოვრებაში გატარება დაევალა სხვადასხვა ორგანოებს, როგორც ადგილობრივს,—ისე ცენტრალურს.

დებულების დამტკიცება

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა დებულება თბილისის მუშათა და გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობებისა და მისი ორგანოების შესახებ.

ცემენტის ქარხანა

საძირკვლის ჩაყრა

დღეს სადგ. კასპში მოხდება ცემენტის ქარხნის საფუძვლის საზეიმო ჩაყრა. ზეიმზე დასასწრებლათ თბილისიდან მიემგზავრებიან მთავრობის, ს. მ. უ. ს. ახალშენებათა კომიტეტის და სხ. დაწესებულებათა წარმომადგენლნი.

ქარხნის საძირკველს ჩაატარებენ ზარბაზნის ცარიელ ვაზნას, რომელშიაც მოათავსებენ შემდეგ წარწერას:

„ივნისს, 1927 წელს, ამიერ-კავკასიის რკინისგზის სადგურ კასპთან ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერლებმა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა სახელით ჩაუყარეთ საფუძველი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ამა ცემენტის ქარხანას, რომლის ნაყოფიერება უნდა უდრიდეს 700.000 კოდა ცემენტს წელიწადში.

აქტზე ხელს მოაწერენ ზეიმზე დამსწრე მთავრობის წარმომადგენლები და უხუცესი გლეხები

კოოპერატიული სესხის განაწილება

საქართველოს საჭიროებისათვის 1926-27 წ. ბიუჯეტით გაცემული 260.000 მან. სახკომსაბჭოს მიერ განაწილებულია შემდეგნაირად: 2.000 მან. გამოყოფილ იქნა იმ თანხის დასაფარავად, რომელიც საქართველოს წილად ა.-კ. წიგნს,, უნდა მიეცეს; 2.000 მან გამოყოფილ იქნა სამხრეთ-ოსეთის კოოპერაციისათვის განსაკუთრებული დახმარების აღმოსაჩენად; დანარჩენი 246.000 მან. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის 99.200 მან. და სარეწაო კოოპერაციას 47.600 მან

სარეწაო კოოპერაციისათვის გადადებულია 7.600 მან. გადაეცა მთლიანად საქართველოს „სარეწკოოპკავშირს"; რომელსაც დაევალა ხელი შეუწყოს სარეწაო კოოპერაციის განვითარებას ავტონომიურ ერთეულებში. სამომხმარებლო კოოპერაციისათვის გადადებული თანხიდან საქართველოს მიეკუთვნა 84.500 მან. აფხაზეთს —6.000 მან. აჭარისტანს—6.700 მან და სამხრეთოსეთს 2.000 მან სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის გადადებული თანხიდან საქართველოს მიეცა 84.900 მან. აფხაზეთს—9.500 მან. აჭარისტანს—2800 მან. და სამხრეთ-ოსეთს—2.000 მან.

აჭარისტანის და აფხაზეთის სახკომსაბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ცაკ-ს მიენდო მათთვის გადაცემული თანხის განაწილება სამომხმარებლო და სას.-სამეურნეო კოოპერატიულ სისტემათა შორის.

საბჭოთა კავშირის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა შეაჩეროს 1926—27 წლის ბიუჯეტის საგასავლო ხარჯთაღრიცხვის მოქმედება საბიუჯეტო წლის უკანასკნელ დღესვე კრედიტების გაუგრძელებლად შეღავათიან ვადებში.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს წინადადება მიეცათ მიიღონ საჭირო ზომები, რომ ამ რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით თანხების ხარჯვა სწარმოებდეს დანიშნულ ვადებზე საბიუჯეტო დისციპლინის და მომჭირნეობის რეჟიმის სასტიკი დაცვით.

გარდა ამისა, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს წინადადება მიეცათ—დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები, რომ ყველა გადამხდელებმა თავის დროზე სავსებით შეიტანონ თავიანთი გადასახადები სახელმწიფო ხაზინაში.

ავსტრიის ტეხ. ფირმების წარმომადგენელი თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ავსტრიის ტეხნიკური ფირმების („ელინ"—ელექტრო - ტეხნიკური მოწყობილობა, „შელლერ - ბლეკმან"—ფოლადის მრეწველობა, საავტომობილო ფირმა „შტეიერ" და სხვ.) წარმომადგენელი და „რუსავსტორგის" გამგეობის წევრი ბ. შტეინერი.

მისი ჩამოსვლის მიზანია ხელშეკრულების დადება ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოსთან ა. კ. მრეწველობისათვის ავსტრიის ტეხნიკური ფირმების ნაწარმოების მიწოდებაზე, და აგრეთვე ა. კ. ნედლეულის გატანის მოგვარება ავსტრიაში.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში შტეინერმა განაცხადა:

— „რუსავსტორგმა" ავსტრიის მთელ რიგ მსხვილ ტეხნიკურ ფირმებისაგან მიიღო დავალება ხელშეკრულება დასდოს ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოსთან. ავსტრიის მრეწველებმა ხელშეკრულების დადება დამავალეს მე და ამასთანავე განაცხადეს: „ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება იმაში, რომ საბჭოთა კავშირი შეასრულებს დადებულ ხელშეკრულებებს. ავსტრიის მრეწველობა, რომელიც დაინტერესებულია საბჭოთა კავშირის ბაზრობით და დაკავშირებულია მათთან, მზათ არის მიაწოდოს საბჭოთა კავშირის მრეწველობას ფართო გრძელვადიანი კრედიტები".

ქრონიკა

კ ა ტ ა ს ტ რ ო ფ ა

ვერის გზატკეცილზე

ვერის გზატკეცილზე მომხდარი კატასტროფის მიზეზების გამომკვლევ კომისიაში გუშინ გადმოგვცეს შემდეგი:

— დაღუპული ქალის გვამი ჯერ-ჯერობით არაა აღმოჩენილი სახლის ნანგრევების ადგილას ჩამოვარდნილია ვებერთელა ქვა, რომლის ადგილიდან დაძვრა შეუძლებელი გახდა. კომისიის ვარაუდი დაღუპულის გვამი მოყოლილი უნდა იყოს ამ დიდი ქვის ქვეშ, ვინაიდგან სხვაგან იგი არ აღმოჩნდა.

კომისიას გადაწყვეტილი აქვს გადაზიდოს ახალ ადგილას მთელი ნანგრევები. ეს იმითაა გამოწვეული, რომ შესაძლებელია ნანგრევებს ისე გაჰყვა გვამი, რომ ვერ იქნა შემჩნეული

გუშინ დაწყებულ იქნა კატასტროფის ადგილის აგეგმვა

გუშინ, საღამოს 8 საათზე ნანგრევებში აღმოჩენილი იქნა მარო დავითაშვილის გვამი.

რკინის გზებზე

ორთქლმავლების დაჯახება

გუშინ სად. ბათომში ერთმანეთს დაეჯახა ორი სამანევრო ორთქლმავალი, რომლებიც საგრძნობლად დაზიანდენ. დაზიანებულია აგრეთვე რკინის გზის ლიანდაგი 15 მეტრის სიგრძეზე.

კლდის ჩამონგრევა

გუშინ ბორჯომ-დაბას შუა ჩამოინგრა კლდე, რომლის მოცულობა აღემატება 100 კუბიკურ მეტრს, ჩამონგრეულმა კლდემ გააფუჭა რკინის გზის ლიანდაგი, რის გამო შეფერხდა მატარებლის მოძრაობა. მიღებულია ზომები გზის გასაწმენდათ. სპეციალისტ-გეოფიზიკების ცნობით, ასეთი მოვლენა ჩვეულებრივია და მას შესაძლებელია ადგილი ექნეს მომავალშიც.

კლდის ჩამონგრევას ადამიანის მსხვერპლი არ მოჰყოლია.

საკურორტო მატარებელი

ა.-კ. რკ გზის. გამგეობამ საკურორტო სეზონის განმავლობაში დანიშნა პირდაპირი მატარებელი მოსკოვ-ბორჯომს შუა.

ქ უ თ ა ი ს ი

ქუთაისის ინტელიგენციის მუშაობა

გადახვეწილ ემიგრანტებს მიზეზი ჰქვთ იწუწუნონ.

— არა თუ საქართველოს მუშებმა და გლეხებმა არ გაუმართლეს იმედი, მათ მოლოდინს ცივი წყალი გადაასხა თვით ქართველი ინტელიგენციის საკეთესო ნაწილმა.

— გადახვეწილი მენშევიკები პოლონეთში პან პილსუდსკის შესჩივიან ქართული კულტურის „განადგურებას", ხოლო ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი საქართველოში დიდის გაცხოველებით აფართოვებს და ანვითარებს ამ კულტურას; ასეთი კულტურული შემოქმედების საუკეთესო ილიუსტრაცია არის დასავლეთ საქართველოს კულტურული ცენტრის—ქუთაისის ინტელიგენცია და მის მიერ გამოყოფილი აქტივი, რომელიც 150 ინტელიგენტზე მეტს აერთიანებს?

ვისგან შესდგება ეს ჯგუფები?

აქ არიან თავმოყრილი ქართველი მწერლები, პოეტები, მსახიობები, მუსიკოსები, ექიმები, ვექილები, მასწავლებლები და სხვები.

რა მიზანი ამოძრავებს მათ?

— საბჭოთა ხელისუფლებასთან, კომუნისტურ პარტიასთან ხელიხელ ჩაკიდებული მუშათა მშრომელი ხალხის კულტურულ გათვითცნობიერებისა და ამაღლების მიზანი.

— აქტივი ყოველკვირეულათ, რეგულიარულად აწყობს სალიტერატურო, მხატვრულ, მუსიკალურ საღამოებს, მართავს ლექცია-მოხსენებებს სხვა და სხვა თემებზე, მართავს დისპუტებს და სხ.

ამ აქტივის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით მოეწყო საქართველოს მომღერალ გუნდთა შეჯიბრი წარსული თვის შუა რიცხვებში აქტივი უშვებს სალიტერატურო ალმანახს „გრდემლს" და სხ.

აქტივის მრავალფეროვანი და უაღრესად სასარგებლო საქმიანობა სრულებითაც არ შემოიხაზება მხოლოდ ქალაქ ქუთაისით, ან მისი მაზრით—იგი დასავლეთ საქართველოს ყოველ კუთხეში აწყობს საჯარო მოხსენებებს, დისპუტებს, სალიტერატურო გასამართლებას, მხატვრულ-მუსიკალურ საღამოებს და სხ.

სრულიად უანგაროთ, უსასყიდლოთ, თავის ნებით, თავის სურვილით ქუთაისის ინტელიგენცია ეწევა ასეთ სასარგებლო მოღვაწეობას.

როდესაც ემიგრაციის ფინიები მოსთქვამენ ქართული ენისა და კულტურის ჩაგვრა-დამონებაზე, ამ შემთხვევაში მათ მართლაც ეს ენა და კულტურა კი არ აწუხებთ, არამედ ამავე ენისა და კულტურის იშვიათი აღორძინება და, მასთან განსაკუთრებით ისიც, რომ, ყოველივე ეს მოხდა;

—მათ შემდეგ, უმათოთ და მათ გარეშე! სწორედ ამიტომ მოსთქვამენ ყეფენ, წაწკანებენ.

დაე, იწაწკანონ. რა ფასი აქვს მათ წაწკანს? სწორეთ ისეთი, რის შესახებ დიდი გიოტე სწერდა:

«Шпиц» *) из конюшни бежит за нами в увлечении, но лай его гласит о нашем лишь движении»!

გ. რიონიძე.

დგანან, მარცხნით ზევით: თ. ჭუმბურიძე, ს. მამაჯანოვი, ტ. აბზიანიძე, ე. მიქელაძე, ი. აბაშიძე, პ. ლოლაძე. ექსანიაშვილი, თ. წულეისკირი, ვ. ნაცვლიშვილი, ა. ლოლაძე, ნ. ნუცუბიძე, პ. გოლეთიანი.

ზიან, მარცხნივ: დ. ჩხეიძე (დია ჩიანელი), ო. დევდარიანი, ს. მინდაძე, ე. ლოსაბერიძე. ლ. გრიგოლია, დ. შავგულიძე, ხელაძე და სხ.

---

*) ძაღლის ჯიშია.

გაკვრით წარსულიდან

(მასწ. მ. ო. იუბილეს გამო)

ქუთაისის მოწინავე საზოგადოება ა. წ. 11 ივნისს უმართავს იუბილეს ძველ რევოლიუციონერს და განათლების ასპარეზზე დამსახურებულ მუშაკ ქალს, მარიამ ვარდოსანიძეს.

მე არას ვიტყვი ამ უანგარო, სპეტაკ ადამიანის თავდადებულ მასწავლებლობაზე, რისთვისაც მან უარჰყო პირადი ბედნიერება და მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ხალხის შვილების აღზრდას.

მე მოვიგონებ მხოლოდ მის რევოლიუციონურ აქტივობას, რომელმაც ჩემსა და ჩემს ამხანაგ-მეგობრებში ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა, ეს იყო 1904-1905 წ. წ., როდესაც რევოლიუციონურმა ქარიშხალმა პირველად დაჰბერა მონარქისტულ წესწყობილების დასანგრევად.

მახსოვს ქუთაისის ეპარქიალურ სასწავლებლის ცხოვრებიდან ასეთი შემთხვევა, ეპარქიალურ სასწავლებლის მოსწავლე ქალები, თანახმად შეთქმულობისა, შევიკრიბეთ ქუთაისის ყოფილ კლასიკურ გიმნაზიის შენობასთან, საიდანაც რევოლიუციონური სიმღერით გამოცვივდნენ მოსწავლე ახალგაზრდები და გავეშურეთ პირდაპირ რეალურ სასწავლებლისაკენ. სადაც მოწაფეთა მრავალრიცხოვან დემონსტრაციამ მოიყარა თავი. იმავე რევოლიუციონური სიმღერით გამოვბრუნდით ქალაქის ბაღისაკენ. იქ შორიდან დავინახეთ დარაზმული რუსის ყაზახები. მოწაფეებმა შენიშნეს ჯარი თუ არა. სასწრაფოდ დაიმალენ და სხვადასხვა მიმართულებით მოსახლეების ეზოებში მიიმალენ, საიდანაც თითქმის საღამოს 5 საათამდე არ გადაგვიდგამს ფეხი. მეორე დღეს ჩვეულებრივ, თითქოს არაფერი, მივედით სასწავლებელში, მაგრამ მუქარით გამოგვისტუმრეს ქუჩებში. ჩვენ რადგან ქუჩაში ერთად თავის მოყრა აკრძალული იყო, მოვილაპარაკეთ ორ-ორი წავსულიყავით სახლებში სხვადასხვა ქუჩებით ისე, რომ, მასწავლებლები არ შეგვხვედროდა გაკვეთილების გათავებამდე, რადგან მათი ნდობა არ გვქონდა.

ჩემთან ერთად წამოვიდა სახლში ამხ. ვერა წერეთელი. ჩვენ შევეცადეთ ვიწრო შესახვევებით გადაგვემართა პირდაპირ ჭავჭავაძის ქუჩისაკენ. შეუხვიეთ მართლაც იქ, სადაც ამჟამად ქალაქის ამბულატორიაა, მოვიხედეთ და უეცრად დავინახეთ მასწავლებელი მარიამი. ჩვენ ნაბიჯები ავაჩქარეთ, რომ არ დაგვწეოდა, მაგრამ ამ დროს მან ხელი წაგვავლო სახელოში და შეგვაჩერა: „მოიცადეთ ბავშვებო"! დაგვიძახა მან. ჩვენ შევჩერდით, მაგრამ, ვაი, ასეთ შეჩერებას! ფერიც დავკარგეთ და პასუხიც აგვებნა. მარიამმა შეგვნიშნა ეს და ლმობიერის კილოთი მოგვმართა: „ნუ გეშინიათ ბავშვებო, მიამბეთ გუშინდელი ამბავი". ჩვენ ისევ ვსდუმდით. მან (სჩანდა წინდაწინვე იცოდა ყოველივე და) განაგრძო: „კარგი მოწაფეები ყოფილხართ, რომ ამდენი შეგნება გქონიათ, მაგრამ ეხლა ეცადეთ ერთი მეორე არ გასცეთ. თორემ 24 საათის განმავლობაში დაგსჯიანო". თან დაგვარიგა, რა გვეპასუხნა დაკითხვის დროს.

ჩვენ, ასეთმა მისმა მომართვამ გაგვამხნევა, ხალისის ფერი გადაგვეკრა სახეზე, გამოვემშვიდობეთ მასწავლებელს და გავეშურეთ, თან ერთი მეორეს ვეუბნებოდით: „რა კარგი მასწავლებელი ყოფილა და ჩვენ კი გვეშინოდაო!?

მართალია, ეს თავისთავად უმნიშვნელო ხაზია ჩვენი რევოლიუციონური წარსულიდან მაგრამ ის მაინც საუკეთესოდ მოწმობს, რა იყო მასწავლებელი მარიამი შავ-ბნელ რეაქციის დროს, როცა ქართველი ჩინოვნიკების ერთი ნაწილი და კერძოთ მასწავლებელთა ერთი ჯგუფი კარიერისტული პირმოთნეობით მეფის ლანდს ფიცულობდა.

სამაგიეროდ, დღეს, საბჭოთა ხელისუფლება აფასებს ამ უანგარო შრომის მოყვარე ადამიანის 43 წლის საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ჩვენ-კი, მისი ყოფილი მოწაფეები ,სიამოვნებით ვეგებებით საზოგადოების ასეთ გამოძახილს და მათთან ერთად ვზეიმობთ ჩვენი აღმზრდელ, მასწავლებლის და რევოლიუციონურ საზოგადოების ღირსეული წევრის ხანგრძლივ შრომას.

მასწ. სერაფიმა ჩხაიძე.

პროფკავშირებში

ფარმაცევტიული ტეხნიკუმის დაარსება

მედსანშრომის კავშირის ც. გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა განსახკომის წინაშე, რათა უმაღლეს ფარმაცევტიულ ცოდნის მისაღებათ დაარსებულ იქნას ფარმაცევტიული ტეხნიკუმი 3 წლის კურსით. განათლების კომისარიატმა დაადასტურა მედსანშრომის მიერ აღძრული შუამდგომლობა. ახლო მომავალში თბილისში მოეწყობა ზემოაღნიშნული კურსები. კურსებზე მოწაფეთა მიღება იწარმოებს განათლების კომისარიატის, ჯანმრთელობის კომისარიატის და მედსანშრომის კავშირის წარმომადგენლების კომისიის მიერ.

დაევალა ჯანმრთელობის კომისარიატს, რათა ფარმაცევტიული ტეხნიკუმი მოწყობილ იქნეს სათანადო ლაბორატორიებით და კაბინეტებით.

ამჟამად სწარმოებს პროგრამის და სამოსწავლო გეგმის დამუშავება.

სამაზრო განყოფილების დაარსება

კომუნალურ მეურნეობის კავშირის ცენტრ. გამგეობამ გადასწყვიტა ქუთაისში დაარსოს კავშირის სამაზრო განყოფილება. აღნიშნულ განყოფილების ჭიათურაში დაარსების საკითხი უკვე შეთანხმებულია საქ. პროფსაბჭოსთან.

ახლო მომავალში კომუნალურ მეურნეობის კავშირის ც. გამგეობა აგზავნის თავის წარმომადგენელს ჭიათურაში, რომელიც საბოლოოდ მოაწყობს კომ-მეურნეობის კავშირის განყოფილებას ჭიათურაში.

საფინანსო მდგომარეობის გამოკვლევა

აღმშენებელთა კავშირის ც. გამგეობამ ჩაატარა ამავე კავშირის საფინანსო მდგომარეობის გამოკვლევა. გამოკვლეულ იქნა კავშირის 11 ორგანიზაცია. როგორც გამოკვლევიდან აღმოჩნდა საწევრო გადასახადების აუკრებლობა ამ ორგანიზაციებში 50 პროცენტს აღწევს, რაც გამოიხატება დაახლოებით 5.500 მანეთში. ამ არანორმალურ მდგომარეობის აღმოფხვრის მიზნით, კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ გადასწყვიტა გამოიყოს ფინკომისია ხაზინადარის, მდივნის და საორგ. განყ. წარმომადგენლის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა ცირკულიარული მითითების გამომუშავება და ადგილებზე გადაგზავნა.

პროფტეხნიკური კურსები

ს. მ. უ. ს. ინიციატივით ტყავტრესტთან, ლითონის ტრესტთან, პოლიგრაფტრესტთან და თამბაქოს ტრესტთან დაარსებული იყო მოკლე ვადიანი პროფტეხნიკური კურსები კურსებზე მიღებულ იქნენ ადგილობრივი წარმოების მუშები, რომლებიც გადიოდენ წარმოებათა სპეციალურ საგნებს, ანგარიშს, გეომეტრიას, წარმოების ისტორიას და სხ.

ლითონის ტრესტთან არსებული კურსები მსმენელთა გამოშვება მოხდა 30 მაისს. კურსებ კარგათ დასრულა 30 კაცმა. მაისის შუა რიცხვებში მოხდა აგრეთვე პოლიგრაფტრესტთა არსებული კურსების გამოშვება.

ტყავტრესტთან არსებული კურსები დაასრულა 12 კაცმა. ყველა კურს დამთავრებულებმა მიიღეს მაღალი კვალიფიკაციის მუშის სახელწოდება.

მეცნიერულ-პრაქტიკული

ე ქ ს პ ე დ ი ც ი ა

მეცნიერულ - პრაქტიკულმა ექსპედიცია უკვე შეუდგა საქარის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელ სადგურის დათვალიერებას. ექსპედიციაში შედის 20 აგრონომი. ექსპედიციას ხელმძღვანელობს ს. ს. ს. რ. მიწსახკომის საცდელ - სამეცნიერო განყოფილების გამგე დ. სამადაშვილი. ექსპედიციის წევრებმა მოისმინეს სადგურის გამგის მოხსენება სადგურის მდგომარეობის შესახებ და ადგილობრივ შეამოწმეს ყველა ცნობები. საერთო თათბირის დროს გადიშალა სადგურის მეურნეობის სრული სურათი ყველა მისი მიღწევებით და ნაკლებით. ამ უკანასკნელთა გამოსასწორებლათ მიღებულია ზომები.

დათვალიერებულ იქნა აგრეთვე კოოპერატივი „იმერეთი" და აჯამეთის საცდელი სადგური, რომლის მიღწევები ყოველ მხრივ დამაკმაყოფილებელი გამოდგა.

ექსპედიციაში მონაწილე აგრონომებმა სურვილი გამოსთქვეს, რომ 5 ივნისს, როდესაც ექსპედიცია პირველად შეუდგა მუშაობას, ეწოდოს „აგრონომის დღე" და ყოველ წლიურად ამ დღეს აგრონომებმა რაიმე საერთო მუშაობა ჩაატარონ საქართველოს სასოფლო მეურნეობის დარგში.

ექ. ნიკო ორლოვსკი

სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშაკთ გამოაკლდა ერთი თვალსაჩინო მოღვაწეთაგანი ნიკო ორლოვსკი.

გამოცდილი ექიმი — დოსტაქარი, მშვენიერი ტეხნიკი, მეცნიერულად მომზადებული, საუკეთესო მეგობარი და ამხანაგი, ზედმიწევნით სპეტაკი ადამიანი, დინჯი, რომელსაც თავის თავზე სულ არ უყვარდა ლაპარაკი, მუდამ თავის საყვარელ საქმეში გართული. ის დაჯილდოვებული იყო ყველა ამ საუკეთესო თვისებებით.

განსვენებულმა უმაღლესი სწავლა დაამთავრა საექიმო ფაკულტეტზე ხარკოვის უნივერსიტეტში 1913 წ. ერთი წელი სწავლობდა პარიზშიაც.

15 წლის განმავლობაში ორლოვსკი საექიმო მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოში. სახელმწიფო უნივერსიტეტის ქირურგიული კლინიკების გახსნისას 1919 წლიდან მიწვეული იყო ჯერ ჰოსპიტალურ ქირურგიულ კლინიკაში, შემდეგ პროპედევტიულ ქირურგიულ კლინიკაში ორდინატორად, 1923 წელში კი საექიმო ფაკულტეტის მიერ არჩეულ იქნა ფაკულტეტის ქირურგიული კლინიკის უფროსი ასისტენტის თანამდებობაზე. განსვენებული რვა წლის განმავლობაში მოღვაწეობდა ჩვენს უნივერსიტეტის კლინიკების კედლებში; აქ გაიფურჩქნა მისი ნიჭი, აქ გაიზარდა ის, როგორც დოსტაქარი იმ დონემდე, რომ თბილისის დოსტაქართა შორის ერთი პირველთაგანი ადგილი დაიჭირა მან. კლინიკის მუშაობას და მის ინტერესებს ეწირებოდა განსვენებულის მთელი ენერგია და დრო.

როგორც მეცნიერულად მომზადებული, ის ხშირად გამოდიოდა მოხსენებებით ექიმთა სასაზოგადოებაში.

1925 წელში ექ. ორლოვსკი ჯანსახკომის მიერ სვანეთში მივლინებულ საექიმო - სამეცნიერო ექსპედიციის ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო. როგორც ვიცით ამ ექსპედიციამ ბრწყინვალეთ შეასრულა თავისი მისია.განსვენებულმა სვანეთში ყოფნისას დაწვრილებით შეისწავლა სვანეთის ხალხში გავრცელებული ქირურგიული ტუბერკულოზი, რის შესახებ მეცნიერულად დასაბუთებული მოხსენებით წარსდგა 1925 წელში, ქ. ბათომში მოწვეულ მხარეთმცოდნეობის მოღვაწეთა ყრილობაზე.

ა.-წ. თებერვალში განსვენებულმა ოპერაცია გაუკეთა თავის დის შვილს, რაიც საბედისწერო შეიქნა განსვენებულისათვისაც. დისშვილი გარდაიცვალა გულის სიდამბლის მოვლენებით იმ დროს, როცა უკვე მოკეთებული სახლში უნდა გაწერილიყო.

განსვენებულზე ამ მოვლენამ ღრმა გავლენა იქონია; ბევრი ხნის სულიერი ტანჯვის შემდეგ, მან სამწუხაროთ თვითმკვლელობაში იპოვა გამოსავალი.

ასეთ ტრაგიკულად დაამთავრა სიცოცხლე იმ ადამიანმა, რომელსაც ბევრი სიკეთის მოტანა შეეძლო თავის ბეჯითი მოღვაწეობით ჩვენი უნივერსიტეტისათვის, საქართველოს მშრომელი ხალხისთვის. დღეს ასობით და ათასობით მისი მადლიერი პაციენტები უკანასკნელ მშვიდობითს ეტყვიან საყვარელ ნიკოლოზის ცხედარს; ჩვენ მის უმცროს ამხანაგებს და მეგობრებს ძვირფასი მეგობრის და ხელმძღვანელის დაკარგვის შემდეგ დაგვრჩენია ვინუგეშოთ თავი მით, რომ მთელი ჩვენი ძალებით ვემსახუროთ იმ დიდ საქმეს, რომელსაც განსვენებული 15 წლის განმავლობაში ბრწყინვალედ ემსახურებოდა.

ვ. ოთხმეზური.

ქრონიკა

ზაჰესის საზეიმო გახსნა

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის საზეიმო გახსნა დანიშნულია 26 ივნისისათვის. საზეიმო გახსნაზე მიწვეულია მთავრობის, საზოგადოებრივ დაწესებულებათა ფაბკომების და პრესის წარმომადგენლები

სადგურის საზეიმო გახსნის გეგმა შემუშავებულ იქნება მომავალ კვირაში.

მიწისძვრა

საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიის სეისმოგრაფების მიერ 8 ივნისს, ღამის 11 საათზე და 7 წუთზე შენიშნულია ახლობელი სუსტი მიწისძვრა—კერა თბილისიდან დაშორებულია 100 კილომეტრის მანძილზე.

გამოუსადეგარი ქონების რეალიზაცია

ს. მ უ. ს. პრეზიდიუმმა მისწერა ყველა ტრესტების გამგებს სამი დღის განმავლობაში წარმოადგინონ ცნობები მათ განკარგულებაში არსებულ არალიკვიდურ ქონების რაოდენობის შესახებ.

პრეზიდიუმის ბრძანებით, ტრესტები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგენ აღნიშნული ქონების აღრიცხვას და მათ გასაღებას ბაზარზე.

სამთო ზედამხედველობა

რესპუბლიკის სამთო ზედამხედველობის უფროსი **ინჟ. ა. კანდელაკი** გუშინ გაემგზავრა დასავლეთ საქართველოს სამთო მრეწველობის რაიონების დასათვალიერებლათ.

ინჟ. კანდელაკი ინახულებს შროშას, ტყიბულის მაღაროებს და ბარიტის მადნებს ლეჩხუმის მაზრაში. ყველა აღნიშნულ ადგილებზე შემოწმებული იქნება მიმდინარე საექსპლოატაციო სამუშაოები.

წარმომადგენლობათა ლიკვიდაციის გარშემო

ამიერ-კავკასიის სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლობათა ლიკვიდაციის გამო მოსკოვში, მოსკოვის საქონლის ბირჟამ მიმართა ამ.-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატს და ყველა სავაჭრო ორგანიზაციებს წერილით, რომელშიაც კისრულობს ამ ორგანიზაციების ყოველგვარ ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების წარმოებას მოსკოვში.

მოლდავიის მეაბრეშუმეობა-მეფუტკრეობის ინსტრუქტორი საქართველოში

მოლდავიის საბჭოთა რესპუბლიკის მიწათმოქმედების სამმართველომ საქართველოში მოავლინა თავის წარმომადგენელი აგრონომი **მკოლნიკოვი**, აქაურ მეაბრეშუმეობა-მეფუტკრეობის საქმის გასაცნობათ. აგრონომ მკოლნიკოვს განზრახვა აქვს დაათვალიეროს მეაბრეშუმეობის ცენტრალური სადგური თბილისში და შემდეგ—მეაბრეშუმეობის და მეფუტკრეობის რაიონებში. მკოლნიკოვს განზრახვა აქვს მოლდავიაში წაიღოს ქართული ჯიშის—რუხი ფუტკრის 100-მდე ოჯახი.

პროფ. ოზეროვი

ამ დღეებში თბილისში მოსკოვიდან ჩამოვიდა პროფ. ოზეროვი, რომელიც მოიწვია თბილისის აღმასკომმა ნატახტარიდან და ბულაჩაურიდან წყაროების გამოყვანის საქმეში მონაწილეობის მისაღებათ.

დახმარება ღარიბ გლეხებს

მანავის სახალხო მამული დახმარებას უწევს გლეხებს ვენახების წამლობის საქმეში. ღარიბ გლეხებს უფასოდ ეძლევა დროებით სახმარებლად ვერმორელის სასხურებელი აპარატები დარიგებით, თუ როგორ მოიხმარონ ეს აპარატები.

მონადირეთა ყრილობა

დღეს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს მონადირეთა კავშირის შენობაში გაიხსნება ამიერ-კავკასიის მონადირეთა კავშირების წარმომადგენელთა ყრილობა.

ამხ. იუნგის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სილიკატების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე **იუნგი**.

თბილისის აღმასკომში

◆ **შუშის ქარხანა.** ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ გადასწყვიტა აგოს შუშის ქარხანა.

◆ **მექანიზაცია.** ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება შეუდგა [illegible]ურის მექანიკურად დასამზადებელ საჭირო მანქანებითა და ხელსაწყოების შეძენას.

◆ **საუტილიზაციო ქარხანა.** აღმასკომმა დაადგინა სასაკლაოსთან მოაწყოს საუტილიზაციო ქარხანა.

ავიაქიმი

◆ **ავიაქიმის რაზმები.** ავიაქიმის საზ-ბამ დაადგინა წარმოება-დაწესებულებებთან მოაწყოს ავიაქიმის რაზმები.

◆ **კურსები.** ავიაქიმის საზ-ბა თბილისში ხსნის ავიაქიმის ინსტრუქტორთა მოსამზადებელ კურსებს.

სხვადასხვა

„ზაჰესი“, გამოვიდა და იყიდება კრებული „ზაჰესი“ ამხ. ვ. ავაქოვის რედაქციით. კრებულში მოთავსებულია 42 სურათი ზაჰესის სანახაობებზე და შეიცავს 164 გვერდს.

კრებულში მოთავსებულია ამხ. მ. კახიანის, ვ. ავაქოვის და სხვათა წერილები წიგნი ღირს ერთი მანეთი.

◆ **მოწაფეთა ნამუშევართა გამოფენა.** 13 ივნისს, 29 შრომის სკოლაში (საბჭოთა ქუჩა, 75) იხსნება მოწაფეთა ნამუშევარის გამოფენა. შესვლა უფასოა დილის 10 საათიდან, შუადღის 1 საათამდე და საღამოს 5-დან 7 საათამდე.

◆ **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** კვირას, 12 ივნისს, დილის 11 საათზე, თბილისის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში (კამოს ქ., № 70), შესდგება საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების კრება, რომელზედაც წაკითხული იქნება ინჟ. **ლ. დიასამიძის** მიერ მოხსენება შემდეგ თემაზე: „მიღწევები სანიტარულ ტეხნიკაში“ (მე-2 საკავშირო ყრილობის შედეგებით).

◆ **რადიო-კურსები.** პროფსაბჭოს მიერ მოწყობილ რადიო-კურსები დაამთავრა 30 კაცმა. კურსანტების გამოშვება მოხდა 7 ივნისს.

◆ **წითელი ჯვრის ცენტრალურ კომიტეტის** პლენუმი შესდგება ამა თვის ბოლო რიცხვებში.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში,** დღეს საღამოს 7 საათზე შესდგება მოსკოვ-ლენინგრადის ექსკურსიის მონაწილეთა კრება.

◆ **სკოლებში მეცადინეობა** მთელ საქართველოში დამთავრდება 20 ივნისს

შემთხვევები

მკვლელობა

მეშვიდე უბანში პეტრეპავლეს ქუჩაზე, წინააღმდეგობის გაწევის დროს მოდარაჯე მილიციონერმა ერთხელ ჰაერში გასროლის შემდეგ დასჭრა ვასილ სივაზოვი, რომელიც იქვე გარდაიცვალა. მილიციონერი დაპატიმრებულია.

◆ **შეპყრობა.** 8 ივნისს შეიპყრეს მცირეწლოვანი სურენ ასლამაზოვი, რომელმაც ლენინის ქუჩაზე პაპიროსებით მოვაჭრე ფეფისოვს მოპარა 6 მანეთი.

◆ **კარების შემტვრევის** საშუალებით 8 ივნისს თათრის მოედანზე გაქურდეს მარტიროს ჭეშმარიტოვის სასადილო.

◆ **სახელოსნოს გაქურდვა.** 8 ივნისს ლენინის ქ., № 29, გაქურდეს ვასილ ბეზაროზკანოვის სამკედლო სახელოსნო.

◆ **ბოქლომის აგლეჯის** საშუალებით 8 ივნისს ბაგრატიონის ქ., № 8, გაქურდეს სოფიო ზურაბოვას ბინა. წაიღეს 350 მანეთის ნივთები.

◆ ამავე დღეს კახეთის ქ № 64, გაქურდეს ემილია ისანგულოვის ბინა. წაიღეს 100 მან. ნივთები.

◆ ამავე დღეს კონსტანტინოვის ქ., № 22, გაქურდეს ხარაჯიევის ბინა.

◆ **მუშკოოპის მაღაზიაში** (მდებარე კირკის ქუჩაზე) ილია ჩხარტიშვილს ჯიბიდან ამოაცალეს ფული. ჯიბგირი სერგო საფაროვი იქვე დააპატიმრეს.

◆ **გაძარცვის განზრახვისათვის.** 8 ივნისს დააპატიმრეს ალექსანდრე კუზნეცოვი რომელსაც უნდოდა სომხის სასაფლაოსაკენ მიმავალ ოლია ავლუხაშვილის გაძარცვა.

◆ **ქურდი ქალი.** აბრამ ბენიაშვილის სახელოსნოდან (პლეხანოვის გამზ., № 7). ლუსია ასატუროვამ მოიპარა სხვადასხვა ოქროულობის ნივთები და მიიმალა.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 8 ივნისს კროპოტკინის ქ., № 5, გაქურდეს პეტრე ჯიბუტის ბინა.

◆ **ჯიბგირი ქალი.** 8 ივნისს ჯიბგირობისათვის დააპატიმრეს აგნია ნიკიტას ასული დიმიტრენკო.

სასამართლო

მკვლელობა

გუშინწინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. **ი. სიჭინავას** თავმჯდომარეობით, გორში გაარჩია **ვასილ წიკლაურის** საქმე.

მოკ. წიკლაურს სურდა ცოლად შეერთო მეზობელი **ანეტა მაყაშვილი.**

წიკლაურს მაყაშვილის ქალი ძლიერ უყვარდა, მაგრამ მისთვის ეს ამბავი არ უმცნია და ამის შესახებ არც არაფერი უთქვამს ქალის დედ-მამისათვის.

მაყაშვილის ქალი კი ეუბნებოდა წიკლაურს:

— „თუ გიყვარვარ, ამის შესახებ ოფიციალურად მოახსენე ჩემს დედ-მამასო“.

ბოლოს ვანო მაყაშვილმა (ქალის ძმა) გადასწყვიტა მიეთხოვა და კახეთში ერთ შეძლებულ კაცისათვის.

როცა ეს ამბავი გაიგო წიკლაურმა, ივი ჩაუსაფრდა გზაში ვანო მაყაშვილს და რევოლვერით მოჰკლა.

წიკლაური დააპატიმრეს.

სასამართლოში ბრალდებული გამოტყდა დანაშაულში და განაცხადა, რომ მკვლელობა ჩაიდინა რომანიულ ნიადაგზე.

სასამართლომ ბრალდებული წიკლაური დამნაშავედ სცნო წინასწარ განზრახვით ბოროტმოქმედების ჩადენაში, რისთვისაც მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით.

პატიმარის გაქცევა

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **პ. ბურკაძის** თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: **ქორიძის** და **მრელიშვილის**, პროკურორ **პავლიაშვილის** და მდივან **ფ. გოგოსაშვილის** მონაწილეობით გაირჩა **მიხეილ ფარულავას** და **გრიგოლ მირზოევის** საქმე.

მირზოევი ირიცხებოდა პირველ გამასწორებელ სახლის თანამშრომლად, ხოლო ფარულავა იყო მსჯავრდადებული.

გასულ წლის აპრილის თვეში, ფარულავამ შენობის ფანჯრიდან გადმოჰკიდა თოკი, რომელსაც თან ჩამოჰყვა და მიიმალა.

ფარულავა დააპატიმრეს.

მირზოევს ბრალდებოდა ფარულავას გაპარვისათვის ხელის შეწყობა.

სასამართლომ ფარულავას მიუსაჯა 1 ნახ. წლით გამსახლში დაპატიმრება, ხოლო მირზოევი უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა.

ახალშობილ ბავშვის მოკვლა

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს პროკურატურაში შემოვიდა **შალვა ყაიდარაშვილის, კატო სომხიშვილის** და **დარო რაზმაძის** საქმე.

ამ რამოდენიმე ხნის წინად ვასო სომხიშვილმა, რომელსაც ჰყავდა 7 წლის ქალი მარიამ—შეირთო ქვრივი კატო ყაიდარაშვილი. ამ უკანასკნელს ჰყავდა 9 წლის ვაჟი შალვა. გერები შალვა და მარიამ ერთად იზრდებოდენ. როდესაც წამოიზარდენ, შალვამ სიყვარული აუხსნა ქალს და აღუთქვა ცოლად შერთვა. შალვა ელაპარაკებოდა მას:

— „რაღა სხვა ქალი ვითხოვო, შენზე დავქორწინდებიო“. ქალი დასთანხმდა. მათ დაიწყეს ერთად ცხოვრება ქორწინების გარეშე.

შალვა ყაიდარაშვილმა დაპირება არ შეასრულა და ცოლად ითხოვა დარო რაზმაძის ქალი.

ყაიდარაშვილი შემდეგშიაც განაგრძობდა მარიამთან ცხოვრებას. ამ უკანასკნელს შალვასაგან შეეძინა ქალიშვილი.

ეს ამბავი გაიგეს ქალის ნათესავებმა.

შ. ყაიდარაშვილი ელაპარაკებოდა ცოლს:

— „ბავშვი მოჰკალით, თორემ მე მოვიკლავ თავსო“.

დარო რაზმაძემ ქმრის დავალება „პირნათლად“ შეასრულა. მან კატო სომხიშვილის დახმარებით მოჰკლა ბავშვი და გვამი დამარხა ორმოში.

მეზობლებმა ყური მოჰკრეს ამ ამბავს და აცნობეს სადაც ჯერ არს.

ამის გამო შ. ყაიდარაშვილი, კ. სომხიშვილი და დ. რაზმაძე პასუხისგებაში მისცეს.

წინასწარი გამოძიების დროს შ. ყაიდარაშვილმა თავი არ სცნო დამნაშავედ.

რაზმაძემ და სომხიშვილმა განაცხადეს, რომ ბავშვის შობა არ იყო ნორმალური.

ბავშვის გვამი ამოიღეს; მისი განკვეთით გამოირკვა, რომ ბავშვის დაბადება იყო ნორმალური.

საქმე მალე გაირჩევა სასამართლოში.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერის დასის შედგენა

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების განყოფილების გამგე ამხ. მ. დუდუჩავა გაემგზავრა მოსკოვში სახელმწიფო ოპერის დასის შესადგენათ მომავალი სეზონისათვის.

მომღერალი გ. ვენაძის გამგზავრება

სახელმწიფო ოპერის არტისტი **გ. ვენაძე** გაემგზავრა მოსკოვში. წელს იგი თბილისში აღარ იმღერებს.

ჟურნალი „მნათობი“

გამოვიდა „მნათობი“ № 5—6, შემდეგი შინაარსით: **პოეზია: გალაკტიონ ტაბიძე**—„ქალაქი წყალ ქვეშ“, **კარლო კალაძე** —„შუბლმაგარი მტრების შესახებ“, **ბიძინა აბულაძე**—„მანიფესტი ჩინეთის ხალხს“, **ვარლამ ყურული**—„კავკასი“, **კონსტანტინე ლორთქიფანიძე**—„საბარგო ავტომობილი“. **პროზა: ლეო ქიაჩელი**—„სისხლი“. (რომანის გაგრძელება), **ბასილ მელიქიშვილი**—„ტარიფი“. **ტრიფონ რამიშვილი**,—„მონადირე ქალები“—(პიესა). **ანასტასია ერისთავ-ხოშტარია**—„სალი“ (გაგძელება რომანის). **თარგმანები: ი. ტინიანოვი**,—„დეკაბრისტები საქართველოში“ (თარგმ. ტ. ტაბიძის), **სტეფან ცვეიგ**—„ამოკ“ (თარგმანი ლ. ჯაფარიძის), **წერილები, პროფ. კორნ. კეკელიძე**—„კიდევ ვეფხვის ტყაოსანის შესახებ“. **ვახტანგ კოტეტიშვილი**—„ქართული პოეტური ფოლკლორი“. **ს. ამაღლობელი** —„თეატრი და კინო“, **მიხ. კახიანი** „საერთაშორისო საკითხი“, **ა. კრინიცკი**—„ეროვნული კულტურის საკითხისათვის“. **კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, პლატონ ქიქოძე**—ელიზბარ პოლუმორდვინოვის: „ვერცხლის ქამარი“, **ეკონომისტი**—„ტყვარჩელი-ჭიათურა-დაშკესან“.

ჟურნალი შეიცავს 251 გვერდს და ღირს 2 მან. 50 კაპ.

◆ **კლუბის გახსნა.** გუშინ გაიხსნა მუშათა ახალი კლუბის საზაფხულო ბაღი.

◆ **„ოსეთის ლირა“.** ცხინვალში გამოდის ოსი პოეტის კოსტა ხეთაგურის ლექსების წიგნი: „ოსეთის ლირა“.

ფეხბურთი

მორიგი კალენდარული შეჯიბრები

შაბათს, 11 ივნისს, ლენინის სახელობის სტადიონზე თამაშობენ „არსრაიონი“ 2 და „სპორტი“. დასაწყისი ნაშუადღევის 4 საათზე. მსაჯი—ამხ. **ორეხოვი.**

იმავე დღეს იქვე, საღამოს 6 საათზე, თამაშობენ პირველი კატეგორიის გუნდები—„არსრაიონი“ 1 და საგზაო - სატრანსპორტო სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს გუნდი. მსაჯი—ამხ. **მდივანი.**

კვირას, 12 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე თამაშობენ „წ. ა. ფ. ს.“ (წითელი არმიის და ფლოტის სახლის გუნდი) და საბჭოთა მუშაკები. მსაჯი—ამხ. **გალპერინი.**

საღამოს 6 სათზე თამაშობენ მეორე კატეგორიის გუნდები: სტალინის სახელობის გუნდი და მბეჭდავები. მსაჯი—ამხ. **სოლტანი.**

იმავე დღის „დინამო“-ს სტადიონზე გაიმართება „დინამო“-ს და „ავტო-კლუბის“ შეჯიბრი. მსაჯი—ამხ. **იოსავა.**

რადიო-გადაცემა

პარასკევი 10 ივნისი

დღეს საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო - სტუდიიდან გადაცემული იქნება:

პიონერთა რადიო - გაზეთი რუსულ და ქართულ ენებზე და პიონერთა გამოსვლა (7—7—20).

მუშათა გაზეთი — რუსულ და ქართულ ენებზე (7—20—7—40).

მიწათმოწყობის საკითხები — ქართულ ენაზე (7—40—8).

ტეხნიკური კონსულტაცია (8—8—20).

ამიერ - კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია — რუსულ და ქართულ ენებზე (8—20—8—40).

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია (8—40—9).

კინო-თეატრებში

ამჟამად საქართველოს ქალაქებში და სხვა რაიონებში აღრიცხულია 120 კინო-წერტილი. აქედან კომერციული ხასიათის კინო-თეატრი არის 17, ნახევრად კომერციული 20, საკლუბო კინო თეატრი, რომელიც არ ისახავს კომერციულ მიზნებს,— 53, წითელარმიელთა კინო 20, მოძრავი კინო-წერტილი 10. ეს უკანასკნელნი ეკუთვნიან სამაზრო აღმასკომებს. თბილისში არის შვიდი კომერციული კინოთეატრი. ამგვარად ყოველ 60.000 სულზე თბილისში მოდის ერთი კინო. შვიდ კინოდან ხუთი მომგებიანია, ორი არამომგებიანი. ქუთაისში, სადაც მოსახლეობის რიცხვი 47 ათასს უდრის, მუშაობს ორი კომერციული კინო.

37 კომერციულ და ნახევრად კომერციულ კინო-თეატრებს შორის საქართველოს კინომრეწველობის უწყებაში იმყოფება ოთხი კინოთეატრი.

სურათების გაქირავების პირობები ასეთია: მუშათა კლუბების თეატრებს საბჭოთა და უცხოეთის კინო-ლენტები ეძლევათ ღამეში 16-20 მანეთად, წითელარმიელთა კლუბებს 8 მანეთად. ნახევრად კომერციულ კინოებს ხდებათ პროცენტები საერთო შემოსავლიდან, მაგრამ არა ნაკლებ 15-40 მანეთისა ღამეში.

ვ. ნად—ლი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 442

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსადმი 1927 წ. მაისის 14

ამასთანავე ცხადდება ცნობად და სახელმძღვანელოდ საქ. ს. მ. უ. ს. და შრომის სახალხო კომისარიატის ინსტრუქცია ცეცხლფარეშების სავალდებულო მომზადების შესახებ.

დანართი: ინსტრუქცია.

საქ. ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის მოადგილე **ავაქოვი.**

—საქ. ს. მ. უ. ს. საადმ.-სამნეო განყ. გამგე **ცინცაძე.**

ინსტრუქცია

საქ. ს. მ. უ. ს. და შრომის სახალხო კომისარიატისა ცეცხლფარეშების სავალდებულო მომზადების შესახებ

გამოცემულია შრომის და თავდაცვის საბ-ჭოს 1925 წ. 3 ივლისის დადგენილების საფუძველზე ცეცხლფარეშების სავალდებულომომზადების შესახებ.

1. საერთო დებულებანი

1. შრომის და თავდაცვის საბჭოს 1925 წ. 3 ივლისის დადგენილების შესასრულებლად შემოღებულ უნდა იქნას ცეცხლფარეშების სავალდებულო მომზადება იმ წესით, რომელიც განსაზღვრულია შემდეგი მუხლებით:

2. მომზადება სავალდებულოა საქ. ს. ს. რ-ის ფარგლებში მომქმედი ორთქლის ქვაბების ყველა ცეცხლფარეშებისათვის, იმ ცეცხლფარეშების გამონაკლისით, რომელნიც მუშაობენ სამხედრო საზღვაო საქმეთა სახკომისარიატის ორთქლის ქვაბებზე.

შენიშვნა 1. მომზადება სავალდებულოა ყველა პირთათვის, რომელნიც მუშაობენ ორთქლის დანადგარებზე, მთლიანად ან და მათ საპასუხისმგებლო ნაწილებში, მაგ.: ა) მეთვალყურეობა ორთქლის ქვაბების ორთქლის წნევაზე, ბ) მეთვალყურეობა ორთქლის ქვაბის საზრდოებაზე, გ) მეთვალყურეობა ორთქლის ქვაბის საჭურველზე, დ) მეთვალყურეობა წვის პროცესზე ორთქლის ქვაბში.

შენიშვნა 2. მე-2 მუხლის მოქმედება არ ვრცელდება იმ ცეცხლფარეშებზე, რომლებსაც აქვთ ტეხნიკური განათლება არა ნაკლებ საშუალო განათლებისა და ამასთანავე ორთქლის ქვაბებზე მუშაობის პრაქტიკული სტაჟი არა ნაკლებ ერთი წლისა.

შენიშვნა 3. გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის უწყებაში მყოფ ცეცხლფარეშების მომზადება ხორციელდება სამეულის მიერ დამტკიცებულ წესით, ა.-კ. რკინის გზის გამგეობასთან შეთანხმებით.

3. ცეცხლფარეშების მომზადება ხორციელდება განსაკუთრებული სამეულის მიერ, რომელიც არსებობს საქ. ს. მ. უ. ს. სათბობის განყოფილებასთან.

შენიშვნა. საქ. ს. მ. უ. ს. დადგენილებით შესაძლებელია დაევალოს სამეულს დაბალი ტეხნიკური პერსონალისა სხვა კატეგორიის მომზადება.

4. ცეცხლფარეშების მომზადება უნდა იყოს დამთავრებული 1928 წ. 1-ლ იანვრისათვის. ამა ვადის შემდეგ ცეცხლფარეშები, რომლებსაც არ ექნებათ ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლში აღნიშნული სამეულის მიერ დაწესებული მოწმობა, არ იქნებიან დაშვებულნი ორთქლის ქვაბებზე სამუშაოდ.

შენიშვნა. განსაკუთრებულ შემთხვევაში, შრომის დაცვის ორგანოების ნებართვით და სამეულთან შეთანხმებით, დროებით, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლის ვადისა ორთქლის ქვაბების სამსახურზე შეიძლება დაშვებული იყვნენ ცეცხლფარეშები, რომლებსაც არ ექნებათ აღნიშნული მოწმობები.

5. გაზეთ „კომუნისტ“-ში ამ ინსტრუქციის გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის ვადაში ქვაბების ყველა მეპატრონეები გამოუკლებლივ ვალდებულნი არიან წარუდგინონ ცეცხლფარეშების მოსამზადებელ სამეულს დაწვრილებითი ცნობები მათი ორთქლის ქვაბების რაოდენობის შესახებ, და მომზადებულ ან მოუმზადებელ ცეცხლფარეშების ფაქტიურად არსებულ რაოდენობის შესახებ.

6. ორთქლის ქვაბების ცეცხლფარეშების მომზადებასთან დაკავშირებული და სამეულის მიერ გაწეული ყველა ხარჯები უნდა იქნას ანაზღაურებული ქვაბების მეპატრონეების მიერ იმ რაოდენობით და წესით, რომელიც შემოღებული იქნება სამეულის მიერ საქ. ს. მ. უ. ს. სათბობის განყოფილებასთან შეთანხმებით და დამტკიცებული იქნება საქ. ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის მიერ.

შენიშვნა: გარდა მომზადების ფასისა ყველა ქვაბების მეპატრონეებს შემოაქვთ საბრუნავი საშუალებების შესაქმნელად ყოველი მომქმედი ქვაბიდან 10 მან. აღნიშნული თანხა რჩება სამეულის განკარგულებაში მისი მოქმედების დამთავრებამდე და იხარჯება სამეულის დადგენილებით, საქ. ს. მ. უ. ს. სათბობის განყოფილებასთან შეთანხმებით, აღნიშნულ დადგენილების ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის მიერ დამტკიცების შემდეგ.

7. ამ ინსტრუქციის მე-4 და 5 მუხ. გათვალისწინებული მოთხოვნილების შეუსრულებლობაში დამნაშავე ქვაბების მეპატრონეები შრომის ინსპექციის მიერ მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით შრომის დაცვის კანონების დარღვევისათვის.

8. ინსტრუქცია ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა გაზ. „კომუნისტ“-ში.

2. მმართველობის ორგანოები

9. საერთო ხელმძღვანელობა ცეცხლფარეშების მომზადების საქმეში ეკუთვნის საქ. ს. მ. უ. ს.

მმართველობის ორგანოებს შეადგენენ ცეცხლფარეშების მოსამზადებელი სამეული და საქ. ს. მ. უ. ს. სათბობის განყოფილება.

3. ცეცხლფარეშების მოსამზადებელი სამეული

10. ცეცხლფარეშების მოსამზადებელი სამეულის შემადგენლობაში შედის სამი პირი: ორი საქ. ს. მ. უ. ს. დანიშვნით და ერთი საქ. შრომის სახალხო კომისარიატის დანიშვნით.

შენიშვნა: სამეულის სხდომებში მონაწილეობის მისაღებათ მოწვეულ უნდა იქნას საქ. პროფკავშირების საბჭოს წარმომადგენელი.

11. სამეული ანხორციელებს ყველა ამ ინსტრუქციის მუხ. 2-ში აღნიშნულ მომზადებას სამეულის მიერ შემუშავებული და საქ. ს. მ. უ. ს. და საქ. შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებული მუშაობის გეგმების და პროგრამების თანახმად.

12. მუხლი 11 აღნიშნული მუშაობის შესასრულებლად სამეული:

ა) ამუშავებს გეგმებს ცეცხლფარეშების მომზადების ცხოვრებაში გასატარებლად, ბ) ამუშავებს ცეცხლფარეშების და ინსტრუქტორების კურსების პროგრამებს და აგრეთვე ინსტრუქტორების საშუალებით მოსამზადებლად, 3) ამუშავებს საჭირო ინსტრუქციებს, გ) საზღვრავს სწავლის რიგს, როგორც საერთო მასშტაბით, აგრეთვე მრეწველობის ცალკე შენაერთებში და საწარმოებში, დ) აწესებს კურსების ადგილმდებარეობას და ხსნის მათ, ე) ხელმძღვანელობს ინსტრუქტორების მუშაობას, ჟ) იღებს ყველა ღონისძიებებს მასზე დავალებულ ამოცანის ნაყოფიერი შესრულებისათვის, ზ) ადგენს გამოსაცდელ კომისიების შემადგენლობას, შრომის დაცვის ორგანოების წარმომადგენელის სავალდებულო ჩარიცხვით და ნიშნავს გამოცდის დროს.

13. იმ პირებს, რომლებიც სწავლას დაამთავრებენ და გამოცდას დაიჭერენ მე-12 მუხ. გათვალისწინებულ კომისიებში, სამეული აძლევს სათანადო მოწმობებს.

14. სამეული ადგენს წინასწარ ფინანსიურ ხარჯთ-აღრიცხვას საქ. ს. მ. უ. ს. მიერ დასამტკიცებლად, სამეული ადგენს ფინანსიურ ანგარიშს საქ. ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმში წარსადგენათ.

15. სამეული ღებულობს ფულებს, რომლებიც მათ ეკუთვნის მომზადებისათვის, ხარჯავს მათ დამტკიცებული ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით და ინახავს მათ რომელიმე სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებაში.

16. სამეული ადგენს შტატებს, როგორც თავის, ისე სარაიონო სამმართველოსათვის, ნიშნავს ყველა, როგორც მუდმივ, ისე დროებით თანამშრომლებს, საზღვრავს უკანასკნელთ ხელფასის რაოდენობას.

17. სამეულს აქვს ბეჭედი „საქ. ს. მ. უ. ს. ცეცხლფარეშების მოსამზადებელი სამეული“-ს სახელწოდებით.

4. სამეულის საქმეების რევიზია

18. სამეულის ფულის ანგარიშის შესამოწმებლად საქ. ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმი ნიშნავს სპეციალურ კომისიას.

5. სამეულის საშუალებები

19. სამეულის საშუალებები შესდგებიან ცეცხლფარეშების მომზადების სასწავლო ფასისაგან და სავალდებულო გადასახადისაგან თანახმად მე-6 მუხ. შენიშვნისა.

6. სამეულის ლიკვიდაცია

20. ცეცხლფარეშების მოსამზადებელი სამეულის ლიკვიდაცია ხდება: ა) იმ შემთხვევაში, როდესაც საბოლოოდ შესრულებული იქნება დასახული ამოცანა, ბ) საქ. ს. მ. უ. ს. დადგენილებით.

21. სამეულის ლიკვიდაციის დროს ყველა მისი საქმეები და ქონება გადაიცემა საქ. ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის განკარგულებაში.

ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის მოადგილე **ავაქოვი.**

შრომის სახალხო კომისარი **თოდრია.**

ს. მ. უ. ს. სათბობის განყ. გამგე **ბორკონი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— ს. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტპროპ - კოლეგიის მორიგი სხდომა შესდგება დღეს, 10 ივნისს, დილის 9 საათზე, აგიტპროპის გამგის კაბინეტში; სხდომას უნდა დაესწრონ კოლეგიის ყველა წევრები და ამხ. დუგლაძე,გოგებაშვილი, ხაჭაპურიძე და ბზეკალავა.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას სააღრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ვასილ ნიკოლოზის ძე ფანცულაიას და ვ. ნ. სევერინს (სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის მუშფაკის მასწავლებელი), რომ ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას სააღრიცხვო - განმანაწილებელ განყოფილებაში.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს სთხოვს გამოცხადდენ საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო - განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი 34) ამხ. ჩარხანოვთან:

1) ბლაგოვოლინი ანდრია გრიგორის ძე, 2) რაგიმოვი მამედ რაგიმ-ოღლი, 3) ლომთათიძე მიხეილ ფეოდორის ძე, 4) მელიქაძე ბესარიონ სტეფანეს ძე, 5) ვოზრონიძე იპოლიტე ანთიმოზის ძე, 6) ჯანაშია სამსონ ზურაბის ძე, 7) ვადიანი სურენ გრიგოლის ძე.

სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმი ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ფაკულტეტის ქირურგიული კლინიკის უფროს ასისტენტის, ექიმ

ნიკო ორლოვსკის

უდროოდ დაკარგვას. 2—2 2975

სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰოსპიტალური ქირურგიული კლინიკა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას თავისი ყოფილი თანამშრომლის ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგის ექიმ

ნიკოლოზ ორლოვსკის

უდროოდ გარდაცვალებას. (ნ)

სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის თერაპიული კლინიკის ექიმთა კოლეგიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ უდროოდ დაკარგულ ძვირფას ამხანაგის, ფაკულტეტის ქირურგიული კლინიკის უფროსი ასისტენტის ექიმ

ნიკო ორლოვსკის

სამოქალაქო პანაშვიდი გადახდილი იქნება დღეს 3 ნახევარ საათზე ანატომიურ ინსტიტუტში (კამოს ქ. № 51) გამოსვენება და დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 10 ივნისს, დღის 4 საათზე. 1—1 2989

სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის ქირურგიული კლინიკა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ უდროოდ გარდაიცვალა საყვარელი და დიდად პატივცემული, ფაკულტეტის ქირურგიულ კლინიკის უფროსი ასისტენტის ექიმ

ნიკო ორლოვსკის

სამოქალაქო პანაშვიდი გადახდილი იქნება ანატომიურ თეატრის პროზექტურაში, (კამოს ქ. № 51) დღეს ნაშუადღევის 3 ნახევარ საათზე. გამოსვენება და დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 10 ივნისს დღის 4 საათზე. 2—2 2974

ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ უდროოდ გარდაიცვალა საზოგადოების წევრი დოსტაქარი

ნიკოლოზ ორლოვსკი

გამოსვენება ანატომიურ ინსტიტუტიდან (კამოს ქ. № 51), კუკიის სასაფლაოზე, 10 ივნისს 4 საათზე. 2987 1—1

ქალაქის 1-ლი კლინიკური ინსტიტუტი იუწყება საყვარელ თანამშრომლის ფაკულტეტის ქირურგიული კლინიკის უფროსი ასისტენტის, დოსტაქარი

ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძის ორლოვსკის

ტრაღიკულად დაღუპვას. გამოსვენება და დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 10 ივნისს, დღის 4 საათზე. 2988 1—1

საქართველოს პროფესიონალურ სხეულებათა ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით მუხლს იდრეკენ იშვიათი ექიმის და ძვირფასი ამხანაგის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროსი ასისტენტის

ნიკო ორლოვსკის

ნეშთის წინაშე. 1—1 2980

ელენე ნიკოლოზის ასული ორლოვსკისა პატარა ირინეთი ღრმა მწუხარებით იუწყება საყვარელ ქმრის ფაკულტეტის ქირურგიულ კლინიკის უფროს ასისტენტის დოსტაქარ

ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე ორლოვსკის

უდროოდ დაღუპვას. გამოსვენება ანატომიურ ინსტიტუტიდან დღეს პარასკევს 10 ივნისს, ნაშუადღევს 4 საათზე. 1—1 2986

სამუდამოთ გლოვით მოცულნი მშობლები გიორგი და ელისაბედ ვეშაპიძეები, შვილები: ნინო, მიხეილ და თინათინ; სიძე კონსტანტინე ვასილის-ძე გორბაჩოვი, შვილის შვილები: ლეონიდე, ირაკლი და ნათელა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ქ. პარიზში ტრაღიკულათ გარდაცვლილ მათ საყვარელ და დაუვიწყარ

გრიგოლ ვეშაპელის

წლის თავის ასანიშნავად 10 ივნისს დ. საჩხერეში (ს. საირხეში) გადახდილი იქნება პანაშვიდი. 2—2 2976

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი: დედა გაიანე ლევანის ასული, მამა სამსონ როსტომის-ძე, ძმები: კოლია, გრიშა მეუღლე ნინოთი, ანდრო და გაბრიელი; დები მარუსია და ლოლა დოლიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარი

პროკოფი სამსონის-ძე დოლიძის

უგზო-უკლოდ დაკარგვას და მათ გონებიდან წარუშლელ ქალაქ ფოთის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის მე-3 კურსის მოწაფის

ვლადიმერ (ვალიკო) სამსონის-ძე დოლიძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის ასანიშნავად კვირას 12 ივნისს ქალაქ ფოთში. დილის 11 საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ნახუტერის სასაფლაოზე- 1—1 ნ. 1301

გულდათუთქულნი და სამუდამოთ დამწუხრებულნი მშობლები ვასასი და ვარლამი შვილებით: აკაკი (კაკო), თამარი (თალიკო), შალვა, ტატიანა, შოთა და გაზდილი ცაცია ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მათი ძვირფასი და გულიდან ამოუშლელი ფოთის ცხრაწლედის უკანასკნელი ჯგუფის მოწაფის

ნინა (ბიტო) ვარლამის ასული ქოიავას

გარდაცვალებიდან მეორმოცე დღის ასანიშნავად, ხუთშაბათს 16 ივნისს გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ძველი აბაშის სასაფლაოზე (სენაკის მაზრა). 1—1 1302

უნუგეშოთ დარჩენილნი მშობლები: სალომე და თეიმურაზ კალანდაძეები და ანიჩკა და სიძე სევერიან, შვილებით: მიშა, ლოლა და ია ბახტაძეები ძმის შვილი პატარა ვალიკო კალანდაძე აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი

ნუნუ (ნინა) თეიმურაზის ასული კალანდაძე

დაკრძალვა მოხდება შაბათს 11 ივნისს სოფ. ხიდისთავში (ოზურგეთის მაზრ). 1—1 2992

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ნინო გიორგის ასული, შვილებით ეკატერინე მაქსიმეს ასული რუხაძისა, სეფორა მაქსიმეს ასული დანელიასა, ნადია მაქსიმეს ასული ირემაძისა, გრიშა, კოწია, ბიკენტი, ილიკო, პაკრო, შვილის-შვილები ელიკო, ბიძინა, პატარა ნინა და ეთერი, რძალი ელენე მიხეილის ასული, ცოლის ძმა მიხეილ გიორგის-ძე კაკაბაძე და სიძე ონოფრე ვასილის-ძე ირემაძე, აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი ქმარი, მეორეთა ძვირფასი მამა, უკანასკნელთა კი საყვარელი ბაბუა

მაქსიმე გრიგოლის-ძე ცაგარეიშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება ს. პუხში. კვირას 12 ივნისს ნაშუადღევს. 1—1 2978

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნინა ივანეს ასული, შვილები; აბრამი მარო, ვახტანგი და შოთა ხუთისიაშვილები; ქვისლი ლუკა, მეუღლე ოლღა და შვილი ნინა, სიმამრი ვანო მეუღლით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ შაბათს 11 ივნისს, დღის 12 საათზე კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე გადახდილი იქნება მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

ლადო აბრამის-ძე ხუთისიაშვილის

გარდაცვალებიდან 6 თვის პანაშვიდი. 1—1 2990

ხვალ, შაბათს, 11 ივნისს კაპიტალური რემონტის შემდეგ
იხსნება ახალი საუკეთესო საზაფხულო
კინო-თეატრი დარბაზი (ბაღში, პლეხანოვის პრ. № 91)
ნაჩვენები იქნება ახალი, სეზონის საუკეთესო სურათი
მისი უდიდებულესობის სოლისტკა
ბაღი ამწვანებულია ფოთლებით, სავსეა ყვავილებით. ზედმიწევნით გრილა. გაუქმებულია საზამთრო თეატრებში შესასვლელი ყველა მუდმივი ბილეთები, გაცემული სახელმწიფო კინო-მრეწველობის მიერ. ნ. 1300 1—1

ბაღი „არტო“ შაბათს, 11 ივნისს გრანდიოზული გახსნა 1927 წ. საზაფხულო სეზონის,
ბაღში უკრავს სამხედრო მუსიკის გუნდი, აუარებელი სინათლე, სიგრილე, ღია სცენაზე: **კონცერტიული განყოფილება ქუმსიაშვილის და სხვების მონაწილეობით, სახელმწიფო ოპერის ბალეტი**, თეატრში—**სახელმწიფო კინო-მრეწველობის საუკეთესო სურათები** (აპოლო) **საუცხოვო რესტორანი** ევროპიული და აზიური საჭმელებით ზომიერ ფასებში, სიმებიანი გუნდი **სტუპელის** ხელმძღვანელობით და ღამის 12 საათიდან **კაბარე** მოსკოვიდან და ლენინგრადიდან ჩამოსული მსახიობების მონაწილეობით. დღის 1-ლ საათიდან საღამოს 6 საათამდის სადილი ორი თავი—70 კაპ., ღვინო 80 კაპ. ბოთლი.
სამშაბათობით და პარასკეობით გაიმართება **„ჯაზ-ბანდი“** საღამოს 11 საათიდან. 2982

აპოლლო ტელ. 7—61.
არფასტო ტელ. № 19—22.
სოლეი ტელ. 20—44.
დარბაზი ტელ. 14—03.
0—8 ნ. 1094
საუკეთესო სურათი, პირველად თბილისში
მწვანე მანუელა
კონრეი ტირლი და ელენ გამერშტეინი
საუკეთესო სურათში
„ქალი ბურუსიდან“
მეორე კვირა გრძელდება
„სამთა სიყვარული“
რეჟ. ა. როომი. ბავშვები არ დაიშვება.
სეზონის საუკეთესო ტრიუკული კომედია
ხალხის სათაყვანებელი
ამერიკის საუკეთესო კომიკის ბენა ტირპენის მონაწილეობით
ანონსი: ჩქარა: „მისი უდიდესებულობის სოლისტკა“.

საქ. ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმი

აცხადებს, რომ ა. წ. 11 ივნისს, დილის 10 ს. დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ს.მ.უ.ს. შენობის (პუშკინის ქ. № 3), კაპიტალურ შეკეთების სამუშაოთა აღებაზე.

განცხადებები წარმოდგენილ უნდა იქნან დახურულ კონვერტებში, იმ დოკუმენტების თანდართვით, რომელნიც ამოწმებენ საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებთა ვინაობას. განცხადებებს უნდა ერთვოდეს აგრეთვე ქვითარი ს.მ.უ.ს. სალაროში საწინდრათ 1000 მანეთის შეტანის შესახებ.

ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება ს.მ.უ.ს. საადმინისტრაციო-სამნეო განყოფილებაში.

ნ. 1299 1—1 **საქ. ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმი.**

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

სახელმწიფო სათამაშო ქაღალდების მონოპოლიის ა.-ქ. განყოფილებამ

შესწყვიტა ცალობრივი გაყიდვა და ბითუმით მიაწოდებს, როგორც ფინორგანოებს ა.-კ. რესპუბლიკაში, ისე ქ. თბილისის კლუბებს, კოოპერატიულ დაწესებულებებს და კერძო პირებს.

განყოფილება გადადის ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის შენობაში (ტროცკის ქუჩა № 8), დაბლა სართულზე' მაღაზია (თავისუფლების მოედანზე № 2) დაიხურა.

გაყიდვა იწარმოებს: პრეისკურანტის მიხედვით სათანადო % %-ის დაკლებით; ა.-კ. რესპუბლიკების ინსპექტურა, როგორც ს.ს.ს.რ., ა.ს.ს.რ., ისე სომხეთის ს.ს.რ. რჩებიან უცვლელათ.

2995 1—1. ა. საფარიანი.

ქ. ონის საურთ. ნდობის სალიკვიდაციო კომისია

ამით აცხადებს, რომ თანახმათ ა. წ. 1 ივნისის საერთო კრების დადგენილებისა

ხდება საზოგადოების ლიკვიდაცია

ვთხოვთ ყველა კრედიტორებს თავიანთი პრეტენზიები დღიდან ამა განცხადების გამოსვლისა ათი დღის განმავლობაში წარმოადგინონ ამ საზოგადოების სალიკვიდაციო კომისიაში მისამართი: ქ. ონი ჩიკვაიძის სახლი.

ონის საურთიერთო ნდობის საზ. სალიკვიდ. კომისია.

2996 1—1

ბაღდათის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

ი. დ. ლომთაძე

ამით აცხადებს, რომ 25 ივნისს 1927 წ., დღის 12 საათზე, ის გაყიდის **საჯარო ვაჭრობით** ბესარიონ სიმონის-ძე მჭედლიძის მდებარე სოფ. სვირში, ქუთაისის მაზრაში, 1|8 ნაწილს საცხოვრებელი ფიცრული სახლისას, რომელიც შესდგება ხუთი ოთახიდან შეტკეჩილ და შელესილი კირით, ორი მხრით დერეფნებით, დახურული კრამიტით, დაფასებული 300 მან., დასაკმაყოფილებლად საქ. სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს 1645 მან. 83 კაპ. ვალისა.

ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. ნ. 1296 1—1

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ხიდის მახლობლად. 25—21

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, №3. 25—1

ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8ს. ქალების და ბავშვების. 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ კრუზენშტერნის ქ.) 25—5

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ყოფ. ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ „ბომონდი“)
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 13—1

დაკარგვა თბილისის ქალაქის ლომბარდის ბილეთი № 58538, შალვა ხაბეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2981

დაკარგვა პირადობის მოწმობა № 2911, სასურსათო ბილეთი № 0732185 ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე ტატიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2977

დაკარგვა საწევრო წიგნაკი მიწატყის კავშირისა № 11458, დიმიტრი ლევანის-ძე ჯაფარიძის სახელზე, ჩ. გ. 2979

დაკარგვა კომკავშირის საწევრო ბილეთი № 2028, მიხეილ ვლადიმერის-ძე შეწირულის სახელზე, ჩ. გ. 2991

დაკარგვა მეტრიკული ამონაწერი № 1465, ნატო ფსუტურის სახელზე, ჩ. გ. 2985

დაკარგვა პირადობის მოწმობა № 355078 და საექიმო ბარათი კონსტანტინე ივანეს-ძე აბდუშელიშვილის სახელზე ჩ. გ. 2984

დაკარგვა დაქორწინების მოწმობა № 1870, გაცემული 1923 წელს მთაწმ. მიერ ცოლ-ქმარ ვაცანების სახელზე ჩ. გ. 2991

დაკარგვა ლომბარდის ქვითარები №№ 60079 და 60555 მჭედლიძის სახელზე, ჩ. გ. 2991

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.